“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№2 (266)
თებერვალი
2021 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამესამე წელი ”LITERATURULI MESKHETI”

ბათუმის დედაქალაქობის ოთხი შვიდწლედის 100 წლისთავისთვის!

გიორგი მაზნიაშვილი

,,თუ ერთი გაბრაზებულმა თათრმა დამცხვრეტს, მეორე დაწყნარებულმა თათარმა ჩემს სახლზე შკნდაფენით შემომსაფს“!



წელს სრულდება 100 წელი ბათუმის მოვლენებიდან. სწორედ 1921 წლის მარტში გადაწყდა ბათუმის ბედი. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენა წარმატებით განახორციელა უზარმაზარმა პიროვნებამ, გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არა ეს უდიდესი ადამიანი, რომ არა მისი გენიალური სამხედრო ნიჭი და განუმეორებელი შემართება, დღეს სულ სხვა განზომილებაში ვიქნებოდით და სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა. ქართველი ერი და, განსაკუთრებით, აჭარის მკვიდრნი, ვალდებულნი არიან ამ ბუმბერაზი პიროვნების წინაშე.

როდესაც გიორგი მაზნიაშვილის ნათლულს, ქართველ მწერალს, ელიზბარ მაისურაძეს ჰკითხეს, თუ რა მიაჩნდა მას გენერლის ყველაზე დიდ დამსახურებად ქართველი ერის წინაშე, მან უყოყმანოდ უპასუხა: ,,აჭარის თურქთაგან განთავისუფლება''.

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იყო უკანასკნელი მხედართუფროსი, რომელმაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგაც, კიდევ ერთხელ გაიბრძოლა სამშობლოს ერთიანობა-მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

1921 წლის მარტში, როდესაც საბჭოთა რუსეთი ამთავრებდა საქართველოს ანექსიას, თურქებმა ისარგებლეს ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობით და საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების მიტაცება განიზრახეს. მარტის დასაწყისიდან მათ, თანდათანობით, დაიკავეს არტაანი, ართვინი, ბორჩხა და ბათუმისაკენ გამოემართნენ. 10 მარტს თურქები უკვე სოფელ სარფში იყვნენ. მალე ბათუმის მიდამოებში 4000-მდე თურქმა ჯარისკაცმა მოიყარა თავი პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის მეთაურობით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მან წითელი არმიის თავდასხმისთანავე დაკარგა ინიციატივა და, უკანდახევით, ბათუმში ჩავიდა. საერთო ქაოსი და დაბნეულობა გადაედო ქართულ ჯარსაც. ამ დროს ბათუმში 3000-მდე ქართველი ჯარისკაცი იყო, მაგრამ ისინი იმდენად დემორალიზებულნი აღმოჩნდნენ, რომ სერიოზულ სამხედრო ძალას აღარ წარმოადგენდნენ. სწორედ ამან გამოიწვია თურქების გააქტიურება, ისინი 17 მარტს დაეუფლნენ ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფს, მილიციის შენობას, ყაზარმებს, რადიოსადგურებს და სხვა დაწესებულებებს. დაიწყეს აგრეთვე ბათუმის სიმაგრეების, ანუ იგივე ფორტების დაკავება. ქიაზიმ ბეიმ თავი ბათუმისა და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა. მანვე გამოაქვეყნა ბრძანება № 1, რომლითაც ბათუმი და მისი ოლქი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ისღა მოახერხა, რომ ციხიდან გაანთავისუფლა ბოლშევიკები სერგო ქავთარაძის მეთაურობით და სთხოვა მას ეხელმძღვანელა ბათუმის დაცვისათვის, მაგრამ სერგო ქავთარაძემ უარი განაცხადა, რადგან ის არ იყო სამხედრო პირი. 1921 წლის 18 მარტს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმიდან ემიგრაციაში წავიდა და ასე ბედის ანაბარა დატოვა ბათუმის მომავალი.

გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა, ბათუმში თურქების შემოსვლა რომ შეიტყო, ფრონტი დროებით სხვას გადააბარა და 17 მარტს, ღამით, კახელ პარტიზანთა 50 კაციანი რაზმით სასწრაფოდ ჩავიდა ბათუმში. აქ მდგომარეობა უკიდურესობამდე დაძაბული იყო, წითელი არმიის შემოსვლა კი ჭიანურდებოდა (წითელი არმია განზრახ ითრევდა ფეხს, ისევე როგორც ხულოდან წამოსული ულობას ცხენოსანი კავალერია, რადგან ბოლშევიკებს თურქებთან ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული თავდაუსხმელობის შესახებ და ისინი განგებ აყოვნებდნენ, რაც თურქების წისქვილზე ასხამდა წყალს).

გ.მაზნიაშვილი მეუღლესთან ერთად

როდესაც ბათუმში მყოფმა ქართველმა ჯარისკაცებმა გაიგეს, რომ მათი უსაყვარლესი გენერალი ჩამოვიდა ბათუმში და დაიწყო მზადება საომარი მოქმედებისათვის, იმწამსვე გაქრა ის სიზანტე და მოუქნელობა, რომელიც მანამდე იქ სუფევდა. ასევე, როდესაც ადგილობრივმა ქართველმა მაჰმადიანებმა შეიტყვეს მათთვის ეს სასიხარულო ამბავი, როგორც ბათუმიდან, ასევე ბათუმთან ახლომახლო მდებარე სოფლებიდან, უმალვე გამოცხადდა მასთან მოსახლეობა. მაზნიაშვილის განკარგულებაში გადავიდა გენერალ ასლან აბაშიძის 100 კაციანი სამხედრო რაზმი.

გიორგი მაზნიაშვილმა სასწრაფოდ შექმნა სამხედრო შტაბი. ბათუმის გამაგრებული რაიონი გაიყო ორ მებრძოლ უბნად. მათგან ბარცხანის და კახაბრის ფორტების რაიონი დაუქვემდებარეს გენერალ ვარდენ წულუკიძეს, ხოლო ქალაქის მეორე ნაწილი სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებით გენერალ დავით ართმელაძეს.

1921 წლის 18 მარტს, დილით, გამოიცა ბრძანება გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ბათუმის კომენდანტად დანიშვნის შესახებ. 18 მარტს გიორგი მაზნიაშვილმა ქიაზიმ ბეის გაუგზავნა ულტიმატუმი – ერთი საათის განმავლობაში დაეცალა დაკავებული სიმაგრეები, დაწესებულებები, ამის შემდეგ კი დაუყოვნებლივ შესდგომოდა თავისი ჯარების გაყვანას ბათუმის ოლქიდან. ულტიმატუმზე ქიაზიმ ბეის პასუხი არ გაუცია. მაზნიაშვილმა ბრძანა შეტევის დაწყება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბარცხანის ფორტს, რომელიც თურქებს ეკავათ და ბათუმში შემომავალ რკინიგზას კეტავდა. 18 მარტს მათ გააჩერეს ბათუმისაკენ მიმავალი საბჭოთა ჯარების პირველი ეშელონი და განაიარაღეს. ამ მომენტით ისარგებლეს ქართველმა ცხენოსნებმა და ბარცხანის ფორტში შეიჭრნენ. მალე მთელი გარნიზონი გაანადგურეს, 218 ასკერი კი ტყვედ აიყვანეს. 19 მარტს თურქებმა გაძლიერებული იერიში მიიტანეს კახაბრის ფორტზე, მაგრამ დიდი ზარალით უკან დაიხიეს. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი არტილერისტებმა მაიორ პეტრე ქარუმიძის მეთაურობით. საგრძნიბი იყო მათი დანაკარგიც. ამიტომ გიორგი მაზნიაშვილის განკარგულებით ბათუმის მცხოვრებლებს შორის სასწრაფოდ მოაგროვეს 20 მოხალისე, რომლებიც, ოდესღაც, არტილერიაში მსახურობდნენ და პეტრე ქარუმიძის განკარგულებაში გაგზავნეს. თავზარდაცემულ ასკერებს არ სჯეროდათ, რომ მათ ასეთი ძლიერი დარტყმა დამარცხებული მთავრობის ჯარებმა მიაყენა.

ამრიგად, 1921 წლის 18-19 მარტის ბრძოლებში ბათუმის შემოგარენი მტრისგან უკვე მთლიანად გაწმენდილი იყო. მხოლოდ ქალაქში რჩებოდნენ მტრის არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჯარები, რომლებიც ჩასაფრებული იყვნენ ქალაქის მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობებში. გიორგი მაზნიაშვილს მათი განდევნა მეორე დღეს, 20 მარტს ჰქონდა გადაწყვეტილი. ბოლოს თვით ქიაზიმ ბეიც დარწმუნდა, რომ მისი ავანტიურა ჩაიშალა და ბათუმის უბრძოლველად დატოვებაზე თანხმობა განაცხადა. ასე, რომ გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა დასახული ამოცანა. 20 მარტს, შუადღის შემდეგ, ბათუმში და მთელ მის ოლქში, არც ერთი შეიარაღებული თურქი ჯარისკაცი აღარ იყო.

18-20 მარტის ბათუმისათვის ბრძოლებში ქართველებმა 90-მდე კაცი დაკარგეს. მათგან 40 წაასვენეს ახლომახლო სოფლებში, დანარჩენი კი, 23 მარტს, მხედრული პატივით დაკრძალეს თავისუფლების მოედანზე გაჭრილ საძმო საფლავში.

1990 წელს ბათუმის ცენტრალურ მოედანზე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა გაითხარეს ის ადგილი, სადაც ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპულები განისვენებდნენ. საძმო საფლავიდან ამოასვენეს 50 ცხედარი, რომელთა შორის იყო ერთი მოწყალების და – მაყვალა ყანჩაველი. ცხედრები გადაასვენეს იქვე, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის ფოიეში, სადაც დეკანოზმა მამა დიმიტრიმ (დღევანდელი ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი) წირვა აღავლინა მათ სახელზე. შემდეგ კი ცხედრები ისევ ჩაასვენეს საძმო საფლავში, სადაც ბაზალტის ქვა იუწყებოდა, რომ **,,აქ განისვენებს მარტში საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული 50 მამულიშვილი”**. ამ ისტორიულ პროცესიაში მონაწილეობდა არა მარტო მთელი აჭარის, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული მოსახლეობა.

ბათუმი. XX ს. 20-იანი წლები

დღეს კი, ამ ადგილას ჯვარია აღმართული, მაგრამ ყველას დაავიწყდა, რომ სწორედ აქაა საჭირო და აუცილებელი დაიდგას გიორგი მაზნიაშვილის ძეგლი და გაკეთდეს აგრეთვე მემორიალური დაფა, სადაც ნაჩვენები იქნება იმ მამულიშვილების გვარები, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ბათუმის დედასაქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. ეს არავის არ ახსოვს. მიუხედავად ჩემი და კიდევ სხვა პიროვნებების არაერთგზის დაწერისა როგორც პრესაში, ასევე თქმისა ტელევიზიაში, არავინ, ვისაც ეს ეხება, ყურს არ

გაგრძელება მე-3 გვ. ▶

„არაჩვეულებრივი მასპინძლობა“ ანუ „მამალი პატარძალი“

რობერტ ბერიძე

დიდი ხანია არ ვყოფილვარ ჩემს პატარა ქალაქში, სადაც დავიბადე, გავიზარდე და ბავშვობის ყველაზე ტკბილი წლები გავატარე.

ეჰ, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რამდენი რამ მაქვს მოსაგონებელი...

აქ ყველაფერი შეცვლილი დამხვდა, – ერთ დროს, თითქმის გაუვალი, ტალახიანი ქუჩები ტროტუარებსა და ასფალტის საფარს დაუფარავს. მთავარი მაგისტრალური გზის გასწვრივ – თანამედროვე ტიპის საოჯახო სასტუმროებს, კაფე-ბარებს, მარკეტებს, საცხოვრებელ მრავალსართულიან ბინებს დაუმშვენებია იქაურობა. აქ, ყოველ ნაბიჯზე, ტურისტთა ნაკადს ბოლო არ უჩანს. ტრანსპორტსაც დასტყობია ეპოქის კვალი, ნაირნაირი ავტომანქანები მიდი-მოდიან... ნუთუ ეს ჩემი ქალაქია?!

ო, ეს დრო... დროის კვალი არ დასტყობია მხოლოდ იმ ბებერ ციხეს, რომელიც ჩემი ქალაქის შუაგულში, კლდოვან კონცხზეა აგებული და, აგერ, თითქმის ათი საუკუნეა, როგორც ეგვიპტური სფინქსი, ისე გადმოჰყურებს მთელ არე-მარეს. მხოლოდ მას არ ეშინია დროის...

დროის კვალი არ დასტყობია ასევე ქალაქის თავზე ამაყად მდგარ მთებს... დედა-მდინარე ისევ მიიკლაკნება თავის კალაპოტში. თუმცა, დროთა სვლას მისთვის მაინც შეუცვლია სანაპიროები, სადღაც გამქრალა ვეებერთელა ქვები, საიდანაც მდინარეში ვხტებოდით. არც ის დიდი მორევი და ჩქერალია, რომელთა სიახლოვეს გავლა შიშის ზარს გვცემდა. რამდენი ადამიანი ემსხვერპლა ამ ადგილს. აქ არც იმ პატარა გუბურების კვალი ჩანს, სადაც, ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, უამრავი ლიფსიტა რომ იყრიდა თავს. ბუნების სტიქიას – წყალდიდობებს თუ ღვარცოფებს, ყველაფერი ერთ დიდ ღელედ უქცევია და ჩვენი ბავშვობის მოგონებათა კვალი საბოლოოდ წაუშლია.

რამდენჯერ გადამიცურავს ეს მდინარე, რამდენი ღორჯო, ნაფოტა, კარჩხანა, ციმორა დამიჭერია მის დატოტვილ ნაპირებზე...

ციხე ვახსენეთ, ის ხომ ჩვენი ბავშვობის და ჩვენი თაობის უტყვი მემატიანეა. აქ, ციხის ძირში, ძველ ქართულ ოდაში ვცხოვრობდით. თვითნაკეთი ხის ხმლებით „შეიარაღებულებს“



ნახ. ავტორისა

რამდენჯერ გვითამაშია ომობანა. გამარჯვებულები ყოველთვის ქართველები იყვნენ, დამარცხებულები – თათრები.

თათრის შიში ჯერ კიდევ შემორჩენილი გვქონდა. მახსოვს, ატირებულ ბავშვებს დედები როგორ გვაწყნარებდნენ: „ჩუ, თორემ თათარი მოვა და წაგიყვანს!“ გულის გასამაგრებლად, ომობანას თამაშის დროს, ვინ გიორგი საკაძეს ებაძავდით, ვინ – ბაში-აჩუკს...

ო, ეს ბავშვობა!

რამდენჯერ მოგვიპარავს სარეცხის დიდი ქვაბის თავსახურავები „ფარებისთვის“. რამდენჯერ მივსულვართ სახლში „ნაომრები“, თავზე კოპებიანები, დალურჯებულ-დასისხლიანებული ხელებით... რამდენჯერ გვითამაშია ლახტი, რიკ-ტაფელა, მრგვალი ვირი...

რამდენჯერ გაგვწყრომია დედა...

მოკლედ, ვეღარ ვცნობ ჩემ ქალაქს. თუმცა, იმ ტალახიან ქუჩებში, სადაც ერთ დროს უამრავი ბავშვი ირეოდა, დღეს აღარც ბავშვების ჟრიამული ისმის და ვერც ნაცნობ სახეებს ვხედავ. სამაგიეროდ, ღამაზი და მშვენიერია ჩემი ქალაქი, რომლის თითოეული ქუჩის ყოველი მეორე სახლის ჩარაზულ ჭიშკარს ჟანგი მოსდებია, ხოლო ეზოს – ეკალ-ბარდები.

უცხო ქალაქად მეჩვენება ჩემი ქალაქი...

სევდიან ფიქრებში წასულს, უცებ, წინ, ვიღაც წვერმოშვებული, ტანმაღალი კაცი გადამიდგა. ინტერესით ამათვალ-ჩამათვალიერა, მერე ხელები გაშალა და ისე ჩამეხუტა, როგორც ახლობელს.

– ო, გიორგი, ნუთუ ეს შენ ხარ?

შევცბი. წამიერად „უცხოს“ ინტერესით დავაკვირდი. თითქოს, სადღაც მენახა, თითქოს, ვიცანი და ვერც ვიცანი. მერე მისმა ქორისებულმა ცხვირმა და მისმა დამახასიათებელმა ხმამ ჩემი სიყრმის მეგობარი კოლა გამახსენა. დიახ, ჩემ წინ კოლა იდგა, ზედმეტ სახელად „წოპეს“ რომ ვეძახდით, თავისი „სანაძებო“ ცხვირის გამო.

– ვერ მიცანი, გიორგი, ხომ? კოლა ვარ, კოლა!

– მართლა შენ ხარ კოლა? როგორ შეცვლილხარ, მართლა ვერ გიცანი და, გახარებულმა გულში ჩავიკარი ჩემი ბავშვობის მეგობარი.

ჰო, ეს ჩემი თანაკლასელი კოლა იყო, რომელსაც, თითქმის ყველა მასწავლებელი, ყველა უბედურების სათავედ რომ სთვლიდა – ფანჯრის მინა გატყდებოდა? – ვინ გატეხა?! – კოლამ! მერხი გატყდებოდა? – ვინ გატეხა?! – კოლამ! – ვინ იჩხუბა?! – კოლამ!.. ამის გამო, კრებებსა თუ პედსაბჭოს სხდომებზე, ყოველთვის კოლას სახელი „ქუხდა“.

კოლას მშობლებს კი, სკოლის კარები, მუდმივი „სტუმრიანობით“, ატალახებული ჰქონდათ. ასევე, „სანიმუშოდ“ გამოიყურებოდა ჩვენი საკლასო ჟურნალიც. მისი გრაფა ფიზკულტურის, სიმღერის, შრომისა და ხატვის გარდა, ორიანებით იყო სავსე, მაგრამ, მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, საყოველთაო სავალდებულო კანონის საფუძველზე, „ყავარჯნიანი“ სამიანებით, სასწავლო წლის ბოლოს, მაინც გადადიოდა კლასიდან კლასში.

მთელი ათი წელი მე და კოლა ერთ მერხზე ვიჯექით, რაც შემეძლო, გადაწერ-გადმოწერაში და კარნახით, მხარში ვედექი, ამის გამო მეგობრობაც კარგი გვქონდა.

კეთილი გულის ბიჭი იყო კოლა. მიუხედავად ყველაფრისა, ყველას გვიყვარდა. მათე პაპას ბაღიდან მოპარულ საადრეო მსხალსა და ბალს უჩვენოდ პირს არ დააკარებდა.

ერთხელ, თავისი ზედმეტი ყურადღებით, გაუთხოვარი მაყვალა მასწავლებელი და თანაკლასელი გოგონები მთლად გადარია: – გაკვეთილზე, ვარდების დიდი თაიგულით ხელში, დაგვიანებით შემოსულმა, ბოდიშის მოხდით, თაიგულის ნახევარი მაყვალა მასწავლებელს მიაწოდა, ნახევარი – გოგონებს დაურიგა.

ატყდა ერთი რია-რია. ამ მოულოდნელი სიურპრიზისაგან გაოგნებული მაყვალა მასწავლებელი მაგიდასთან იდგა და ვერ გადაეწყვიტა, დაეტუქსა თუ მადლობა ეთქვა. მთელი სკოლა ალაპარაკდა მაშინ. ამის გამო ხომ ვერავინ დასჯიდა მას, ვერც მის მშობლებს გამოუძახებდნენ სკოლაში...

და აი, მის ნაცვლად, ამჟამად, უკვე ჭარმაგი, სახეშეცვლილი, – წვერგაუპარსავი და თმააბურძგნილი, ჩემი თანაკლასელი კოლა იდგა ჩემ წინ.

– რაო, ინტელიგენტო, მართლა ვერ მიცანი?! (ჩამეძია მეგობრულად. თუმცა, არც იყო გასაკვირი, რა ხანია ერთმანეთი არ გვენახა), – ან როგორ მიცნობდი საზღვარგარეთ მოღვაწე, ცნობილი პროფესორი, ჩემისთანა გლეხკაცს.

– კარგი რა, კოლა, გეყოფა ხუმრობა. უბრალოდ, წამიერად ვერ გიცანი, არ მეგონა, აქ თუ გნახავდი. გაგებული მქონდა, რომ საზღვარგარეთ იყავი წასული და...

– ვიყავი, მაგრამ სხვის მოჯამაგირეობას ისევ ჩემ მიწაზე ცელის მოსმა და თოხი ვარჩიე; შენ, შენ, როდის ჩამოხვედი?!

– ორი დღეა.

– რატომ არ შემეხმიანე?!

– ამ დღეებში ვაპირებდი შენთან გამოვლას. მშობლები ხომ კარგად არიან, ოჯახი...

– მშობლებს ნუ მკითხავ, ჩემო გიორგი, რა ხანია გარდაიცვალნენ... შენ დიდი ხნით აპირებ დარჩენას?!

– სამი კვირით.

– ძალიან კარგი. ოჯახს თუ მოეკიდე?

– არა!

– არ გადამრიო!

– გადასარევი რა არის, უბრალოდ, ვერ მოვიცალე.

– რა მოცლა უნდა ცოლის მოყვანას. შენისთანა კაცს, ისიც პროფესორს, რომელი ქალი გეტყოდა უარს. აგერ, მე, უსწავლელმა კაცმა, ორი პირი ცოლ-შვილი გამოვიცვალე. ამჟამად მესამე მყავს. ვბარავ, ვთოხნი, საქონელს ვუვლი და ოჯახსაც ვარჩენ. თქვენისთანა კაცის უცოლშვილოდ დარჩენა არ მაკვირვებს. მაშინაც სულ წიგნებზე იყავი მიჯაჭვული, გვერდზე არ იხედებოდი. ყოველთვის ბრძნული აზრები გიტრიალებდა თავში, სწავლა უფრო გიზიდავდა, ვიდრე გოგოები. ახლა, ალბათ, იდეალურ ქალს ეძებ.

– კარგი, რა, კოლა!

– რა კარგი. შენი სიტყვები ისევ მახსოვს, ვიღაც ფილოსოფოსს დასაქორწინებელი კაცი რომ შეეკითხა: – რა ვქნა, მოვიყვანო თუ არა ცოლიო? მან რომ უპასუხა – მოიყვან ინანებ, არ მოიყვან, მაინც ინანებო. ისევ ისა სჯობს, მოიყვანო და ინანოო!

– ეგ სოკრატეს სიტყვებია, ჩემო კოლა. რა კარგად დაგიმახსოვრებია. წამოვიძახე მისი მახსოვრობით გაკვირვებულმა.

– კარგი სიტყვების დამახსოვრებას რა უნდა, თუკი ის ცოდნას შეგძენს. ეჰ, ნეტავ მეც, თავის დროზე, მესწავლა, სულ ცოტა, აგრონომი ხომ მაინც ვიქნებოდი. ახლა ყველაფერი გვიანია... მაინც რა მალე გადის დრო...

– გულს ნუ გაიტეხ, კარგი საქმის კეთებით, კაცურ-კაცობით, ბევრი რამის მიღწევა შეიძლება, – ვუთხარი და მხარზე მეგობრულად მოვუთათუნე ხელი.

– ჩვენს თანაკლასელებს თუ ხვდები?! – ვკითხე.

– უმეტესობა, რაც სკოლა დავამთავრეთ, თვალით არ მინახავს. ზურას, ვანოს და თემოს ხშირად ვხვდები. ზურა თბილისში მოღვაწეობს, ცნობილი ექიმია, ვანო – ადვოკატი, თემო – საპატრულო პოლიციის უფროსი გახლავთ. ამჯერად ყველანი აქ არიან, ცოლ-შვილთან ერთად. ახლა დიდებული იდეა დამებადა, თუ წინააღმდეგი არ იქნები, ამაზე კარგი შემთხვევა, ალბათ, არასოდეს გვექნება. აქვე, ახლოს, მშვენიერი რესტორანია, პურ-მარილი ჩემზე იყოს...

მეც უყოყმანოდ დავეთანხმე მისი იდეით ნასიამოვნებმა.

– მაშინ ყველას მე გავაფრთხილებ! – სიხარულით აღმოხდა კოლას...

...ერთ რამედ ღირდა, მრავალი წლის უნახავ თანაკლასელებთან შეხვედრა. სუფრას ვანო თამადობდა. მისმა მჭერმეტყველებამ და ორატორობამ ყველა მოგვხიბლა. ეს არც იყო გასაკვირი. ის ხომ ცნობილი ადვოკატია.

რა სადღეგრძელოები არ ითქვა: ღვთისა, მამულისა, მშობლების, მასწავლებლების, წასულების, მომავალი თაობის. მოკლედ, ყველაფერი, რა სადღეგრძელოც ითქმოდა სუფრაზე. შიგადაშიგ, სკოლის წლებიც გავიხსენეთ – პირველ შატალოზე გაპარვა, თუ როგორ გავათხოვეთ მაყვალა მასწავლებელი, ანატომიის გაკვეთილზე როგორ გამოვპრანჭეთ ადამიანის ჩონჩხი, „სოფლტექნიკის“ საქმიანი ეზოდან როგორ მოვიპარეთ ახალთახალი ტრაქტორის ნაწილები და როგორ ჩავაბარეთ ჯართში...

დალევით ბევრს არ ვსვამდით, კოლას გარდა...

შუაღამე გადასული იყო, სუფრიდან წამოვიშალეთ და, ის იყო, სახლებში უნდა წავსულიყავით, რომ, საკმაოდ შეჭიკჭიკებულმა კოლამ, არ დაგვანება: – ბიჭებო, ახლა ერთი დიდი თხოვნა მაქვს და უარს ნუ მეტყვით, ჩემთან, ოჯახში უნდა წავიდეთ!

– რა დროს ოჯახში წამოსვლაა, ისიც ამ შუაღამისას! – წამოვიძახე გაოგნებულმა.

– არ მკადრულობთ, ხომ?

– კადრულობა რა შუაშია, სხვა დროს იყოს, ვარწმუნებდით თავდაჯერებით.

– არა, ამაღამ ყველა ჩემი სტუმარი ხართ! – არ იშლიდა თავისას კოლა და ეს სიტყვები ისე დაჟინებით გაიმეორა, რომ ყველას გულის სიღრმეში ჩაგვწვდა, უარის თქმაც აღარ შეგვეძლო. მანქანაში მოვთავსდით. საჭეს თემო მართავდა.

– აქვე, ახლოს ცხოვრობ, ხომ? – კითხა თემომ.

– არა, შენ რომ აგარაკი იყიდე, იმ სოფელში გადავედი საცხოვრებლად.

– ყოჩაღ, კოლა, კარგი შესაძლებლობა გქონია, ორ ადგილზე ბინა, – აგარაკი, სახუმარო საქმე არ არის!

– არა, ზედსიძედ ვარ შესული. აქ ჩემი მეორე პირი ცოლ-შვილი ცხოვრობს, მამისეულ სახლში. პირველს ადრე გავეყარე.

– მაშ, აგარაკიანი ცოლი მესამეა, ხომ? – ვკითხე.

– ასე გამოდის!

უნებლიედ, ყველას ხუმრობის საღერღელი აგვეშალა:

– სიდედრი გყავს, თუ... ჰკითხა ვანომ.

– უსიდედროდ ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა. ისეთია, ცხენიან კაცს დასცემს მიწაზე.

– წინაკასავით მწარე სიდედრი გყოლია, ძმაო, – არ ეშვებოდა ვანო.

– რას ამბობ, შაქარივით ტკბილი ქალია, ჩემთვის. – „შაქარ-დედიკოს“ ვეძახი, ყოველთვის.

– იცი, სიდედრის ყოლა რას ნიშნავს?

– რას?

– ასაფეთქებლად გამზადებულ ნაღმს. ისიც გეცოდინება, ჩასიძებულ კაცს რასაც ეძახიან? – ისევ წაჰკბინა თემომ.

კოლა შეცბა და სანამ პასუხს გასცემდა, ზურამ დაასწრო:

– „მამალ პატარძალს!“

ზურას ამ სიტყვებმა უფრო მეტად გაგვამხიარულა და ავხარხარდით.

– კარგით, რა, ბიჭებო, ისეთი სიდედრი და მეუღლე მყავს, თქვენი მოსაწონი.

– ისე, რას ფიქრობ, ძნელია ზედსიძეობა? – არ აცალა სიტყვის დამთავრება თემომ.

კოლა დაფიქრდა.

– ჩემს საადვოკატო პრაქტიკაში ბევრი საოჯახო დავის მოწმე გავმხდარვარ, ბევრი საქმე მომიგია მოსარჩლის სასარგებლოდ, მაგრამ ზედსიძეობის და მასთან დაკავშირებული პრობლემები ერთ-ერთი ურთულესია მსოფლიო საადვოკატო საქმიანობაში.

ეს ფრაზა მონოლოგივით, ისეთი სერიოზულობით წარმოთქვა ვანომ, რომ წამით ყველა გავისუსეთ. მერე თავი ვეღარ შევიკავეთ და ავხარხარდით.

– შენ რაღა გაცინებს, ბატონო პროფესორო. აქ ყველა ცოლ-შვილიანი ვართ. მე რომ დამჭირდეს, რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ შევალ „მამალ-პატარძლად“, შენ რა გაქვს სათქმელი? – გამკენწლა კოლამ.

– თქვენი აზრით, ჩემო ზურა, როგორც ექიმს, მინდა გკითხოთ, მაინტერესებს, რა გავლენას ახდენს ზედსიძეობა კაცის ფსიქოლოგიასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე? – მთელი სერიოზულობით შეეკითხა ვანო.

– ფსიქოლოგების მტკიცებით, ე.წ. „მამალი პატარძლობა“ ისეთივე მავნებელია კაცის ჯანმრთელობისთვის, როგორც სიგარეტი. სახლი, რომლის მშენებლობაში შენი ოფლის წილი არ დევს, ყოველთვის ცივია. ამდენად, ეს ცივი კედლები ხელს უწყობს ისეთი დაავადებების გავრცელებას, როგორიცაა სურდო, გრიპი, ფილტვების ანთება. ამ მოსწრებული პასუხით ერთხელ კიდევ ავხარხარდით. უნდოდა თუ არა, კოლაც აგვყვა.

ამ ხუმრობა-ხუმრობაში სოფელსაც მივაღწიეთ.

ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეულ ორღობეებში თემო ძლივს იკვლევდა გზას. მეგზურობას, რა თქმა უნდა, კოლა გვიწევდა და, როგორც იქნა, მის სახლსაც მივადექით.

ბოძზე მოციმციმე ნათურის შუქზე დავინახეთ, როგორ ეცა კოლა ნახევრადმოღრეცილ რკინის ალაყაფის კარებს, ფართოდ გამოაღო და ხელით გვანიშნა, შევსულიყავით. ადგილიდან არ დავძრულვართ. უცებ თემომ მანქანა აათუხთუხა, საჭე მკვეთრად მოატრიალა თავისუფალი ადგილისკენ მოსაბრუნებლად, რომ, კოლამ გზა გადაგვიჭრა და მანქანის წინ აიშოტა.

– ცოცხალი თავით არ გაგიშვებთ. მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა – ჩემი!

და, სანამ ახალ გადაწყვეტილებას მივიღებდით, კოლას ყვირილის ხმა ზარივით გაისმა:

– ბაბუცა, ბაბუცა, გაიღვიძე, სტუმრები

გაგრძელება გვ.8 ▶

რაც უფრო ძლიერი იქნება ქართველოლოგია...

არის თუ არა სურვილი ჩვენს ახალგაზრდებში იმ ქვეყნების ენის, ისტორიისა და კულტურის შესწავლისა, რომლებთანაც ისტორიულად გადაჯაჭვული იყო საქართველო?

შეიძლება დღეს ჩვენს ახალგაზრდობას, გამომდინარე დასაქმების სირთულეებიდან, სხვა სპეციალობები უფრო იზიდავდეს, ვიდრე, მაგალითად: არმენოლოგია, ირანისტიკა, კლასიკური ფილოლოგია, ებრაისტიკა... ანუ იმ ქვეყნების ენა, ისტორია და კულტურა, რომლებთანაც ისტორიულად იყო გადაჯაჭვული საქართველო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ამ დარგების განვითრებას შეეშალოს ხელი.

გამომდინარე სახელმწიფოებრივი აზროვნებიდან, ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს მათი წინსვლა, რაც, თავის მხრივ, გააძლიერებს ქართველოლოგიას.

ხოლო, რაც უფრო ძლიერი იქნება ქართველოლოგია, მით უფრო **წარმოვაჩენთ** მსოფლიოს წინაშე ჩვენს დიდ კულტურულ **წარსულსა** და, ამავე დროს, დავიცავთ მას.

დიახ, ჩვენ ჩვენი ფენომენით თუ დავიმკვიდრებთ ღირსეულ ადგილს თანამედროვე მსოფლიოში და არა რომელიმე ბაღჩეული კულტურის უხვი მოსავლის მოწევით, რაც, რა თქმა უნდა, აუცილებელია ჩვენი არსებობისთვის.

დიახ, მეცნიერების ყველა ის დარგი, რომელიც ხელს უწყობს ქართველოლოგიის განვითარებას, ვიმეორებთ, გამომდინარე **სახელმწიფოებრივი** აზროვნებიდან, ხელისუფლების მუდამ **საგანგებო** ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ნომადი ბართაია,
პროფესორი



ვაჟა-ფშაველა - 160

სიყრმე სიბერედ ვაქციე

(სიმღერა)

სიყრმე სიბერედ ვაქციე,
ერი კი – ვერა ერადა.
იმედი მქონდა... ჩონგური
მოვმართე, დავჯე მღერადა.

მეწადა, ჰანგი მსმენელთა
გულისა ამაზრზენადა,
ჰქმნილიყო ჩემთა მოძმეთა,
ცად აეწია ზენადა.

შევამკე მთები მაღლები
და ბარი ათასფერადა,
აზრი საერთო, საქვეყნო
მინდოდა გასაკვერადა;
ამისთვის თავსა დავწიე,
ვაქციე ნაცარ-მტვერადა.

ვადიდე გმირთა სახელი,
მკლავი და სულით დიდობა,
დავძრახე ქვეყნის ორგული
და შეურაცხვყავ ფლიდადა;
სიმაძღრე სიმშილზე ვცვალე,
ფუფუნებაზედ – მწირობა.

მინდოდა არ შემებღალა
მე წმინდა დედა-შვილობა.
პირნათლად მივალ საფლავში,
მტკიცედ დავიცევ პირობა.

ამას მითვლიან ცოდვადა,
რაშიც მე მიჩნდა გმირობა;
თავს დამჩხავიან ყორნები,
გაუმართიათ ყრილობა.

შემირცხვა ზოგის ნამუსი,
გრძნობა, აზრი და ზრდილობა:
კაცობად დაუსახიათ
სიჩერჩეტე და ვირობა!

რა მეთქმის? გული მკვდარია,
ცრემლი მდის ნუგეშ-მწველადა;
მე კაცთა შორის მეტი ვარ,
უნდა გავიჭრა ველადა,
რაკი გადიქცა ეშმაკი
ტკბილ მოსაუბრე გველადა
და თანამომძმე ეს ჩემი
მის ყურისმგდებელ ევადა,
როს გახდა საქვეყნო საქმე
უსუსურთ საღეჭ კევადა.

1907 წ.

მუტრუკი მიტომ მუტრუკობს

მუტრუკი მიტომ მუტრუკობს,
დედა ჰყოლია ვირიო.
კაცი ბეჩავის მჩაგრავი
სად გაგონილა, გმირიო!

გაიგე ავი და კარგი:
შაუფეროდე ყველასა;
ნუ მიენდობი, ერიდე,
კაცს გაიძვერას, მელასა.
ოღონდ ვაჟკაცი ვარგოდეს,
რა უშავ ჩოხის ძველასა.

გიორგი მაზნიაშვილი

▶ დასაწყისი გვ.1

ხსნის. თითქოს ეს არაფერიაო.

თქვენც, მაგედან, ისტორიული მესხეთიდან, რომელსაც აჭარასავით ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია, ხმამაღლა შეახსენეთ ყველას, რომ გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ღირსია, რომ იმ ქალაქში, რომელიც მისი გენიალობის წყალობით შეუნარჩუნდა საქართველოს, იყოს მისი ძეგლი, ან, თუნდაც, ბიუსტი მაინც. თუ ამას გააკეთებს თქვენი გაზეთი, მადლობელი დავრჩებით.

და, ბოლოს – მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმის განთავისუფლებიდან რამდენიმე დღეში ქალაქში ჩამოვიდა სერგო ორჯონიკიძე. მასსა და გიორგი მაზნიაშვილს შორის ასეთი დიალოგი შედგა. ორჯონიკიძე ეუბნება გიორგი მაზნიაშვილს: **,,შენ, მენშევიკების გენერალო, კანონგარეშედ იყავი გამოცხადებული, ყველას შეეძლო შენი დახვრეტა, მაგრამ ჩვენ არ დაგხვრეტთ თუ ჩვენს მხარეს გადმოხვალ და ჩვენთან ერთად იომებო“**. აი გიორგი მაზნიაშვილის პასუხი: **,,მე არც მენშევიკების და არც ბოლშევიკების გენერალი არ ვარ, მე საქართველოს გენერალი ვარო”!**

აი კიდევ მისი სიტყვები: **,,თუ ერთი გაბრაზებული თაობა დამხვრეტს, მეორე დაწყნარებული თაობა ჩემს სახელს უკვდავებით შემოსავს”!**

დიახ, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ნამდვილად ღირსია მისი სახელი უკვდავებით შეიმოსოს, მაგრამ მიაგებს კი დღევანდელი საზოგადოება მას ღირსეულ პატივს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო საზოგადოებავ!

ოთარ გოგოლიშვილი,
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

რედაქციისაგან:

გიორგი მაზნიაშვილის ღვაწლი საქართველოს უახლეს ისტორიაში მართლაც განუსაზღვრელად დიდია. დღეს, როდესაც საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტი ოკუპირებულია, განსაკუთრებით გვმართებს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა პატივისცემა და მათი ცხოვრების მაგალითებზე ჩვენი მომავალი თაობების აღზრდა. უნდა იცოდეს ახალგაზრდობამ, რომ სამშობლოსათვის თავდადება უკვალოდ არ ჩაივლის. მათი დაუფასებლობა, მათი გმირობის დავიწყება კი, არავითარ სიკეთეს არ მოუტანს ქვეყანას!

ვუერთდებით ბატონ ოთარ გოგოლიშვილის ინიციატივას, – ქალაქ ბათუმის ცენტრში აუცილებლად უნდა დაიდგას გიორგი მაზნიაშვილის ძეგლი, როგორც სიმბოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი თავდადებული გმირისა!

„არაჩვეულებრივი მასპინძლობა“ ანუ „მამალი პატარძალი“

◀ დასაწყისი გვ. 2

გვყავს, სტუმრები!..

ჩაბნელებული სახლიდან არავინ გამოგვხმაურებია. მეორედ უფრო მჭექარედ გაისმა მისი ხმა. ეს ხმა იმდენად „შედეგიანი“ აღმოჩნდა, რომ მეზობლის ძაღლებმა ყეფა ატეხეს. მერე, სიბნელეში, ჯერ წინა ოთახის ფანჯარა განათდა, შემდეგ – ერთსართულიანი სახლის აივანი. რამდენიმე წუთში კი აივანზე გამავალი კარები გაიღო და სინათლის მკრთალ შუქზე ჯერ ერთი, მერე მეორე ქალის ფიგურა გამოჩნდა.

– ბაბუცა, ბაბუცა, რა სტუმრები მოგიყვანე, რა სტუმრები, ისეთი ინტელიგენტები არიან, ისეთი, რომ მთელ სოფელს შეშურდება! აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, როგორ გაგვიმასპინძლდები!

– სტუმრები შენა და ცეცხლი შენა, რა დროს სტუმრობაა, ამ შუაღამისა! – დაიჩხავლა წინ მომავალმა ქალმა. ეს, ალბათ, კოლას ცოლი იქნება, – გავიფიქრე.

– რაო? სტუმრებიო? ამოგიწყდეთ ჯიში და ჯილაგი! – მხარი აუბა მეორემ. ესეც, ალბათ, კოლას სიდედრი იქნება, გამიელვა თავში.

– მოათრევდი შენისთანა ლოთებს, მაწანწალებს. მაინც სად შეკრიბე ამ შუაღამისას ამდენი ლოთი! – ამ სიტყვებმა კი თავზარი დაგვცა.

– გაეთრიეთ, ჩემი სახლიდან, თქვე მათხოვრებო, თქვენი სინსილა არ ვნახო ჩემს ოჯახში, – იწივლა მეორე ქალბატონმა და, იქვე, სახლის მოაჯირზე აყუდებულ კეტს წამოავლო ხელი. საქმე ცუდად იყო. მანქანის წინ კოლა იდგა, მის უკან მდგარი ორი გაავებული ქალი ჩვენსკენ მოიწევდა, უკანდასახევი გზაც, მისი სივიწროვისა და სიბნელის გამო, აღარ გვქონდა.

საქმეს ცუდი პირი უჩანდა.

თემომ სიგნალი ჩართო. გზის გათავისუფლებას თხოვდა. კოლა კი ადგილიდან არ იძვროდა. ამასობაში ისევ კოლას ცოლმა იმარჯვა, – ძლიერი დარტყმით კოლა გვერდზე მოისროლა და, ჩვენდა საუბედუროდ, მანქანას დაუწყო მუშტების ბრახუნი. მას არც ახლა კოლას სიდედრი ჩამორჩა.

– ააა, ლოთებო! დალევა მოგინდათ, არა?! არ გეყოთ, რაც მთელი ზამთარი ილოთავეთ? ერთი გრამი არაყი აღარ შემარჩინეთ ოჯახში, თქვე უდღეურებო, თქვენა!

მოკლედ, ისეთი ხმაური და ალიაქოთი ატყდა, მტრისას.

კაცი ქალების „ლოცვა-კურთხევას“ კიდევ გაუძლებდა, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, მეზობელი სახლების აივნები გაჭახჭახდა და ღამის ბინდში ჩვენსკენ მომავალი ადამიანების ჯგუფი დავლანდეთ. ცოტა ხანში ჩვენი ავტომანქანაც ცნობისმოყვარეთა ალყაში მოექცა, სადაც სირცხვილნაჭამი, თავლაფდასხმული ოთხი კაცი ველოდით მოსალოდნელ „განაჩენს“. ავტომანქანის ფარების შუქზე კარგად ვარჩევდით ცნობისმოყვარეთა სახეებს. უცებ, მანქანასთან, სანახევროდ გამოფხიზლებული კოლა შეჩერდა. მკვდრისფერი დასდებოდა საწყალს. ორი კაცი ძლივს აკავებდა. გაცოფებული ცოლისა და სიდედრისკენ ინევდა, მრავალსართულიან გინებას უგზავნიდა ორივეს. ადამიანურად მართლა შემეცოდა ჩვენი მეგობარი.

– ეჰ, რა ბიჭი იყავი, რა ბიჭი, კოლა. თავზე ბუზს რომ არ აიფრენდი, ახლა აქ, ვიღაც სოფლელმა, ხეპრე ქალებმა როგორ გათელეს შენი ღირსება, – გავიფიქრე დანანებით. ჩვენ კი... განსაკუთრებით შეურაცხყოფილებს, ალბათ, ერთი აზრი გვიტრიალებდა თავში, როგორმე გავცლოდით აქაურობას, მაგრამ, როგორ?..

უცებ ხსნის ერთადერთი იდეა დამებადა და თემოს წავჩურჩულე:

– შენ პოლიციის უფროსი ხარ, ჩემო თემო. მთელი მუნიციპალიტეტი გიცნობს, გადადი მანქანიდან და ხალხს დაელაპარაკე. ამ ქალებთან იქნებ როგორმე გამონახო საერთო ენა.

– გადავიდე? ნურას უკაცრავად! ხვალ მთელი მუნიციპალიტეტი ჩემზე ილაპარაკებს, თავი მომეჭრება, შეიძლება სამსახურიც დავკარგო!.. – თქვა და, საკუთარი თავის უფრო მეტად შენიღბვის მიზნით, პიჯაკის ჯიბიდან მზის სათვალე ამოიღო და თვალებზე გაიკეთა. ამის შემხედვარეს, უნებლიედ, გამეღიმა, გაოცებულიც დავრჩი მისი საქციელის გამო, – რისთვის დასჭირდა მას ამ სიბნელეში სათვალის გაკეთება?

– მე გადავალ! – უცებ თქვა ვანომ. კარები გამოაღო და ავტომანქანის წინ დადგა. სიმპატიური გარეგნობისა და არისტოკრატიულად ჩაცმულ-დახურული თემოს დანახვაზე ბაბუცას ხმა ჩაცხრა. გარშემომყოფელებმაც მონუსხულივით შეათვალიერეს, რომელიც სრულიად არ ჰგავდა ლოთობას გადაყოლილ ადამიანს, როგორც ეს მოყაყანე ქალების გონებაში აღიქმებოდა ცოტა ხნის წინ. მისმა საუბარმა მაშინვე მოხიბლა და დააცხრო გარშემომყოფელნი.

– ჩვენ, ყველა, კოლას თანაკლასელები ვართ, ქალბატონო ბაბუცა, რესტორანში ნაქეიფრებმა კოლა მოვაცილეთ სახლში, არც გვშია, არც გვწყურია, თუ შეიძლება გზა მოგვეცით!..

სახტად დარჩენილი კოლას ოჯახობა და სეირის მოყვარულები ცივად გაგვცილდნენ. მხოლოდ კოლა დარჩა მარტოდმარტო გაქვავებულ მდგომარეობაში და, ვიდრე ადგილიდან დავიძრებოდით, ვანომ მანქანის სალონიდან თავი გამოყო და ყველას გასაგონად კოლას გასძახა:

– კოლა, დროა გასცილდე მაგ უპატრონოებს, მაგათი არც ასეთი აგარაკი გინდა, არც სახლი და არც ქონება. ჩამოდი თბილისში, მეოთხე საცოლეს მე თვითონ შეგირჩევ, საადვოკატო მომსახურებასაც უყოყმანოდ, მაღალ დონეზე გაგიწევ!

ფარნა რაინა

უნდა – დადნე და...
უნდა – დაიწვა!!!

მუხა რომ არის –
ნამეხარი, –
ოდით,
ნამუმლი,
თუ ხარ
ქართველი,
მასთან იყავ, –
გულით,
წამი-წამ...
სიყვარულისთვის,
სიკეთისთვის –
ხალხის,
მამულის,
უნდა – სუნთქავდე!
უნდა – დადნე!
უნდა – დაიწვა!!!

უნდა იროდე...

შენ მოგიზღავენ,
თვითონ, რაც აქვთ,
ყველა
იმ ცოდვებს,
არ შეიცვლიან –
სიყვარულით,
გულს და...
იერსო...
თუკი –
ღმერთი ხარ,
უნდა
გწამდეს,
უნდა
იცოდე;
შენც გაგაკრავენ
ჯვარზე ისე,
ვითარ –
იესოს...

ჯეშმარიტება[1] თუ არ ახლავს საქმეს და... მიზანს...

რუსთაველს ვკითხოთ,
ვკითხოთ
საადს,
ჰაფეზს და ნიზამს, –
უსამართლობა –
ჯოჯოხეთის,
ქარსა და...
კარს ჰგავს...
ჭეშმარიტება
თუ არ ახლავს –
საქმეს და...
მიზანს,
აზრსა და მიზანს
და... ღირსებას
მტვრად აქცევს, –
კარგავს...

სუყველა ხატავს საკუთარ სახელს...

ვინ –
მიზნით,
განცდით...
და... სურვილით,
სიცოცხლეს
იწვავს, –
სუყველა, საქმით:
ხატავს, ძერწავს
საკუთარ სახეს...
ვინ –
განძს აგროვებს,
ვინ კი –
გულზე დასაყრელ
მიწას...
ვინ კი –
სიყვარულს,
სიდიადეს,
სხივსა და
სახელს...

სიყვარული გადაგვარჩენს, მხოლოდ[2]...

სიყვარულით –
გულის ცრემლიც
შრება,
სიკვდილია –
შუღლიც,
მტრობაც...
ხოლო, –
სიყვარული –
სიცოცხლეა,
შვება...
სიყვარული
გადაგვარჩენს, –
მხოლოდ!

ავთანდილ ივანიძე

ბავშვის ლოცვა

მომეცი ძალა, უფალო,
ბავშვი ვეწიო საწადელს,
ჩემი სამშობლოს ღირსეულ
მამულიშვილად გამზარდე.
უფალო! მადლი მომაცხე,
ვუწამლო ქვეყნის ვაებას,
მეყოს ძალი და გონება
სამშობლოს ასაყვავებლად.
შევძლო, დავიცვა მამულის
მიწის ყოველი ნაჭერი,
ნამოღვაწარი შემიქონ
და დამილოცონ გამჩენი.
სიკეთისათვის ვიცხოვრო,
არ დავივიწყო მთავარი, –
ღირსეულ შთამომავლად მცნონ
დავითისა და თამარის.

ძმებს შორის გზა რად ჩაღობეს, –
ფიქრი არასდროს მტოვებდა:
დამამეგობრე უფალო,
ჩემ აფხაზ თანატოლებთან.
გავიზრდები და კეთილი
საქმის მეტს არას ჩავიდენ...
გზა გამიხსენი, უფალო,
სამაჩაბლოში ჩავიდე.
იქ ჩემი თანატოლები,
ჩემი დები და ძმებია, –
ეს ამიხდინე, უფალო,
რაზეც ბავშვს მიოცნებია!

სამშობლოვ, ჩემო!

ვეთაყვანები შენს ბაღს და ვენახს,
მწვანე ჭალაში – ბალახებს ცვრიანს,
სემირამიდას ბაღების ხელას,
მონად ყოფნა რომ არ შეგიძლია.

შენთან იქრობდა სტუმარიც სევდას
და უმართლებდა ბედი მოლოდინს, –
აქ, ქართველ ტურფებს თაყვანს რომ სცემდა
გრიბოედოვი და ლერმონტოვი.

არ იკარებდა ზრახვებს ბოროტთა,
როგორც ითხოვდა ქართველთ ადათი,
მაიაკოვსკი სადაც ცხოვრობდა,
ყველგან ახსოვდა ზეცა ბაღდათის.

როგორც არ უნდა მადლი გეთესა –
იყო მტერიც და ბრძოლა ფიცხელი,
მაგრამ სტუმართან და მოკეთესთან
სათაყვანები ხარ მასპინძელი.

მაგრამ, არ ვიცი, ხვალ რა იქნება,
ვერ განვსჯი, თუნდაც ვიყო ეზოპე...
მჯერა, კი ... თვალი აეხილება
გადამთიელს და გვერდით – მეზობელს.

ელეგია

სინამდვილეში, არა მითებში,
კაცი ბედს ვერსად ვერ გაექცევი
და წუთისოფლის ლაბირინთებში
უნდა ვიარო ხელისცეცებით...

აღარ ანათებს მზე ჩემს სანახებს,
მიტოვებული ქარში ზვრებია,
და დღემდე კარგი რაც დამანახე, –
ჩათვალე, ვითომ დამსიზმრებია.

ქალი იყავ თუ ვაზთან მეძინა,
მტევანი თითქოს ქალის მკერდია...
და ის მტევანი, ვაზის ლერწიდან,
ვითომ, არასდროს მომიწყვეტია.

როცა ვიხსენებ ახლა იმ თვალებს,
ვერ შევიყვარებ ისევ თავიდან...
ერთხელ რაც უკვე გადავიტანე,
იმას მეორედ ვერ გადავიტან.

დაუდგენია ის რაც ზენაარსს,
ვერ აიცილებ იმას უარით;
შეხვედრა თითქოს ბედისწერაა,
განშორება კი – გარდაუვალი.

უშანგი ჯანგირაშვილი

შატილის ციხის რემინისცენციები

„მტერი არ შამხვდა მტრისფერი,
ვარ უბედური დღისაო!“
მიხა ხელაშვილი

კენჭი რამ მოწყდა ციხის გალავანს,
ადრე სცვიოდა რისხვის ლოდები!
შატილის მზეო, სისხლი გფერავდა,
მეხოტბედ ვაჟას ელოდებოდი! –

„არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
ცა ახურია კლდისაო!“

დღე დღევანდელი გუშინდელს ჰგავდა, –
ნამი მბრწყინავი ცრემლად ვიცანი;
შორს, ჭიუხებში, თოფი გავარდა,
მგონი, ალუდამ მოკლა მუცალი!
...
მოყმე ამოკვნესს სისხლმდენი:
„შუქი მიქრება მზისაო;
მტერი შემომხვდა მტრისფერი,
ვარ ბედნიერი დღისაო!..
ცრემლი და ლოცვა მიმყვება
ხევსური კაი ყმისაო!
მიმავალს გამიბრწყინდება
ბილიკი ბნელეთისაო!“
...
ნეტავ რას ფიქრობს ის ნისლი,
რაზე ჩურჩულებს ქარიო?..
„ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო!“..
...
საღამოს, არღუნის წყალი
გმირობის ამბებს ჰყვებოდა,
მაღლა კი, ციხის ტატნობზე
ცა მუცალივით კვდებოდა!..

სიტყვა და სეტყვა

ისე ცხელოდა, თითქოს მზის გულში
ვისხედით მე და მთელი პლანეტა;
ძლივს, საღამოჟამს, უფალმა ცაზე
თეთრი ბატკანი შემოახეტა.

მერე მყისიერ ის ფარად იქცა
და შუაღამით გრგვინვა-ბღავილით,
დააცხრა მიწას და ასალოკად
თან მოიყოლა სეტყვის მარილი...

ყვავილებო, ხეებო...

ყვავილებო, ხეებო,
სიცოცხლითაც მჯობიხართ
და
სიკვდილითაც;
მთელი სიცოცხლე
დედის მკერდში ხართ
ჩახუტებული,
ბედნიერებო!
სიკვდილის შემდეგ კი:
მე მიწად ვიქცევი,
თქვენ – თაიგულებად და თივად,
ან – ხის ძვირფას მასალად,
სულაც – უბრალო შეშად,
რომლითაც
მილიონებს ათბობთ...

დედასამშობლო მეხუთება

ოცნებასავით მიმაქროლებს ავტო-მარუსა,
მსტოვრის თვალივით მზე ღრუბლებში
შემოპარულა;

ჩემ წინ წევს ქართლი თვალხატულა
ავლა-დიდებით,
თითქოს სამოთხე გახსნილა და...
ვეღარ ვმშვიდდები!

ქართლის მინდვრების ეს სიმწვანე
შემოდის ჩემში, –
თითქოს მწყურვალმა წყაროს წყალი
პეშვებით შევსვი.

შემოდის ჩემში ეს სოფლები, ხე და ბალახი,
გავხდი უნახველ, ათასჯერ მაქვს
თუმცა ნანახი!

ვარდებ-მაისის ლორთქო მწვანე
შემოდის ჩემში,
უნებურ სული ამომევსო ლოცვით
და ლექსით;

ამ სილამაზის პატრონი ვარ, და ვარ ამაყი! –
დედასამშობლო მეხუთება, წმინდა ალაგი...

ცრემლებით ნაფიქრალი

ჩემი დაბადების 70-ე წლისთავზე

(უდროოდ წასულ დიდ პოეტებს)

ტანჯვით ნახარებ სიცოცხლის ხეზე
სამოცდაათი ბჟუტავს სანთელი,
წვალება დიდი – უზალთუნებზე,
მაგრამ მთავარი განძი – სახელი...

ბიოგრაფიებს ჩავცქერი ცრემლით, –
ო, მაპატიე, უფალო, გვედრი!
კარგის მღირსებლებს რატომ არგუნე
დასანანები ბედი და ხვედრი?

მე ბოდიშს ვუხდი ლადოს და ტატოს,
ჯორჯ ბაირონს თუ ვაჟა-ფშაველას,
რატომ ვიცოცხლე მე მათზე მეტი,
მე, უნებლიე დამნაშავემა?

ბევრს ჭაღარაც არ გამორევია,
მე კი დამთოვა და კიდევ – რამდენს?
წუთისოფელი გაუწამსოფლდათ,
ამიტომ ვტირი და ცრემლებს ვაბნევ...

რომ შემძლებოდა, სიცოცხლის დღენი
მათთვის მიმეძღვნა-მიმეწილადა,
ხომ სხვა პოემა – ლექსების მთებიც
დახვავდებოდა ოქროს ზვინადა!

თუმცა, უგანათ ბედმა ტიალმა,
მაინც დიდების დაიდგეს სვეტი,
მათზე მეტი ხნით მზის მაცქერალმა
რა გავაკეთე მე მათზე მეტი –
მათ დარგული ხის ტოტსაც ვერ შევწვდი!..

მე ბოდიშს ვუხდი ტერენტის, მირზას,
ბერნსს, პუშკინს, კიდევ – მრავალის
ჩათვლით;
თქვენ გაიელვეთ სიცოცხლის ცაზე,
მზედ აენთეთ და ვარსკვლავად ჩაქრით!

---

1 „ქმნა მართლისა, სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

რუსთაველი

„როცა სამართლიანობა უჩინარდება, მაშინ, აღარაფერი რჩება ისეთი, რომელიც ადამიანურ ცხოვრებას ფასს დასდებდა“...

ემანუილ კანტი

„სამართლიანობა, კეთილ თვისებებს შორის, ყველაზე მაღალი თვისებაა“...

ციცერონი

„თუ შენ დამალავ სიმართლეს, – ეს იმას ნიშნავს, რომ – უღალატო ჭეშმარიტებას“.

ჯეკ ლონდონი

2 1964 წელს ამერიკის საპრეზიდენტო-საარჩევნო კამპანიისას პრეზიდენტობის კანდიდატის რეკლამა გახლდათ პოლიტიკური პროპაგანდის შედევრი: „გვირილა“, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ლინდონ ჯონსონს. „გვირილის“ ტექსტი დღესაც არ კარგავს აქტუალობას: „ჩვენ უნდა შევქმნათ სამყარო, რომელშიც ყველა ღვთის შვილი იცოცხლებს, ან გაუჩინარდება უკუნეთში. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, თუ არადა, მოვკვდებით“..

„ურჩმშვიდობიანი ჩუქჩები“

250 წლის წინ რუსეთმა აღიარა რუსეთ-ჩუკოტკის ომის უაზრობა. ჯარმა, რომელმაც ახლახან გაანადგურა ფრიდრიხ დიდი, თურქები და შვედები, წააგო მშვილდისრებით და შუბებით შეიარაღებულ პოლარულ აბორიგენებთან.

პოლარული შერკინება

რუსეთ-ჩუკოტკის ომი (უფრო ზუსტად, ომების სერია), ზოგიერთი მონაცემებით, გაგრძელდა 150 წელზე მეტ ხანს და დასრულდა ჩვენი სახელის გატეხვით. მართალია, ზოგი რამ დასაზუსტებელია, თუმცა რუსებმა უკან დაიხიეს არა იმიტომ, რომ დამარცხება დიადი იმპერიისთვის აღმოჩნდა ძალიან მტკივნეული, არამედ, უბრალოდ, ომმა აზრი დაკარგა (ამაზე ქვევით). და, რა თქმა უნდა, ეს არ იყო ყოველდღიური ბრძოლების 150 წელი. გარნიზონის ყოფნა ანადირის ოსტროგში, რამდენიმე გალაშქრება, რიგი შეტაკებები – აი მოვლენათა ქრონიკა. ჩუქჩების (მაშინ წერდნენ „**чюкчи**“) მთელი ტომი, მოხუცების, ქალების, ბავშვების ჩათვლით, შეადგენდა 10 ათას ადამიანზე ნაკლებს, რუსული რაზმები – ხიშტების რამდენიმე ასეულს (ხიშტები კი – ჯარისკაცები და კაზაკები, არც თუ ისე ბევრნი იყვნენ, უფრო მეტი – ამ „შემადგენლობაში ჩარიცხული“ კორიაკები და იუკაგირები). თქვენ თვითონ განსაჯეთ საბრძოლო მოქმედებათა მასშტაბები. და, საერთოდ, პირდაპირ ვთქვათ, დერუჟავისთვის მთავარი არ იყო საომარი მოქმედებების თეატრი.

იმპერია აქ მხოლოდ „დროშას ნიშნავდა“. 1763-ში ეს დროშა დახარა. განსაკუთრებულად კი ეს არავის შეუმჩნევია.

მაგრამ, მეორე მხრივ... რუსეთმა დატოვა ტერიტორია, რომელსაც უკვე საკუთრებად თვლიდა. განადგურდა მათი სამხედრო კონტინგენტი. დაიღუპნენ მხედართმთავარნი. ჩუქჩებმა ხელში ჩაიგდეს რუსეთის სამხედრო ნაწილის დროშა (და, ასევე, იარაღი, საბრძოლო აღჭურვილობა, ზარბაზანიც კი, რომელიც არც კი სჭირდებოდათ). მთავარი კი ის იყო– „აეძულებინათ ისინი პატივი ეცათ მათთვის“...

და, მაინც, რისთვის ებრძოდა რუსეთი ამ ტომს?

„ციმბირის ჩერქეზები“

ზოგადად, კანონზომიერი პროცესი მიმდინარეობდა: ითვისებდნენ რა ციმბირს, XVII-XVIII საუკუნეებში, რუსები სულ უფრო და უფრო მიიწევდნენ წინ უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებისკენ, თანაც, მოლაპარაკებებს ანარმოებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათ თავიანთ ქვეშევრდომებად აქცევდნენ და უდგენდნენ იასაკს (ხარკი ბეწვეულით). როცა აბორიგენები თითქოს მშვიდობიანად იყვნენ განწყობილნი, მათ უდგავდნენ საზამთრისებს, ხოლო როცა არამშვიდობიანად – გამაგრებულ ოსტროგებს. ჩუკოტკის ნახევარკუნძულზე აღნიშნული დროისთვის იყო საყრდენი წერტილი – ანადირის ოსტროგი, დაფუძნებული ჯერ კიდევ 1652 წელს ***სემიონ დეჟნიოვის*** კაზაკების მიერ. არ აგერიოთ დღევანდელ ქალაქ ანადირში, ის ოსტროგი დღევანდელი სოფელი **მარკოვოა,** – ადგილობრივი ოაზისი ნახევარკუნძულის სიღრმეში. ანადირი უბრალოდ იმიტომაა, რომ მდინარე ანადირზეა, რომლის ნაპირებზე ცხოვრობდნენ ჩუქჩები.

ჩუქჩები – ჰა-ჰა. როგორ არა, ვიცით! რამდენი ანეკდოტი დადის მათზე!

ამ ანეკდოტების მოყვარულთათვის: „ციმბირის ჩერქეზები“ – ასე უწოდა ჩუქჩებს თავის მემუარებში ყოფილმა გადასახლებულმა, პოლონელმა მეამბოხემ „კოსტიუშკოველმა“ **ი.კოპოტმა,** რომელიც აკვირდებოდა მათ და ადარებდა კავკასიელ მთიელებს, – **„ძლიერი, ახოვანი, მამაცი, მაგარი ალნაგობის, (...) მეომარი, თავისუფლების მოყვარული, შურისმაძიებელი ხალხი“** – ეს ჩვენი მონათხრობის ერთ-ერთი გმირის **დიმიტრი პავლუცკის** შეფასებაა. ის კი ჩუქჩებს უშუალოდ ებრძოდა.

ყველა ჩრდილოელი ხალხის მთავარი სიმდიდრე ირმებია. ის საკვებიცაა, ტანსაცმელიც, გადაადგილების საშუალებაც, ასევეა ჩუქჩებისთვისაც. მაგრამ თავის ჯოგებს ავსებდნენ მეზობლების – კორიაკების და იუკაგირების ჯოგების გატაცებით. „თავდასხმითი ეკონომიკა“ გარკვეული ეროვნული ტიპის ფორმირებას ახდენდა. ჩუკჩები გამოირჩეოდნენ თანდაყოლილი საბრძოლო უნარებით, სიმამაცით, უშიშრობით. ტყვედ ჩავარდნას ამჯობინებდნენ თვითმკვლელობას. არ იცოდნენ თოფი და დენთი, მაგრამ მშვილდისრებით ისროდნენ მიზანში, ახლო ბრძოლებში მშვენივრად იყენებდნენ შუბებს, აბჯარსა და ჩაფხუტებად – მორჟის (ლომ-ვეშაპის) ტყავს, რომლებიც უვნებლები გამოდიოდნენ, ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი მოწინააღმდეგებისაგან. ამას პლუს გადაადგილების სისწრაფე ნარტებითა და თხილამურებით, – ჰქონდათ მასკირების საუკეთესო უნარი, ძველი დროიდან მოყოლებული – მრავალი სამხედრო ხერხი.

სხვა ხალხებს ყოველთვის ზემოდან დასცქეროდნენ და რატომ უნდა გამოეჩინათ სხვაგვარი მოპყრობა ვიღაც მოსული რუსების მიმართ?! პატაკებში პირველი სამამულო ცნობები ჩუქჩების შესახებ მოღწეულია 1641 წლიდან, რომ მათ გაძარცვეს გადასახადების ამკრეფი რუსი „იასიკები“, რის მსგავსი შემთხვევები შემდეგშიც გრძელდებოდა...

1725 წელს იაკუტიელ კაზაკთა თავმა **ათანასე შესტაკოვმა** პეტერბურგს შესთავაზა ექსპედიცია მოეწყოთ ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთში. პეტერბურგმა იცოდა იქაური აუთვისებელი მიწებისა და მათი დაუბეგრავი ტომების არსებობის შესახებ და, ამასთან, კორიაკების ნაწილმაც უარი თქვა გადასახადების გადახდაზე, თუმცა, 1727 წელს, სენატმა მაინც მისცა თანხმობა **„ანადირის პარტიის“** შექმნაზე. მას უნდა შეესწავლა და გაეკონტროლებინა ჩუკოტკა, კამჩატკა, ოხოტის სანაპირო. შესტაკოვის კაზაკებს შეუერთეს ზემოხსენებული სამხედრო რაზმი დრაგუნთა კაპიტნის **პავლუცკის** ხელმძღვანელობით.

რუსი კონკისტადორები

„ჩუკოტკის ეპოპეის“ შესახებ საფუძვლიანად ვეცნობით რა 1720-50-იანი წლების მასალებს (ა. **ზუევის, ვ. გრიცკევიჩის** და სხვ.), ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს არა მარტო ლაშქრობები

და საბრძოლო მოქმედებები, არამედ თვით „მოქმედ პირთა“ ტიპაჟები. ეს ხომ კონკისტადორებია, ჩვენი **პისარო** და **კორტესები!** აქაც იგივე გამბედაობა, ენერგია და სიმამაცე, იგივე დაუნდობლობა (პავლუცკის სახელით ჩუქჩებით ისევ დიდხანს აშინებდნენ ბავშვებს). ზოგჯერ იგივე მუხანათობა (ასისთავმა შიპიცინმა მიიწვია მოსალაპარაკებლად ჩუკოტკელი უხუცესები და ყველა ამოხოცა). იგივე თავმოყვარეობა, გიჟური ტემპერამენტი. პავლუცკი და შესტაკოვი ვერაფრით შეთანხმდნენ, ვინ იყო მათ შორის მთავარი. 1729 წელს ორივე ერთად გამოვიდა ტობოლსკიდან, იაკუტსკისკენ გზად მიმავლები ისევ წაკამათდნენ და თავიანთი რაზმებით ცალცალკე განაგრძეს გზა დანიშნულების ადგილისაკენ. კაზაკთა მეთაური შესტაკოვი მოქმედებდა ოხოტის სანაპიროებზე – შერიგებას აწარმოებდა აჯანყებულ კორიაკებთან და ბრძოლას განაგრძობდა ჩუქჩებთან. 1730 წელს იგი ისრით ყელში დაჭრილი მტრის საფარს წააწყდა, ტყვედ ჩავარდა და თავი მოჰკვეთეს.

უფრო საინტერესო იყო პავლუცკის შემთხვევაშიც.

„კბილებიანი ადამიანი“

ისე, ის **პავლუცკი** იყო და, ამჟამად, ლიტვის დიდი მთავრის ოჯახიდან გამოსულის ვაჟიშვილს, ბელორუსს უწოდებენ. ამიტომ ბელორუსი ისტორიკოსებისთვის, თითქმის „ჩვენი თანამემამულეა“. ისინი აღნიშნავენ მის დამსახურებებზე. მოაწყეს ექსპედიცია ალასკის სანაპიროებთან... კამჩადალებს ასწავლიდნენ ხვნა-თესვას... პირველმა მოუყვანა მათ ძროხა და ხარი... ყველაფერი ასეა, მაგრამ პავლუცკი სხვა რამითაც იყო განთქმული.

1729 წლის სექტემბერში მან მიაღწია ანადირს და გახდა „პარტიის“ თავი. ჩუქჩების დარბევებით დაღლილმა იუკაგირებმა და კორიაკებმა ხალისით მიიღეს „რუსი ხელი“, მაგრამ ახლა ისინი უნდა დაეცვა. პავლუცკიმ მთელ ნახევარკუნძულზე განახორციელა ჩუქჩების წინააღმდეგ რამდენიმე ლაშქრობა. თოფების ცეცხლს ვერ გაუმკლავდა მოწინააღმდეგე და საშინელი დანაკარგიც განიცადეს ბრძოლებში. შემდეგ კი პავლუცკიმ გადაუარა ჩუქჩების სადგომებს, როგორც ნამდვილმა დამსჯელმა, მიზანსაც მიაღწია და გარკვეულ დრომდე „აიძულა მშვიდობისაკენ“.

დღევანდელი დეჟნიოვის კონცხთან ბრძოლის ადგილზე იპოვეს უცნაური ადამიანის – „კბილებიანის“ გვამი: ტუჩების განაჭერში ამოშვერილი ჰქონდა ძვლიდან გამოჭრილი მორჟის ეშვების მსგავსი რამ. ეს ადგილობრივი წეს-ჩვეულება არ არის. გაირკვა, რომ ეს იყო ჩუქჩების მხარეს მებრძოლი ესკიმოსი. ესკიმოსები კი ალიასკიდან არიან, რის შესახებაც რუსებმა მაშინ არაფერი არ იცოდნენ. მაგრამ თუ ჩუქჩებსა და ესკიმოსებს შორის რაიმე კავშირია, მაშინ ესკიმოსების მიწა ხომ შორსაა მათგან? პავლუცკიმ შეატყობინა პეტერბურგს. 1732 წელს ბოტმა **„წმიდა გაბრიელმა“** გადალახა ბერინგის სრუტე (მაშინ იგი ჯერ კიდევ არ ატარებდა ამ სახელს) და ასე გავიდნენ რუსები ალიასკის ნაპირებზე პირველად.

მერე პავლუცკი გამოიძახეს იაკუტსკში, მიანიჭეს მაიორის ჩინი. იგი შემდეგ მსახურობდა ჯერ კამჩატკაზე, შემდეგ იაკუტსკში და, ბოლოს, ანადირში. მაგრამ ჩუქჩები დაუმორჩილებლები იყვნენ. 1747 წლის მარტში მათ გაიტაცეს გარნიზონის ირმების ჯოგი. პავლუცკი ასიოდე კაზაკით და კორიაკით დაედევნა მათ და წააწყდა ჩასაფრებულ ჩუკოტკელ მეომრებს. ისინი ხუთჯერ მეტნი იყვნენ და, თანაც, უკვე იცოდნენ მოწინააღმდეგის სუსტი მხარეები. პირველი ზალპის შემდეგ კაზაკებმა დაიწყეს თოფების ხელახალი გადატენა (მაშინ ეს პროცესი ხანგრძლივი იყო), ამ დროს ჩუქჩები გადავიდნენ იერიშზე. ხელჩართულ ბრძოლაში პავლუცკის რაზმი დამარცხდა, თვითონ მაიორი კი დაიღუპა.

უსარგებლო მიწა

განრისხებულმა პეტერბურგმა ჩუკოტკაზე ახალი ჯარი გაგზავნა, მაგრამ გაყინულ, მოლიპულ ადგილებში ომი ხომ არც თუ ისე ადვილია! და, თანაც, ჩუქჩები პირდაპირ არ ებმებოდნენ ბრძოლაში, უპირატესობას პარტიზანულ ტაქტიკას ანიჭებდნენ. და, საერთოდ, ისინი კი არ გვებრძოდნენ, არამედ, უბრალოდ, ძარცვავდნენ მეზობლებს. ასე დუნე დაპირისპირებები გაგრძელდა კიდევ ორმოცდაათი წელი. **ელიზავეტას** დროს ციმბირის გუბერნატორი გახდა ბრძენი **ფიოდორ სოიმონოვი.** იგი ხშირად იმეორებდა: **დაანებეთ თავი ამ ჩუქჩებს, იცხოვრონ, როგორც უნდათ. მიწა მათ მწირი აქვთ, რაც მთავარია – ჩვენთვის უსარგებლო!** შესაძლო პლაცდარმია ალიასკაზე დარტყმისთვის? – არა! უფრო მარტივია ზღვით გალაშქრება. 1763-ში კი (250 წლის უკან), უკვე, ეკატერინეს დროს, ანადირის პარტიის ახალმა უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა **ფრიდრიხ პლენისნერმა** წარმოადგინა ანგარიში – რა უჯდება ხაზინას ამ პარტიის რჩენა. ციფრი აღმოჩნდა ასტრონომიულად დიდი. ამასთან არც შემოსავალი ჰქონდათ და არც მომავალში იყო მოსალოდნელი.

სენატი გაოგნებული დარჩა და გამოიტანა გადაწყვეტილება: პარტია გაუქმდეს, გადაითხაროს ოსტროგის სიმაგრეები, გაყვანილი იქნეს გარნიზონი და რუსი ახალმოსახლეები.

თუმცა, ათი წლის შემდეგ, საჭირო გახდა მათი დაბრუნება: ჩუკოტკის ნაპირებთან გამოჩნდნენ ფრანგული და ინგლისური გემები, რის გამოც შეშინდნენ, რომ „რუსულ ალიასკას“ გვერდით გაჩნდებოდა უცხო ფორპოსტი, მაგრამ ეკატერინემ მკაცრად ბრძანა ჩუქჩებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება და ყველაფერში ანგარიშის გაწევა.

და, მაინც, 1917 წლის ოქტომბრამდე, ჩუქჩები არ ითვლებოდნენ ბოლომდე „შემორიგებულებად“. თუმცა, „თეთრი ადამიანების“ მიერ შემოტანილი არაყი და ავადმყოფობანი ჩრდილოეთის მეომრებისთვის აღმოჩნდა უფრო საშიში, ვიდრე მაიორ პავლუცკის ყველა თოფი ერთად.

ეგზოტიკური მოწინააღმდეგენი და მოკავშირენი

მრავალი საუკუნის მანძილზე ვის არ ეომებოდა რუსეთი?! თათრებს, თურქებს, შვედებს, პოლონელებს, გერმანელებს... მაგრამ ეგზოტიკური მოწინააღმდეგეებიც გვხვდებოდნენ. მაგალითად, გავიხსენოთ „რუსეთ-ინდიელთა ომი“: 1802-1805 წლებში „რუსული ალიასკის“ კოლონისტები კუნძულ სიტკაზე ეომებოდნენ ინდიელ-ტლინკიტების (კოლოშების) ტომებს.

უფრო ადრე ჩვენ მოწინააღმდეგებად კინაღამ იქცნენ მადაგასკარის პირატები თუ მოკავშირენი! XVIII საუკუნის დასაწყისში იქაურმა ფლიბუსტიერებმა (ევროპული წარმოშობის) გადაწყვიტეს შეექმნათ თავისი „პირატული რესპუბლიკა“, რაზეც დახმარება სთხოვეს შვედეთს. ეს გახდა ცნობილი პეტრე I. 1723 წელს მან გაგზავნა საიდუმლო ექსპედიცია მადაგასკარის სანაპიროებთან... მაგრამ გაგზავნილი გემი გზაში ჩაიძირა და გეგმაც განუხორციელებელი დარჩა – 1725 წლის დასაწყისში მეფეც გარდაიცვალა და პროექტი თვითონვე შეწყდა.

1870-80-იან წლებში დიდმა მოგზაურმა მიკლუხო-მაკლაიმ შეამჩნია რა ინგლისურ-გერმანული სწრაფვა ახალი გვინეისაკენ, რიგრიგობით ორ იმპერატორს – ალექსანდრე II-ს და, შემდეგ, ალექსანდრე III-ს სთხოვა, დაემყარებინათ იქ რუსული პროტექტორატი, რამაც კინაღამ მოახდინა სახელმწიფოთაშორისო კრიზისის პროვოცირება, თუმცა პეტერბურგმა პაპუასების გამო არ მოინდომა ბრძოლაში ჩაბმა.

სერგეი ნეხამკინი,
გაზეთი „არგუმენტი ნედელ“, N39, 2013 წ.

რუსულიდან თარგმნა
ნინო კახიძემ

ნესტან სულავა

სამეცნიერო წრეები და ქართველოლოგიური პრობლემატიკით დაინტერესებული მკითხველები კარგად იცნობენ ცნობილ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, მესხეთში უნივერსიტეტის დამაარსებელს, ახალციხისა და ასპინძის საპატიო მოქალაქეს, **მერაბ ბერიძეს**, რომლის მეცნიერულ და შემოქმედებით აქტივში საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობაა. მისი კვლევის სფეროა ონომასტიკა, განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ტოპონიმიკა, რომლის შესწავლა მკვლევრისაგან მეცნიერულ ალღოსა და შრომასთან ერთად დიდ ფიზიკურ დატვირთვასაც მოითხოვს, რადგან ტოპონიმისტს მასალების შესაკრებად სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა უწევს. ვინც მერაბ ბერიძეს იცნობს, კარგად იცის, რომ იგი კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი არ არის, მუდმივად დადის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ეძებს ტოპონიმებსა და სიძველეებს, რასაც ხვალ, დროთა მსვლელობაში, პატრონი არასოდეს გამოუჩნდეს და შეიძლება დაიკარგოს. გეოგრაფიულ ადგილს შეიძლება სხვადასხვა გარემოების გამო სხვა სახელი ეწოდოს და ძველი ტოპონიმი დაიკარგოს. მერაბ ბერიძეს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ თითოეული ტოპონიმი საქართველოს ისტორიას, ქართველი კაცის ფსიქიკას, ხასიათს, თვისებებს, სოციუმისა და გარემოსადმი დამოკიდებულებას ინახავს. ამიტომ მის შრომებში გვხვდება ისეთი კვლევები, რომელიც სცილდება ტოპონიმიკის სფეროს, რადგან მის შრომებში ისტორიული ღირებულების მქონე ფაქტებია შეფასებული და წარმოჩენილი. იგი მეცნიერული თვალსაწიერიდან, ტოპონიმიკის განვითარების ისტორიკოსისა და თანამედროვე მკვლევარის თვალით აფასებს ყოველივეს, რათა სახურებული პაპის სამეცნიერო წიგნის გაფორმება. ცხადია, ეს ფაქტი პაპასაც ეამაყება.

მერაბ ბერიძის წიგნი „ვალის ტოპონიმია“ ორნაწილიანია: **პირველში საკუთრივ ვალის ტოპონიმიაა განხილული შემდეგი მიმდევრობით: ვალის მოსახლეობა მე-16 საუკუნეში, ვალის თუ ვალეს, ნადირაძე ვალეში, ვალის მთა, ზოონიმები მთაში, მემთეულები და მათი საცხოვრებლები, ვალის ტოპონიმთა ლექსიკონი.** მეტად საინტერესოა საკითხი „სამცხე „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით“, რომელსაც მესხეთის ტოპონიმიკის შესწავლის მისიასთან ერთად ისტორიული ღირებულებაც აკისრია. მართალია, წიგნს მოქმედია. სახელი ყოველ არსს, ყოველ არსებას, ყოველ საგანს სხვათაგან განსხვავებულობას, ინდივიდუალობას ანიჭებს, ხოლო სახელმდებელი, ბიბლიის მიხედვით – ადამი, ღვთის ქმნილებათაგან იერარქიულად უმაღლეს საფეხურზე აჰყავს თავად ღმერთს. ადამის მიერ ყოველი საგნისთვის სახელის დარქმევა თვით საგნის ბუნების, მისი თვისებრიობის გამოცნობას უტოლდება. ადამი საგანს სახელს არქმევს მათი შეცნობისა და წვდომის მიზნით; ადამის მიერ გაკეთებული პირველი საქმე შემოქმედებითი ხასიათისაა, რაც საქმისა და სიტყვის ერთიანობის გამოხატულებაა. საგნის სახელდება მეცნიერების ყოველ



მერაბ ბერიძე დაიბადა 1949 წელს დაბა ასპინძაში. დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა. 1972 წელს – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1973 წელს მუშაობა დაიწყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში ლაბორანტად, შემდეგ – მეცნიერ-თანამშრომლად და უფროს მეცნიერ-მუშაად.1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ჯავახეთის ტოპონიმია“, ხოლო 2005 წელს სადოქტორო – „მესხური ტოპონიმიის სტრუქტურული და ისტორიული ბრობლემის ანალიზი“.

1990 წელს დაბრუნდა მესხეთში და სათავეში ჩაუდგა ახლად დაარსებულ თსუ ახალციხის ფილიალს, ხოლო 2002 წელს სათუთქელი ჩაუყარა თსუ ჯავახეთის ფილიალს ახალქალაქში. 2005 წლამდე იყო ამ ფილიალების დირექტორი.

2012 წლიდან არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ხოლო 2014 წლიდან 2018 წლამდე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სპაპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი 2015 წლამდე. 2018 წლიდან დღემდე – რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

2009-2016 წლებში მისი რედაქტორობით გამოცემულია უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „გულანი“ (გამოსულია 20 წიგნი). 2016 წლიდან არის ყურნალ „არავის“ რედაქტორი (გამოვიდა 24 ნომერი). არის გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი.

მ. ბერიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, წიგნები და მონოგრაფიები, მათ შორის: „მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის“, „ტაძრები და სახლები“, „სოფლები და ნასოფლარები მოვაითხრობენ“, „შამადიან მესხების ფესვები და დღევანდელობა“, „ზველი და მისი შემოგარენი“, „ნასოფლარი ერკოტა“, „ასპინძის და ასპინძელობა“ და სხვა.

მერაბ ბერიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის მედლით, „ქართული სოლის“ ფესტივალმა უწოდა „დიდი მესხი“ და დაავადებულა ოქროს მედლით. 2013 წელს შეეცადინის ქ. ჯუნეიში გადაცემა ევროპის რექტორთა კლუბის დიპლომით. 2015 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი. 2016 წელს აირჩიეს ქ. ახალციხის საპატიო მოქალაქედ, ხოლო 2020 წელს ასპინძის საპატიო მოქალაქედ. 2017 წელს გახდა ნიკოლაძის პრემიის ლაურიატი. 2019 წელს მწერალთა კავშირმა მიანიჭა ქართული კულტურის რანდულ ნოდებაა.

პყავს მეულლე, სამი შვილი და რვა შვილიშვილი.

ებული მასალის გაცნობით, უკან დაბრუნებით გეოგრაფიული ადგილის სახელებს ცხოვრება გაუხანგრძლივდეთ.

მერაბ ბერიძემ საგანგებოდ აღნიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობის როლი ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის აღსრულებაში, რამაც თვით სტუდენტებსაც გამოცდილება შესძინა, ცოდნა გაუმდიდრა და, რაც მთავარია, ადგილის დედის სიყვარული გაუმძაფრა. ამ მხრივაც აქვს წიგნს განსაკუთრებული ღირებულება.

პირველი თავი **„ვალის მოსახლეობა მე-16 საუკუნეში“** საისტორიო დოკუმენტებს ემყარება, კერძოდ, მათში უთუოდ იგულისხმება აკადემიკოს სერგი ჯიქიას მიერ გამოცემული **„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“** და ვახუშტი ბატონიშვილის უკვდავი წიგნი **„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“**, რომლებსაც არა მხოლოდ ონომასტიკური თვალსაზრისით აქვთ მეცნიერული ღირებულება, არამედ ქართველთმცოდნეობის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკონომიური და სამართლებრივი საკითხების განხილვის გამო. წიგნის ამ თავში არა მხოლოდ მოსახლეობის წარმომავლობის, გვარ-სახელების შესახებ მსჯელობაა მოცემული, არამედ ვალის გეოგრაფიულ სივრცეში არსებულ ტოპონიმთა ისტორიულ ჭრილში განხილვისას თითოეული მათგანის განვითარების საფეხურებია გამოყოფილი; მერაბ ბერიძემ თავდაპირველ ფორმებს მიაკვლია და მიაწოდა მკითხველს. საამისოდ შეიძლება ხმოვანფუძიანი სახელების ნიმუშის დამოწმება: „კლდე-კლდეებიძკლდიები. ქვა-ქვეები-ქვიები“. ამავე დროს, ტოპონიმთა განვითარების მაჩვენებელი ამგვარი მაგალითები ვალის მოსახლეობის სოციალურ ისტორიასაც ასახავს.

ონომასტიკური პრობლემები ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ

დაინტერესებულ პირს აჩვენოს მისი ისტორია და თანამედროვეობა ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ ჭრილში; მერაბ ბერიძე ისტორიული დროის გადასახედიდან განსაზღვრავს, რითაა ესა თუ ის ტოპონიმი, საზოგადოდ, ნებისმიერი ონომასტიკური ერთეული, დღევანდელობისათვის მნიშვნელოვანი, ფასეული, რას ინახავს იგი, როგორია ქართველი კაცის ისტორიული მეხსიერება.

მერაბ ბერიძის კვლევის განსაკუთრებული სფერო მესხეთის ტოპონიმიაა, რასაც რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა და, როგორც ჩემთვის ცნობილია, კიდევ მრავალი ელოდება თავის რიგს გამოსაცემად. სამცხე-ჯავახეთის, როგორც საქართველოს სამხრეთის სასაზღვრო მხარის, ტოპონიმთა შეკრება-დამუშავებას არა მხოლოდ ენობრივი და ტოპონიმისტური, არამედ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. მისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის გამო საშურ საქმედაა მიჩნეული თითოეული ტოპონიმის ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში წარმოდგენა და გააზრება.

მერაბ ბერიძის 2020 წელს გამოქვეყნებული წიგნი **„ვალის ტოპონიმია“** მეცნიერის მიერ დიდი ხნის წინ დაწყებული კვლევის გაგრძელებაა. ერთი სოფლის ტოპონიმიის სერიით უკვე გამოცემული აქვს **„ზველი“, „ნასოფლარი ერკოტა“;** საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან შეიმუშავა ერთი სოფლის ტოპონიმიის კვლევის სტრუქტურა, რაც შემდეგ საკითხებს მოიცავს: კვლევის ისტორიიდან; თვით სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის; სოფლის არქეოლოგია; სოფლის მოსახლეობა ძველად და ახლა, ანუ სოფლის მოსახლეობის ისტორიულ, დიაქრონიულ ჭრილში წარმოდგენა; სოფელში მცხოვრებ გვართა ეტიმოლოგიისათვის; დღევანდელი მოსახლეობა; რელიგიური ფენომენი; თურქული ტოპონიმები სოფელში; სოფლის ტოპონიმთა მნიშვნელობისათვის; შერქმეული მეტსახელები; ლეგენდები და გადმოცემები სოფლის შესახებ; მთავარი მასალა – სოფლის ტოპონიმთა ლექსიკონი მრავალფეროვანი და მულტიდისციპლინარული თვალთახედვით შედგენილი კომენტარებით. უნდა აღინიშნოს, რომ მერაბ ბერიძის ამ მეთოდს სხვა ონომასტიკოსებმაც მიბაძეს და ცალკეული სოფლის ტოპონიმიაზე უკვე აქტიურად მუშაობენ.

წარმოდგენილი წიგნი გამოიცა ახალციხის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით. რედაქტორი გახლავთ ფილოლოგიის დოქტორი **მაკა ბერიძე,** რეცენზენტები არიან ფილოლოგიის დოქტორი **ნათელა მელიქიძე** და ისტორიის დოქტორი **იგორ კეკელია,** წიგნი ტექნიკურად უზრუნველყო **ლია ზედგინიძემ.** საგანგებოდ ბოლოსთვის შემოვინახე წიგნის მხატვრული გაფორმების ავტორი; მხატვარი **ნათია ბერიძეა,** მერაბ ბერიძის უფროსი შვილიშვილი, რომლისთვისაც დიდი პატივი იყო ასეთი დამ„ვალის ტოპონიმია“ ჰქვია და ერთი სოფლის ტოპონიმიის სერიითაა გამოცემული, მაგრამ მასში დაბეჭდილია მერაბ ბერიძის სხვა სტატიები, ინტერვიუები, რეცენზიები, ქრონიკები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიიდან, აგრეთვე, წარმოდგენილი წიგნის შესახებ პროფესორ **იზა ჩანტლაძისა** და პროფესორ **პაატა ცხადაიას** რეცენზიებიც, რომლებიც წიგნს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. უნდა ითქვას, რომ წიგნის სახელწოდება მასში განთავსებული მასალის შინაარსს, როგორც დაკვირვებული მკითხველი შენიშნავდა, ზუსტად არ ასახავს, უფრო მრავალფეროვანია პრობლემები, რომლებიც წიგნის ცალკეულ თავშია განხილული.

ჯერ წიგნის პირველი ნაწილის შესახებ, ონომასტიკურ თემაზე წარმოდგენილ სამეცნიერო შრომებზე ვისაუბრებ. ცნობილია, რომ ტოპონიმიკა, რომელიც მერაბ ბერიძის კვლევის ძირითადი სფეროა, ენის კუთვნილებაა, ამ მასალაში ინახება მხარის ისტორიაც და რელიგიური ვითარებაც, ისტორიული და დიალექტური ლექსიკა, ყურადღებას იქცევს ენის სუბსტრატის კვალი. ტოპონიმთა საკვლევად მომიჯნავე სამეცნიერო სფეროების, ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის მონაცემთა გათვალისწინებაც აუცილებელია. გეოგრაფიულ სახელწოდებათა, ანუ ტოპონიმთა, სტრუქტურის, მის სახეობათა სემანტიკის, ეტიმოლოგიის შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი და მნიშვნელოვანი შეხედულებებია გამოთქმული. საზოგადოდ, ონომასტიკაში, მის ყველა მიმართულებაში, ნათლად იკვეთება ადამიანის მეტყველების განვითარების საფეხურები, ხალხის ცნობიერების, აზროვნების, მსოფლმხედველობის, სოციალური ფენომენის, დროისა და სივრცის აღქმასთან დაკავშირებული ასპექტები, რადგან იგი საგნისათვის ადამიანის შემეცნებისა და აზროვნების შედეგად შერქმეული სახელია. სააზროვნო სისტემაში სახელდება, რა კანონზომიერების მატარებელიც არ უნდა იყოს, ადამიანის შინაგანი ბუნების, ადამიანის გარესამყაროსადმი დამოკიდებულების, სამყაროს აღქმისა და შეცნობის ერთ-ერთი უძირითადესი საშუალებაა; ყოველი სახელი საგნის არსს გამოხატავს, ხოლო სახელდება, საგნისთვის სახელის წოდება ადამიანის ცნობიერებას გვაცნობს. ბიბლიის მიხედვით, სახელდება შესაქმისეული პროცესის შემადგენელი ნაწილია, სწორედ ბიბლიური სახელდება და სახელის წოდება გახდა საფუძველი ყოველი საგნისა თუ მოვლენისათვის სახელის დარქმევისა. ადამი, როგორც ღვთის ნებით სახელმდებელი ყოველი არსისა, ღმერთის შემოქმედებითი, ანუ შესაქმური საქმიანობის გამგრძელებელია. ამიტომ ყოველი ადამიანი, რომელმაც გეოგრაფიულ სივრცეს (სხვა სახელდებებთან ერთად) მისი შესაფერისი სახელი უწოდა, შედარგში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აზროვნების, ცნობიერების ნაკადს წარმართავს. სახელი ორ შრეს მოიცავს, რადგან მასში მოიაზრება საგნის არსი და საგნის მარტივი აღქმის შედეგად მიღებული შთაბეჭდილება. ლოსევის სიტყვით, საგნის სახელის ცოდნა მის არსთან წვდომის საშუალებაა, რაც ურთიერთობის, აზრთა ურთიერთგაზიარების საფუძველს ქმნის (ლოსევი 1990: 155). სახელი სიტყვიერად გამოხატავს საგნის არსს, ბგერებით ხორცშესხმული სახელის, მისი სულიერი არსის წვდომა შესაძლებელია მისი ბგერითი სამოსლის შეგრძნების საშუალებით.

შესავალში მკვლევარმა განსაზღვრა თავისი მიზანდასახულობა, სერიის არსებობის აუცილებლობა. მისი სიტყვით, *„დღეისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ შეკრებას ონომასტიკური მასალისა, არამედ შეკრებილი მასალის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისათვის“*. მერაბ ბერიძე საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს XX საუკუნის 90-იან წლებში კომუნისტურ (სოციალისტურ) ურთიერთობებისა და ეკონომიკის (საკოლმეურნეო წყობის) თანმხლებ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობათა მოშლის შედეგად მოსახლეობის მასიურ მიგრაციას სოფლიდან, ქართველი ადამიანის მიწისაგან მოწყვეტას, რის გამოც დაიკარგა მიკროტოპონიმთა უმთავრესი, სამისამართო ფუნქცია. ამის საფუძველზე ხედავს სოფელთა ტოპონიმიის ცალ-ცალკე გამოცემის პრაქტიკულ დანიშნულებას და სოფელთა ტოპონიმიის ცალ-ცალკე გამოცემის სერიოზულ მეცნიერულ მნიშვნელობას. ამავე დროს, უკეთ ჩანს ამა თუ იმ სოფლისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომელთა შორის შეინიშნება შორეული დიალექტური თუ ენობრივი დანაშრევები, რასაც დაინტერესებული ადამიანი ვერ წააწყდება ვერც სალიტერატურო ენასა და ვერც მესხურ დიალექტში.

როგორც ჭეშმარიტ მეცნიერს შეეფერება, ცალკეული საკითხის, ცალკეული ტოპონიმის ეტიმოლოგიის განსაზღვრისას მერაბ ბერიძემ პატივი მიაგო წინამორბედ მეცნიერთა ნაღვაწს და ყველა იმ მკვლევრის დამსახურება აღნიშნა, ვისაც თავისი აზრი, თუნდაც განსხვავებული, ჰქონდა გამოთქმული ან რომელიმე ნაშრომში იყო ესა თუ ის ტოპონიმი აღნუსხული. არც ხალხური ეტიმოლოგიის დამოწმებას მორიდებია მისი გულუბრყვილობისა თუ არასერიოზულობის მიუხედავად, რადგან შესაძლოა იგი საინტერესო აღმოჩნდეს ეთნოლოგების, სოციოლინგვისტების და მეცნიერების სხვა დარგთა წარმომადგენლებისათვის. მითუმეტეს, რომ ბევრი მთხრობელი უკვე აღარაა ცოცხალი. წიგნში განხილული ტოპონიმების ცალ-ცალკე გამოცემის პრაქტიკული დანიშნულება იმანაც განსაზღვრა, რომ იქნებ სოფლად დარჩენილ მოსახლეობას ადრე მოძიძალზე საყურადღებოა რამდენიმე საკითხის შემოტანა წიგნში. „ნადირაძე ვალეში“ ნადირაძეების გვარის ისტორიასა და საქმიანობას, ამ გვართან დაკავშირებულ ლეგენდებს გვაცნობს, რითაც მოძიებული მასალა მხოლოდ ონომასტიკის სფეროს საკვლევად არ რჩება და მომიჯნავე დარგებისთვისაც მეტად საინტერესო მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ; მერაბ ბერიძის სიტყვით: *„მთელი ჩვენი ისტორია სისხლით და ოფლით დაწერილი ტოპონიმების სახით მოსულა ჩვენამდე, ოღონდ მას წაკითხვა და მოფრთხილება, შენახვა სჭირდება“.* საყურადღებოა მკვლევრის მიერ ნადირაძეთა გვარის ეტიმოლოგიის შესახებ გამოთქმული მოსაზრება: *„მონადირე ვერ დაედებოდა საფუძვლად გვარს – ნადირაძე. გვარის წარმოებისას ამოსავალია ნადირა და არა – მონადირე. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გვქონოდა მანადირაშვილი ან მონადირაძე. ნადირაძე შეიძლება ყოფილიყო მონადირე, მაგრამ მონადირე ვერ მოგვცემდა ნადირაძეს“* (ვალის ტოპონიმია, გვ. 19). ხსენებული გვარი გავრცელებულია იმერეთშიც და ამიტომ ამასთან დაკავშირებით შეიძლება იქნებ საჭირო იყოს იმერეთის ან სხვა მხარეთა ონომასტიკური მასალის მოძიებაც. „ვალის მთა“, საკუთრივ მთასთან დაკავშირებული საკითხის გარდა, შეეხება ვალის მთაზე არსებული სამი წყაროს სახელწოდებებს, მათ ეტიმოლოგიას, რაობას, არსს. მოთხრობილია მთის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ, რაც ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი.

„ზოონიმები მთაში“ მოგვითხრობს ცხოველთათვის სახელების დარქმევის ტრადიციაზე, მიუთითებს იმაზეც, რომ საქონლის ყოლა და მისთვის სახელის დარქმევა გარკვეულ რიტუალადაც კი გვევლინებოდა. მერაბ ბერიძე აღნიშნავს: *„ზოგჯერ ბავშვის დაბადებაზე მეტად უხაროდათ ხბოს მოგება, განსაკუთრებით თუ ახალგაჩენილი ხბოს სქესი დაემთხვეოდა პატრონის სურვილს – სახარე იქნებოდა თუ საფურე. თუ ადამიანის, ბავშვის გაჩენისას ბიჭის დაბადება უხაროდათ, რადგან ბიჭი იყო ძალა, ხვნაში და თესვაში დამხმარე, ოჯახის გვარის გამგრძელებელი, მშობლების პატრონი სიბერეში, ხბო უფრო საფურე უნდოდათ, მეწველ საქონელს მეტი ხვავი და ბარაქა რომ შემოეტანა, ამიტომ თითქმის არავითარი განსხვავება არ იყო საქონლისათვის სახელის დარქმევასა და ახალგაჩენილი ბავშვისთვის სახელის დარქმევას შორის. ოღონდ ხბორებისათვის სახელის მინიჭება უფრო თავისუფალი და ემოციური იყო, აქედან გამომდინარე, მეტი არქაულობა ახლდა ყოველთვის ამ პროცესს. ზოონიმები ასახავს და ემთხვევა ადამიანთა სახელდების, ანთროპონიმიის გარკვეულ ფენას. ზოონიმებმა დღეს გადაინაცვლა იმ დროში, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენი გვარების ჩამოყალიბებას. ამი-`>

ჭრილში მერაბ ბერიძის ახალი მონოგრაფიაში

ტომ ბევრი მათგანი დღეისათვის მეტსახელად გვხვდება, მაგრამ ფიქსირდება გვარებში“ (ვალის ტოპონიმია, გვ. 22). ცხადია, არც ამ თავში განხილული საკითხია მხოლოდ ონომასტიკის სფერო. ზოონიმებიდან და შინაური ცხოველებისათვის შერქმეული სახელებიდან წარმოიშვა გვარების ნაწილი, რომელთა განხილვაცაა მოცემული ნაშრომში. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ **ნიშანაძე, ჭრელაშვილი, შავთვალაძე, ნუკრაძე, ნუკრიაშვილი, შავიშვილი, შავაძე, თეთრაშვილი, თეთრაძე, წაბლაძე** და სხვ.

ძალიან საინტერესოა სტატია **„მემთეულეები და მათი საცხოვრებლები“**, რომელშიც მომთაბარე (მემთეულობა) ცხოვრების სურათებია ასახული და წარმოჩენილია მთასა და ბარში ადამიანთა ცხოვრების თავისებურებები, განსხვავებული ნიშან-თვისებები. საინტერესო იქნებოდა თვით ტერმინ „მემთეულობაზე“ მსჯელობაც. ამგვარ მომთაბარე ცხოვრებას სახელდებითი მახასიათებლებიც ახლდა. ადამიანი მთაში ძირითადად სამეურნეო საქმიანობის გამო ადიოდა, საქონელი აჰყავდა საძოვარზე და რჩებოდა გარკვეული დროის განმავლობაში, სათიბები ჰქონდათ და ამ საქმიანობასაც გარკვეულ დროს უთმობდნენ. საზოგადოდ, როგორც მერაბ ბერიძემ აღნიშნა, მთაში ასულ ადამიანთა ცხოვრება ბარული ცხოვრების გაგრძელება იყო. ცხადია, მათ იქ სჭირდებოდათ საცხოვრისები, რამაც ასახვა ონომასტიკაშიც პოვა, რადგან, როგორც წესი, ოჯახებსა და მათ პატრონებს მეტსახელებით ან მეტგვარებით მოიხსენიებდნენ. „ასე უფრო პრაქტიკულია, რადგან მეტსახელში და შესაბამისად მეტგვარში ასახულია ახალი რეალობა. სახელი შერქმეულია ახალგაზრდისათვის ახალი გარეგნული თუ სახასიათო ნიშნების მიხედვით, გაზრდილია მისი ცნობადობა და გაადვილებულია მიხედვით. ეს თავი ერთდროულადაა ენათმეცნიერული, ონომასტიკური თვალსაზრისით ღირებული და, ამავე დროს, ძვირფასი წყარო ისტორიული, გეოგრაფიული, ისტორიული გეოგრაფიის, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული და სოციალური კვლევებისათვის. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დაცულ ცნობებს ღირებულებას ჰმატებს ის გარემოება, რომ იგი ვახუშტი ბატონიშვილის მონუმენტურ წიგნს – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – წინ უსწრებს, მასზე ადრინდელია. ამიტომაცაა მერაბ ბერიძის კვლევა ამ მიმართულებით მულტიდისციპლინარული, მრავალმხრივი. ამ წიგნში აღძრული საკითხების განხილვისას მერაბ ბერიძემ საგანგებოდ აღნიშნა აკადემიკოს სერგი ჯიქიას დამსახურება XVI საუკუნის დამლევს შექმნილი დოკუმენტის გამოვლენის, გამოქვეყნებისა და შესწავლის საქმეში, რისთვისაც მან დაიმოწმა ცნობილი მეცნიერის შემდეგი სიტყვები: *„1595 წლით დათარიღებული ეს ხელნაწერი შეიცავს მდიდარს და მრავალფეროვან, უმთავრესად ეკონომიკური ხასიათის მასალას ჩვენი ქვეყნის იმ კუთხის შესახებ, რომელიც ფეოდალურმა ოსმალეთმა უსწორო ძალათა განწყობილების შედეგად გამოთიშა საქართველო და რომელიც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეკონომიური დოვლათიანობისა და მაღალი კულტურის ტრადიციების მატარებელი იყო. ეს ოფიციალური დოკუმენტი, საბეგრო დავთარი, ოსმალო ხელისუფალთა მიერ შედგენილია მათ მიერ „გურჯისტანის ვილაიეთად“ წოდებული და ოსმალეთის იმპერიისათვის შეერთებული შემდეგი ქართული პროვინციებისათვის: სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტაანი (მტკვრის ხეობა), ტაო (ჭოროხის ხეობა) და, აგრეთვე, ახლანდელი ბორჯომის ხეობა, ვიდრე სოფელ ქვიშხეთამდე (ჯიქია, 1941:VIII)“.* სტატიაში აღნიშნულია „დავთრის“ მნიშვნელობა ონომასტიკისათვის, რადგან „საგადასახადო სისტემა დაკავშირებული იყო ხალხთან, გეოგრაფიულ პუნქტებთან, ფულთან, ტოპონიმებს გაუცხოველდათ მთავარი – საორიენტაციო ფუნქცია, რომელიც მათ მანამდეც ჰქონდათ, ოღონდ შედარებით „შიდა მომსახურებისათვის“ (ვალის ტოპონიმია, გვ. 163). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ სამხრეთ საქართველოს ონომასტიკისთვის ძვირფასი წყაროა, რადგან იგი იძლევა საფუძველს, თვალი გავადევნოთ ამ მხარის ტოპონიმთა ცვალებადობას საუკუნეთა მანძილზე, რასაც ადამიანის ცნობიერების, რელიგიური თვალთახედვის, აზროვნების, ცხოვრების სტილის განსასაზღვრად აქვს მნიშვნელობა. გარდა ამისა, აქ მოცემულია იმ რეგიონთა ტოპონიმიკაც, რომლებიც დღეს საქართველოს არ ეკუთვნის და ამ მხრივ წყაროსა და მერაბ ბერიძის წიგნის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტადაა გაზრდილი. იგი ისტორიულ ტოპონიმურ სახელზე დაკვირვებისა და კვლევის შესაძლებლობას იძლევა. მერაბ ბერიძის წიგნის ეს მონაკვეთი სწორედ ამ მოსაზრების მტკიცებულებაა, რადგან ტოპონიმში აკუმულირებულია გეოგრაფიული სივრცის ფიზიკური და რელიგიური საზრისი, სოციალური ფენომენი. წიგნში თავმოყრილ ტოპონიმებში ნათლად ჩანს საქართველოს ტრაგიკული ისტორია, ქართველი ერის ისტორია, რაც შესანიშნავად წარმოაჩინა ონომასტიკოსმა და ეთნოლინგვისტმა მერაბ ბერიძემ.



„ერთი სოფლის ტოპონიმიის“ სერიის ამ წიგნს ერთვის პაატა ცხადაიას და იზა ჩანტლაძის გამოხმაურებები, რომლებიც კიდევ ერთხელ გვიმოწმებენ სერიის არსებობის აუცილებლობას.

ცალკე გამოვყოფდი მერაბ ბერიძის წიგნის ერთ თავს, რომლის სახელწოდებაა „ვალის თუ ვალეს?“ იგი ჩვენი ენის საჭირბოროტო საკითხს შეეხება. ამიტომ წარმოდგენილი წიგნი ბევრს დააფიქრებს ქართული ენის გრამატიკის შესახებ, მისი სტატუსის, მისი ბუნების შენარჩუნების, დაცვის აუცილებლობაზე. ქართველმა ერმა 1978 წელს ტოტალიტარულ

ნახ. ნათია ბერიძისა

პირობებში შეძლო ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა და შენარჩუნება. ახლა, თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში ქართული ენა, რომელსაც კონსტიტუციურად საფრთხე არ ემუქრება, უდიდესი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა უცხო ენათა გავლენის გამო და თუ მთელმა ერმა, მისმა ყოველმა წრემ, განსაკუთრებით პოლიტიკურმა წრეებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა თავიანთ მეტყველებას არ მიაქციეს ყურადღება, როგორ საუბრობენ ისინი ხალხის წინაშე, სავალალო შედეგამდე შეიძლება მივიდეთ. სანიმუშოდ წიგნიდან მინდა ერთი ფაქტი დავიმოწმო: ზემოთაც ითქვა, რომ ერთ-ერთი თავის სახელწოდებაა **„ვალის თუ ვალეს?“** ავტორი ყურადღებას აქცევს ხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ბრუნებას, რადგან ბოლო ხანებში არა მხოლოდ ჩვეულებრივი მეტყველება, ოფიციალური წრეები და სატელევიზიო სივრცე წალეკა ამ ტიპის სახელთა ბრუნების მცდარად გამოყენებამ, რაც ყოვლად შეუწყნარებელია და მშობლიური ენის ელემენტარული გრამატიკული წესების უცოდინრობის შედეგია; *ესაა ნათესაობით ბრუნვაში ე//ა ხმოვნების უკვეცლად გამოყენება, შედეგი ისაა, რომ „ვალის ბაღების“, „ვალის გზისა“ და ა.შ. ნაცვლად წერენ და წარმოთქვამენ „ვალეს ბაღები“, „ვალეს გზა“ და ა.შ.* მერაბ ბერიძე ამასთან დაკავშირებით იმოწმებს აკაკი შანიძის განმარტებას და ჩამოთვლის იმ საკუთარ სახელებს, კერძოდ: **ახალციხე, ბაკურციხე, ბოდბე, ზვარე, საირმე, სამშვილდე,** რომელთა ბრუნებისას ნათესაობით ბრუნვაში ე ხმოვნის წარმოთქმა და დაწერა გრამატიკული ნორმების უვიცობის, შესაბამისად, უკულტურობის მაუწყებელია. როგორც მერაბ ბერიძემ აღნიშნა, ვალის შეკვეცილი ფორმა თვით ტაძრის წარწერაშია დამოწმებული. მე-16 საუკუნეში, კერძოდ, 1561-1564 წლებში ქაიხოსრო ათაბაგის მეუღლემ დედისიმედმა ტაძარი შეაკეთა, რაც ასახულია ტაძრის წარწერაში. წიგნში დამოწმებულია ამ წარწერის ნაწილი, რათა მკითხველისათვის ნათელი გახდეს ნათესაობითი ბრუნვაში „ვალის“ გამოყენების გრამატიკული სისწორე: *„მეფის ბაგრატის ასულმან, ათაბაგ-ამირსპასალარის სახლის რძალმან, დედისიმედმან მეორედ აღვაშენე წმინდაი ესე ეკლესია შენ ცათა მობაძავისა ვალისა ღმრთისმშობლისა, რათა მცველ, მფარველ გვექმნა აქა და მერმესა მას საუკუნესა“....* მიუხედავად ამისა, დღეისათვის ადმინისტრაციულ და აკადემიურ წრეებში მკვიდრდება სახელის შეუკვეცელი ფორმა, რაც არასწორია (მერაბ ბერიძე, ვალის ტოპონიმია, გვ. 14-15). მერაბ ბერიძის წიგნში აღძრული საკითხები, მათ შორის გრამატიკული, კონცეპტუალურია, მკვლევარი ენობრივ ნორმათა დაცვას მოითხოვს. ცხადია, უცხო ენების გავლენამ ქართულ ენას, საზოგადოდ, ნებისმიერ ენას, თავისი ბუნება არ უნდა დააკარგვინოს, რაზეც ყოველმა მოქალაქემ უნდა იზრუნოს.

წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ქრონიკები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიიდან, რომელიც ძირითადად 1990 წლის მასალებს მოიცავს, აგრეთვე, ფილიალში მოსამზადებელი კურსების დაარსების ამსახველი მასალები, განსაზღვრულია მათი მნიშვნელობა მაშინდელი სასწავლო პროცესის სრულყოფილად და სწორად წარმართვის შესასწავლად. ფაქტობრივად, ესა გაგრძელება იმ დიდი წამოწყებისა, რომელსაც

ურთიერთობა, თან უფრო მოსახერხებელია არაოფიციალური სახელით მოხსენიება. გვარი ბევრად მცირეა, ვიდრე მეტგვარი ან შტოგვარი, შესაბამისად ბევრის ნამდვილი სახელი ან გვარი გარკვეული დაფიქრების, გააზრების საფუძველზე უნდა გაიხსენო, მაშინ, როდესაც ახლად შერქმეული სახელი ცოცხალია და პრაქტიკული. აქედან გამომდინარე, თითოეულ სახლს, საცხოვრებელს მოიხსენიებენ მისი მეპატრონის სახელით. ბარისაგან განსხვავებით, საცხოვრისს სახლს კი არ უწოდებენ, არამედ შემოსული სიტყვით ეილით/ჰეილით აღნიშნავენ. მემთეულობის ტრადიცია ვალეში შენარჩუნდა, განსხვავებით ბევრი სხვა სოფლისაგან, ამიტომ აქაურ საზაფხულო სახლებს შერჩა მათი მეპატრონეების სახელები“.

მერაბ ბერიძის წიგნში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ვალის ტოპონიმთა ლექსიკონი, რომელიც ძალიან შთამბეჭდავია მასში დამოწმებული სახელების გამო. ფაქტობრივად, ესაა მასალა, რომელიც მომავალშიც არაერთხელ გახდება კვლევის საგანი. აქ მხოლოდ ერთ გარემოებაზე შევაჩერებ ყურადღებას. ესაა ბიბლიურ სახელთა გამოყენება ვალის ტოპონიმიაში. ცნობილი ფაქტია, რომ მცხეთა იერუსალიმის ტოპონიმიას იმეორებს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო სისრულითაა შესწავლილი (კ. კეკელიძე, მ ჩხარტიშვილი და სხვ.) მერაბ ბერიძემ მესხეთშიც შენიშნა იერუსალიმური ტოპონიმიის გავლენა, რაც სწორედ ამ ლექსიკონში შესულ მასალაშია წარმოდგენილი და კომენტარებია გაკეთებული. ამ ლექსიკონს 150-მდე გვერდი უჭირავს, ე.ი. წიგნის ნახევარი, რაც ამ მონოგრაფიის მეცნიერულ ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის. ეს ფაქტი იმას მიუთითებს, თუ რა აუცილებელია ცალკეული სოფლის ტოპონიმიის შედგენა და განხილვა. მას საკმაოდ მდიდარი ბიბლიოგრაფია ახლავს, აგრეთვე, მითითებულია მთხრობელთა ვინაობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შემონახული უნდა იყოს ცნობები იმ პირთა შესახებ, ვინც ეს ძვირფასი ისტორია ხელმისაწვდომი გახადა მომავალი თაობებისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ მერაბ ბერიძემ ყურადღება გაამახვილა ტოპონიმთა ხალხურ გააზრებაზე, რაც ხშირად მეცნიერული მსჯელობის ჩარჩოებში ვერ მოთავსდება, მაგრამ მას მაინც იმოწმებს, რათა ხალხის ნაფიქრ-ნააზრევი არ დაიკარგოს. ცალკეული ტოპონიმის შესახებ მერაბ ბერიძის ეტიმოლოგიური ძიებები მნიშვნელოვანია და სწორ ლინგვისტურ ანალიზს ემყარება, რასაც კონკრეტული ისტორიული ფაქტებისა და მდიდარი ეთნოგრაფიული ტრადიციების მოხმობით განამტკიცებს.

ქართული ონომასტიკის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის სტატია, რომელშიც წარმოდგენილია სამცხის ონომასტიკა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“

კოლაუ ნადირაძის დაბადებიდან 125 წლისთავისათვის

სოსო გიქოშვილი

(გაგრძ. დასაწყ. წინა ნომერში)

ჩვენ ასევე საქმე გვაქვს კიდევ ერთ საყურადღებო ლექსთან „ინფანტა მწევარით“, რომელიც 1917 წელსაა დაწერილი. ინფანტა, როგორც თავად კოლაუ ნადირაძე განმარტავს, არის უფისწულის ტიტული მონარქიულ სახელმწიფოებში. ლექსის მიხედვით პოეტს მკითხველი გადაჰყავს ევროპის ერთერთი მონარქიული სახელმწიფოს (სავარაუდოდ – ესპანეთის) სამეფო დარბაზებში, ძვირფას პალატებსა და სასახლის ბაღებში. აქ ყველაფერი ისე მეფურია, რომ გინდება, თაყვანი სცე, მაგრამ გრძნობ, რომ შენი ჩარევით გააუფერულებ სილამაზეს. თეთრ სამოსში გამოწყობილი ინფანტა საფირონის ქვით მოპირკეთებულ შუშაბანდში ზის, მის ფერხთან კი თეთრი მწევარი წამოწოლილა. ინფანტას სასახლის ბაღში ფარშევანგები ელოდებიან, ხოლო გედის ყივილი დრო და დრო აკრთობს მის მშვიდ სახეს. თავად კოლაუ ნადირაძე, როგორც ლექსის ავტორი, ჩაძირულია წარმოსახვებში, ამიტომ ჩვენც გამოფხიზლების უფლებას არ გვაძლევს:

„თეთრ ტანსაცმელში იქ ინფანტა
ვიღაცას ელის,
თეთრი მწევარი მის ფეხებთან წევს
მოკრძალებით
და მენატრება მე შეხება დედოფლის
ხელის,
მაგრამ ვიჩოქებ, როგორც მონა
მისი ბრძანებით.“

ლექსში „კეთროვანება“, რომლის სახელიც ენოდება თვით კრებულის მეორე კარს, პოეტი მაცხოვარს სულის გადარჩენას ევედრება. მან იცის, რომ სხეული მიწის ხვედრია, სული კი, უსათუოდ, უფალს ეკუთვნის. ლირიკული გმირი გზააბნეულივით დაიარება ბედისწერის უსწორმასწორო ბილიკებზე, თუმცა იმედოვნებს, რომ უფალი არ გაწირავს, ვინაიდან იგია გზადაკარგულთა ჭეშმარიტების მაჩვენებელი და დავრდომილთა ნუგეშისმცემელი. ლექსში ვკითხულობთ:

„წმინდაო ღმერთო, კაცთა მფარველო,
შენ წინ ცრემლებით,
ცოდვილი ბავშვი, დღეს სულ უძლური,
მოგმართავ კრძალვით,
ვერსად წავედი, ამევსო გული
იდუმალებით,
გზააბნეულსა წმინდაო ღმერთო,
მომეცი ძალი“.

კოლაუ ნადირაძის პირველი კრებულის მეორე კარში ჩვენი ყურადღება მიიპყრო სონეტმა „ივანე მაჩაბელს“, რომელიც 1920 წელსაა დაწერილი. ზოგადად, ივანე მაჩაბელი ყანწელთათვის საყვარელი პიროვნება იყო, მას არაერთი ლექსი უძღვნეს, მაგალითად, ვალერიან გაფრინდაშვილმა „ივანე მაჩაბელი“. შექსპირის ტრაგედიების უბადლო მთარგმნელის იდუმალებით მოსილი ტრაგიკული სიკვდილი დღემდე აწვალებს ქართველი კაცის გონებას. თავად კ.ნადირაძეს კერძო საუბრებში ხშირად უხსენებია იმ დროისათვის საკმაოდ გავრცელებული ვერსია ივანე მაჩაბელის დაკარგვასთან დაკავშირებით (მტკვართან დაკავშირებული ამბავი; ს.გ). რადგან სიტყვამ მოიტანა, ჩვენს სასაუბრო თემას ორიოდე სიტყვით გადავუხვევთ და შევნიშნავთ, რომ უკანასკნელ ხანს საინფორმაციო საშუალებებით გაიყლერა ახალმა მოსაზრებამ ივანე მაჩაბელზე, მაგალითად, როსტომ ჩხეიძის შეხედულება. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, დღემდე მითს დაემსგავსა ივანე მაჩაბლის სიკვდილი თუ იდუმალი გაუჩინარება. მივუბრუნდეთ კვლავ ზემოაღნიშნულ ლექსს. სონეტი ერთი მთლიანი და საოცარი სურათია, რომელშიც კ.ნადირაძე მძაფრად განიცდის ცისფერყანწელთა მეგობრის ასეთ ტრაგიკულ აღსასრულს და ცდილობს მკითხველიც მძაფრად აზიაროს საკუთარ განცდებს, თუმცა, აშკარად არ წარმოგვიჩენს თავის სევდას. პოეტი ასევე ცდილობს მისტიურობის საბურველში გაახვიოს პირდაპირი სათქმელი, რათა მკითხველმა ღრმა ტრაგედიად აღიქვას ივანე მაჩაბლის უცნაური აღსასრული. ლექსი, მხატვრული თვალსაზრისით, გამორჩეულია კ.ნადირაძის პოეზიაში. იგი თითქოს ვრცელი მოდერნისტული ტილოა ლამაზი შუქჩრდილებით მოხატული. პოეტი სათქმელის უკეთ გამოსახატავად უხვად იყენებს ტროპული მეტყველების სხვადასხვა სახეს, მაგალითად – ეპითეტებს: „ფირუზისფერი მთვარე“, „მწვანე ვარსკვლავი“, „დასხივოსნებული ოცნება“, საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთ სტროფს:

„იყავ რაინდი ჭეშმარიტი და
გახელებით,
მთვარით დახაშმულს,მიგიწვევდა
ხმალში ჰამლეტი,
მწვანე ვარსკვლავთა შენ
გხიბლავდნენ ნაზი ფანდები
და ასხივოსნდა თვით ოცნება
იდუმალებით“.

კოლაუ ნადირაძე, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა (18-25 წლები), როცა პირველ ლექსებს ქმნიდა, როგორც ჩანს, არც თუ ურიგოდ ფლობდა წერის ტექნიკას. დამწყები შემოქმედი სხვადასხვა სალექსო ფორმას იყენებდა, თუმცა, უმეტესად, ოთხტაეპიან კატრენს მიმართავდა. მას, ტაეპების მიხედვით, არც მარცვალთა რაოდენობა ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული, ამიტომ, მის პოეზიაში, ზოგან რვა, ათ და თოთხმეტმარცვლიან სტრიქონებსაც ვხვდებით, მაგალითად ლექსი „ფოთლები ქარში“, რომელი დაწერილია 1916 წელს, ათმარცვლიანი საზომითაა გაწყობილი. ლექსში მკითხველი მთვარის შუქით განათებულ ველ-მინდორს ხედავს, რომელიც ქარს ფოთლებით აუვსია. ადამიანთა ნაწილი ცოდვის მორევშია ჩაძირული, ხოლო ნაწილმა, როგორღაც, თავს უშველა. ვიღაც უცნობი, ალბათ, უფლის რჩეული კეთილმორწმუნე, ისე იცრემლება, თითქოს დედამიწის გაღხობას ლამობსო, ღმერთისგან შეწევნას ითხოვს, ვინაიდან ხედავს, რომ დედამიწაზე დემონი ჩამოსულა ზეციდან:

„ფოთლები ქარში, ფოთლები ქარში!
– შენ რისთის შეკრთი, საბრალო დაო?
– საშინელება დამდგარა ქვეყნად,
– ილოცეთ მაინც, ჰო, საცოდავო!..“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კ.ნადირაძე მიმართავდა სხვადასხვა სალექსო ფორმას – კატრენს, სონეტს, ტრიოლეტს, სექტინას. მაგალითად, ლექსი „ჯვარცმა ღამეში“, სექტიდანაა, სადაც ერთდროულად რელიგიური და მისტიური სამყაროებია მხატვრულად ასახული. ზოგადად სექტინა 6 სტროფიანი, 11 მარცვლიანი მყარი სალექსო ფორმაა, სადაც ყოველი ახალი სტროფი ბოლო სიტყვებს იმეორებს, მაგრამ „ჯვარცმა ღამეში“ 11 მარცვლიანი არაა, არამედ თოთხმეტმარცვლიანია. პოეტი ლექსით გვარწმუნებს, რომ *„მალე გავიგებთ ჩვენ სიკვდილის მშვენიერებას“.* საინტერესოა, ეს განწირული კაცის მიმართვაა საკუთარი თავისადმი, თუ მართლაც ასეთი მშვენიერია მისთვის სიკვდილი? მაგრამ, ჩვენი აზრით, საქმე ასე არ უნდა იყოს: ლექსის ავტორს კარგად მოეხსენება, რომ სიკვდილამდე ჯერ სიცოცხლე – ადამიანური არსებობაა, სიცოცხლე – ცხოვრებაა, რომელსაც უფალი გვარგუნებს. ამბობენ, ადამიანი ისე ცხოვრობს, როგორიც არისო, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს, როგორც კოლაუ ნადირაძე წერს, გარკვეულწილად ჯვარცმა მაინც გველოდება, ეს კი ნიშნავს, რომ ქრისტეს მიერ განვლილ გზას, ნებით თუ უნებლიეთ, ძალით თუ ჩვენივე სურვილით უნდა გავყვეთ. პოეტის თქმით, ადამიანს არ მოელის ამაღლება, მაგრამ *„მალე ჩვენც ვიგრძნობთ მარადისობის მშვენიერებას, მალე გათავდება ჩვენი წამება“.* რად შეგვახსენებს იგი აღსასრულს მაშინ, როცა იქვე შენიშნავს:

„მე ყველა მიყვარს და მენანება,
ღმერთს შევავედრებ ყველასათვის
ბედნიერებას“.

მაგრამ რა არის ბედნიერება? ის ყველასთვის ხომ სხვადასხვაა, ერთ საერთო სახელით ცნობილი, პოეტისთვის ბედნიერება მუზისგან დაღლაა, პოეტური შთაგონებაა, ხოლო ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის, სულ სხვა რამ. იქნებ ამიტომ არ ეშინია მას სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნისა, მარტოობაში აღსასრულის. უფრო მეტიც, პოეტს იმის ძალაც აქვს, დათრგუნოს პირადული და სხვას შეუმსუბუქოს მძიმე ხვედრი, მაშინაც კი, როცა ადამიანები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით არიან გართულნი და ვერ ხედავენ ეულ სულს, მაგრამ ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან იმავე ადამიანებმა მაცხოვარიც ხომ ვერ შეიცნეს თავის დროზე. ლექსის ავტორი არავისგან მოელის თანადგომას, პირიქით, თავად უწამლებს საკუთარ ტკივილებს, თუმცა მისთვის შემზარავია ღამეული ფიქრები, პოეტიც ხომ ადამიანია, ჩვენსავით შემგრძნობი ფიზიკური ტკივილებისა, სწორედ ამიტომაც მიმართავს უფალს:

„ოო, ღმერთო ჩემო, დაასრულე
ჩემი წამება,
და დააჩქარე ეს დღეები და
ეს წამები!“

ლექსს „ჯვარცმა ღამეში“ მოსდევს ლექსი „წმინდა ფრთები“, რომელიც, ალბათ, მთვარეულის ზმანებას უფრო ემსგავსება. 11 და 12 მარცვლიანი ტაეპების მონაცვლეობით პოეტი ცდილობს გარკვეული მუსიკალობა შემოიტანოს და, ამასთან ერთად, მკითხველში აღძრას მისტიურობის ასოციაცია. ლექსის მუსიკალობა ხელს არ გვიშლის კარგად გავიაზროთ მისი შინაარსი, მისტიური ზმანება, კერძოდ, თუ როგორ დაღალა ღამემ ოცნების ქალაქი. ლექსში ვკითხულობთ, რომ ქუჩები აივსო ძვირფასი ქვებით, ხოლო შორიდან მოისმოდა ფრთების შრიალის ხმა. მთვარის შუქუზე ქუჩაში ვინმე, უცხო კაცი გამოჩნდა, რომელიც მთვარეულივით დაბარბაცებდა. სწორედ ამ კაცზე წერს კოლაუ ნადირაძე ლექსს და დასძენს, რომ:

„ჰქონდა სურნელება ძვირფასი
ქვებისა
და სადღაც ისმოდა ხმა წინა
ფრთებისა“.

ერთი ძველი ებრაული შეგონება ასეთ რამეს გვასწავლის: სილამაზის ათი განზომილება არსებობს, ცხრა მათგანი იერუსალიმშია და მხოლოდ ერთადერთია მის გარეთ... ვისაც არ უნახავს იერუსალიმი, მას, საერთოდ, არ უნახავს ლამაზი ქალაქი. სწორედ ამ ქალაქის სილამაზეს ასახავს 1917 წელს დაწერილი ლექსი-სონეტი „იერუსალიმი“. კ.ნადირაძე წერს, რომ ღვთის ქალაქად წოდებულ წმინდა ადგილზე, მეორედ მოსვლის ჟამს, ამობრძანდება თვით უფალი იესო ქრისტე და დიდებით შემოვა იერუსალიმში ოქროს ჭიშკრით:

„ძველი ქალდეას კვლავ
ბრწყინვალებს ძვირფასი მითი,
სოლომონ-ბრძენის დღესაც ახსოვს
მთვარეს დიდება,
მისი სიცოცხლე და სიკვდილიც
იყო წამითი,
მაგრამ ერთ წამშიც უკვდავება
აქვითინდება“.





ცისფერყანწელები. მარჯვნიდან პირველი კ.ნადირაძე

ქართველების ქალდეადან წარმომავლობის თეორია მუდამ საინტერესო იყო ცისფერყანწელებისთვის. აქ საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ტიციან ტაბიძის „ქალდეას სიზმრები“ წიგნიდან „ქალდეს ქალაქები“, რომელიც დაწერილია 1915 წლის სექტემბერში. ასევე „ქალდეას მზე“ 1914 წელსაა დაწერილი, ხოლო „ქალდეას ბალაგანი“ 1918 წლის აპრილში. და მაინც, რა მიზანს ისახავს კოლაუ ნადირაძის ლექსი „იერუსალიმი“ თუ არა იმ გარემოებას, რომ იუდეველთა ქალაქის ხილვა ბიბლიასთან მიახლოების ასოციაციას ქმნის, რომ იერუსალიმი ერთადერთია და ყველა მოკვდავს შორიდან მოსასმენად კი არა, ახლოდან სანახავად უხმობს.

კვლავ ქალაქის თემაა მოცემული ლექსში „ავზნიანი ქალაქი“, რომელიც 1916 წელს დაუწერია პოეტს. იგი პირველად გამოქვეყნდა იმავე წელს ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში, ხოლო შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, ხელახლა შეუტანია ცალკე წიგნად გამოცემულ „ბალდახინის“ მეორე კარში 1920 წელს. ეჭვგარეშეა, რომ თხზულებაში თბილისის შესახებაა საუბარი. ალბათ ამ ლექსზე პოეტთა ორდენის წევრები იტყოდნენ – ეს არისო ნამდვილი სიმბოლისტური ლექსი, იტყოდნენ და არც შეცდებოდნენ, ვინაიდან კოლაუ ნადირაძე წითელი და შავი, ქუჩის მანათობელი თეთრი ფერებით, ანუ ფერთა სიმბოლოებით ცდილობს დაარღვიოს ჰარმონია, ქალაქში შექმნილი მოჩვენებითი სიმშვიდე და მკითხველამდე მიიტანოს მისი რეალური სახე. პოეტი მარტოა დარჩენილი ამ დისჰარმონიაში, ქალაქის მცხოვრებნი, მგზავრები, უცნობები ისეთი სახეებით შესცქერიან მას, როგორც გიჟს. მისი სულიერი ტკივილი არავის ესმის, ქალაქი დაყრუებული და დამუნჯებულია, სამაგიეროდ თავად „ავზნიანი ქალაქის“ მკითხველი ნათლად

→

ხედავს ლექსის ავტორის შინაგან პორტრეტს:

„მეც ამ ქალაქში დავსეირნობ
უცხო მხედარი,
ჩემს წინ შეშლილებს გაუმართავთ
შავი პარადი,
ჩემი ტკივილი შეიქმნება აწი მარადი,
ოცნებას ჩემსას ესიზმრება სხვა
დრო ნეტარი!“

„ბალდახინის მეორე კარში მოთავსებულია, როგორც თავად კოლაუ ნადირაძე უწოდებს, ერთადერთი პატარა პოემა სათაურით „ტარანტული“, რომელიც სულ თერთმეტი სტროფისაგან შედგება და დაწერილია 1919 წელს ქუთაისში. აქვე ვიტყვით, რომ პოეტს ვრცელი პოემები მხოლოდ 1920-30-იან წლებში შეუქმნია, მაგალითად, „სოფლის ამბავი“; ბალადა „შოტლანდიელ ცეცხლფარეშზე“; „1905 წელი“; „წითელი მოედანი“ და სხვა. მივუბრუნდეთ პოემას „ტარანტული“, რომელშიც დარღვეულია პოემის წერის ტრადიცია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს არის ახალი სიტყვა, ახალი მოვლენა, იმ ეპოქის ქართულ ლიტერატურაში. ასეთი სახის პოემებს მხოლოდ ცისფერყანწელები წერდნენ, რადგან სწამდათ, რომ გრძლად თქმა, შედარებებითა და აღწერით ასახვა საგნებისა, აღარ აკმაყოფილებთ ხელოვნებით დაინტერესებულ ადამიანებს. მეტაფორა თანდათან ფასდება, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ მინიატურის გზამ რომანიდან სათაურამდე მიგვიყვანოსო. სწორედ ასეთ ექსპერიმენტებს მიმართავდნენ ცისფერყანწელები და, ამდენად, არც კოლაუ ნადირაძის „ტარანტული“ უნდა მივიჩნიოთ ერთადერთ გამონაკლისად.

ტარანტული შხამიანი მწერია, თუმცა მისი ნაკბენი მომაკვდინებელი არაა, მაგრამ მისგან დაკბენილი ადამიანი ძლიერ ფიზიკურ ტკივილებს განიცდის. საინტერესოა, ამით კოლაუ ნადირაძე სიმბოლურად ხომ არ აიგივებს შხამიანი მწერისაგან დაკბენილ კაცს სიყვარულისაგან გაწვალებულ კაცთან, ვინაიდან მოცემული პოემაც სიყვარულის თემაზეა შექმნილი. ერთი რამ კი ცხადია, თვით სიტყვა – ტარანტული და იქვე მოხსენებული შავი ბეჭედი, ახალი სიმბოლური სახეებია ცისფერყანწელთა პოეზიაში.

კოლაუ ნადირაძე, საერთოდ, უფრო მძაფრი სულიერი ტკივილების გამომხატველი პოეტია, ვიდრე ნაზი ლირიკოსი, მაგრამ რამდენიმე გამონაკლისი მაინც გვხვდება მის ახალგაზრდობის დროინდელ პოეზიაში. მიუხედავად თავისი მცირე მოცულობისა, სწორედ ასეთია ზემოაღნიშნული პოემა „ტარანტული“, რომელიც მშვენიერი პოეტური სიფაქიზითა და გულწრფელობით გამოირჩევა. პოემა, შეიძლება ითქვას, ადამიანურ გრძნობათა ნატიფი გადმოცემით, არაფრით ჩამოუვარდება ქართული სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს. იგი გაწყობილია 14 მარცვლიანი ტაეპებით, გვხვდება საინტერესო ეპიტეტებიც – „მძიმე აბრეშუმის ფარჩა“, „მთვარის ბადე“, „სხივთა მორევი“. ასევე საყურადღებოა ლამაზი მეტაფორული სახეებიც: „ფარჩის კაბაზე გადაფანტული ვარდები“, „ხავერდისფრად ვარსკვლავების აშრიალება“, „სირიჟრაჟით განესტიანებული მინები“, „მზის სხივებში სამუდამოდ დაკარგვა“, „მწვანე თვალებში ბინდის დასადგურება“ და სხვა. რითმის აქედან გამომდინარე, რითმის თვალსაზრისით, „ტარანტული“ ყველაზე გამორჩეულია კ. ნადირაძის 1919 წლამდე შექმნილი თხზულებებიდან. წარმოდგენა რომ შეგვექმნას პოემაზე, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მის ნაწყვეტს:

„შავი ბეჭედი ცერზე მოჩანს
ვით ტარანტული,
ამ ბედით ბედმა მას არგუნა
დაგვირგვინება,
ფარჩის კაბაზე ვარდებია
გადაფანტული,
ეს გაღიმება დედოფალმა ჩუმად
ინება.
მთვარის სხივებზე ელვარებდნენ
თვლები ძვირფასი,
დედოფლის თვალებს რად
დაშორდა ცრემლი კრიალა,
ლამაზი სახით მოგვევლინა ჩვენ
სიყვარული
და ხავერდისფრად ვარსკვლავები
ააშრიალა.
მაშინ ჩაქრება სასახლეში სანთელთ
კრებული,
ძვირფასი ქვებით ეგ ფარჩები
დაიქარგება,
მე, დედოფალი დამშორდება
ატირებული
და მზის სხივებში სამუდამოდ
დაიკარგება“...

როგორც ვხედავთ, თხზულებაში წარმოსახვითი სამყაროა შექმნილი, მხოლოდ გამოგონილი და სხვა არაფერი. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ტარანტულის“ შექმნა ერთგვარი ექსპერიმენტი იყო პოემის კლასიკურ ფორმასთან დაპირისპირებით, მაგრამ იგი მაინც ექსპერიმენტად დარჩა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი ქართულ პოეზიაში.

„ნევრასთენია“ – ასე ეწოდება „ბალდახინის“ მეორე კარის „კეთროვანების“ ბოლო ლექსს, რომლის შინაარსი დამაფიქრებელია: საღამო, ქალაქში პოეტის მარტოობას უფრო თვალსაჩინოს ხდის, იგი მთელი სიმძაფრით შეიგრძნობს ამ ცხოვრების ამაოებას, შეშფოთებულია იმით, რომ გაუსაძლის ყოფაში ადამიანებს არ ძალუძთ სულიერი სიწმინდე შეინარჩუნონ. ღამე თითქოს ქვეწარმავალიაო, ისე შემოხვევია ქალაქს, რომელსაც შთანთქმას უპირებს, მაგრამ კაცი არ ჩანს იხსნას იგი უბედურებისაგან; ყველა ყალბი გულმოწყალებითა და მოჩვენებითი გულმოდგინებით თანაუგრძნობს მშობლიურ ქალაქს, საშინელი ღამის პირისპირ მარტო რომ დარჩენილა. პოეტს სურს თავი დააღწიოს ცხოვრების ამაოებას, გაეცალოს გულგრილ საზოგადოებას და აცხადებს:

„დავტოვებ ქუჩებს შხამიანებს
და სხვებთან ერთად
შევალ კაფეში განისლული
ვიპოვნი ალაგს“.

აქ მთავრდება კოლაუ ნადირაძის პირველი კრებულის მეორე ნაწილი და იწყება მესამე, რომელშიც ათიოდე ლექსია გაერთანებული საერთო სახელწოდებით – „ბალდახინი“ და, რომელიც, ამავე დროს, ერთ-ერთი ლექსის სათაურიცაა. ლექსი „ბალდახინი“ ეძღვნება ვალერიან გაფრინდაშვილს, რომლის წაკითხვისას მოგაგონდებათ თავად გაფრინდაშვილის ჩანაწერი კოლაუ ნადირაძის შესახებ: ***„კარი გაღებული აქვს, აივნიდან მოჩანს წმინდა გიორგის საყდარი გორაზე და მამია გურიელის საფლავი. ამ პოეტს უყვარს თოვლი და შეიძლება ზამთარი უფრო ახლებს მის ფანტაზიას. წერს თავის ლექსებს უბრალოდ გამოწყობილ ბლუზაში და დახეულ ფეხსაცმელებში, ხელწერა აქვს გაურჩეველი, მაგრამ ნაზი“*** *(გაფრინდაშვილი,1990:29)* ალბათ, ეს ლექსი „ბალდახინი“ განსაკუთრებულ შემოქმედებით ატმოსფეროშია შექმნილი. ცისფერყანწელებს უყვარდათ ერთმანეთზე წერა, რადგან ასე სჯეროდათ, რომ ისინი არ უცდიან მომავალ პოეტებს, რომლებიც გააღმერთებენ მათ და ამიტომ თვითონ შეჰყავთ პოეზიაში ერთმანეთის პიროვნება.

კრებულის მესამე ნაწილშიც, ისევე როგორც პირველსა და მეორეში, გვხვდება ლექსი სონეტი (ე.ი ოთხ სტროფიანი) სახელწოდებით „ავტოპორტრეტი“, დაწერილი 1919 წელს. ზოგადად, ცისფერყანწელებს უყვარდათ საკუთარ თავზე წერა და საუბარი. გავიხსენოთ, მაგალითად, ტიციან ტაბიძის „ავტოპორტრეტი“, რომელიც დაწერილია 1916 წლის ნოემბერში, მოსკოვში, ან ვალერიან გაფრინდაშვილის „მე სარკეში“ და „დუელი ორეულთან“. მათი გაცნობისას მკითხველი რწმუნდება, რომ პოეტები თითქოს ერთგვარი აღღოთი დაეძებენ საკუთარ თავს, თუმცა, ხან პოულობენ, ხანაც მირაჟია მათ წინ აღმართული. კოლაუ ნადირაძე ლექსის პირველივე სტროფში აცხადებს, რომ:

„ვარ აზიელი; ამებურდა
სიზმრებით თვალი,
კვლავ ეკვატორი მელანდება,
ხაშმით მაბრუებს“.

ლექსი „ცხოვრება ჯიბეში ხელებჩაწყობილი“, რომელიც 1918 წელს დაუწერია პოეტს, ავითარებს „პორტრეტში“ მოცემულ თემას. აქ თითქოს უფრო სრულყოფილი ხდება პოეტის პორტრეტი, მისი, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი მონაცემები, კერძოდ, შეუპოვარი ხასიათი, ქედმოუხრელი გაჭირების წინაშე. ლექსში ვკითხულობთ:

„მოვდივარ ჩუმად, ჯიბეებში
ხელჩაწყობილი,
დღეს ჩემი გული უჩვეულო
დარდით ავსილა,
ისევ სიმშვიდე მენატრება
უარყოფილი
და გაბრაზებით მინდა ჩემს
თავს გავაწნა სილა“.

საკუთარ თავზე შექმნილი ლექსებიდან, გარდა ზემოაღნიშნულებისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლექსმა „ყალბი ავტობიოგრაფია“, დაწერილი 1918 წელს, რომლის ბოლო სტროფში (სულ ხუთ სტროფიანია) პოეტი აცხადებს:

„ბიოგრაფიას უსათუოდ დაწერენ
ჩემზე,
ვეცადო მხოლოდ, რომ გამოვიდე
და ვიყო კარგი,
რომ დიდ ბრალდებად არ დამაწვეს
ამ დაღლილ მხრებზე
ბებერი ქვეყნის უსარგებლო
და მძიმე ბარგი“.

ამ სტრიქონებზე ვალერიან გაფრინდაშვილი შენიშნავდა, რომ ასეთი თქმა საქართველოს ჯერ არ მოლანდებია, რომ ქართული პოეზია იამაყებს ამ ოთხიოდე სტრიქონით. ლექსი „ყალბი ავტობიოგრაფია“ არის ჩვეულებრივი ლექსი-ავტობიოგრაფია, ესაა პოეტის თავისებური აღსარება ღვთის წინაშე. აქ გვინდა ვთქვათ, რომ, ზოგადად, უფლისმიერი სიყვარული კოლაუ ნადირაძის არაერთ ლექსს ასაზრდოებს, რომ ღვთის მიმართ კრძალვა მისი სულიერი სიფაქიზის ცხადად გამოვლინებაა. „ყალბი ავტობიოგრაფია“ სათაურშივე განზრახ ირონიულად ჟღერს, თორემ იგი მართალი კაცის დაწერილია ცხოვრებისეულ სიმართლეზე, ამქვეყნად ადამიანად ყოფიერების ფილოსოფიურ გააზრებაზე.

კოლაუ ნადირაძეს და, არა მარტო მას, მთელ ცისფერყანწელებს, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ გრიგოლ რობაქიძესთან, მას პოეტმა 1919 წელს უძღვნა ლექსი „პატრიოტული ეკლოგა“. გრიგოლ რობაქიძე, კოლაუ ნადირაძის აზრით, იყო ჭეშმარიტი მოძღვარი და წინამძღოლი. თუ წინამძღოლი დაიჭრებოდა, სხვა გამოჩნდებოდა, ვინმე ღირსეული, ვინც რობაქიძის გზას გააგრძელებდა. „პატრიოტული ეკლოგა“ მოსალოდნელი უბედურების ერთგვარი წინათაგრძნობითაა დაწერილი ცალკერძ, გრიგოლ რობაქიძის და, ცალკერძ, საქართველოს მიმართ. ლექსის დაწერიდან ორიოდე წლის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა წითელმა ეშმამ, საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო 1921 წლის 25 თებერვალს, ხოლო გრიგოლ რობაქიძე იძულებით გადაიხვეწა ევროპაში თვით სიცოცხლის (1962წ.) ბოლომდე:

„მე საქართველო მაგონდება
ისევ ტკივილით,
მისი წარსული დევგმირული და
მომავალი,
დღეს ცივი ქარი დაგტრიალებს
მწარე კივილით,
სამშობლოვ ბრიყვო, რომ
იტვირთე უმაღლო ვალი“.



მკითხველს ალბათ, გააკვირვებს ეპითეტი „სამშობლოვ ბრიყვო“, რომელიც მომდევნო წლების გამოცემულ კრებულებში შეიცვალა სიტყვებით „სამშობლოვ ჩემო“ და პოეტს უადგილო კადნიერებად ჩაუთვლის. ჩვენ, ნაცვლად ამისა, საპირისპიროს ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ „მოყვარეს პირში უზრახეს“ პრინციპით კოლაუ ნადირაძემ ზემოაღნიშნული ეპითეტით მხოლოდ უსაყვედურა თავის სათაყვანებელ ქვეყანას, ქართველ ხალხს, რომ ვერ გრძნობდნენ მოახლოებულ საშიშროებას – 1921 წლის ამბებს. ვფიქრობთ, რომ არა „პატრიოტული ეკლოგა“, ალბათ, ბევრი დააკლდებოდა „ბალდახინის“ ავტორის შემოქმედებას, მის პატრიოტულ ლირიკას. ასევე ეროვნული განცდითაა დაწერილი ლექსი „ქალბატონებს“ (1917 წ.), რომელიც უფრო გასაუბრებას წააგავს საკუთარ თავთან. კოლაუ ნადირაძე წერს:

„ჩემსა სამშობლოს ახლა მივხვდი
ჭკუა სჭირდება,
ვინ არ გაასწრო მას დიდებით
და აღმატებით
და მხოლოდ მაშინ ისტორია
დაგვაკვირდება,
თუ საქართველო მოირთვება
ძვირფას ხატებით“.

„ბალდახინის“ მესამე ნაწილის და, საერთოდ, პოეტური კრებულის ბოლო ლექსია „საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან ერთად“, რომელიც 1918 წელსაა დაწერილი. როგორც ვხედავთ, ისევ მთვარე იკვეთება აქტიურ სიმბოლოდ ცისფერყანწელთა პოეზიაში, ოღონდ, ამჯერად, საყვარელი ქალის ხატებას გვაგონებს. პირველი, რაც ლექსის წაკითხვის შემდეგ მეხსიერებაში ცოცხლდება, არის სურათი მთვარის შუქით განათებული მიდამოსი. ლექსის შინაარსით გვამცნობს, რომ, ახლა, მართლაც, უპატრონო ძაღლივითაა გარიყული დიდი ქალაქების ფონზე ადამიანი და მითუმეტეს პოეტი, რომელიც დასაღუპავადაა განწირული, მისთვის ხსნის გზა კი მხოლოდ სიკვდილია! ღამეული ჩვენებები დროებით ამშვიდებს პოეტის ნაწამებ სულს, ხოლო მთვარე, როგორც კეთილშობილი ქალბატონი, კვლავ მოწყალებას არიგებს:

„და ისევ ღამე შეგვაერთებს
მგზავრებს სნეულებს,
და ისევ ღამე, როგორც ჯვარცმა
იქმნება მხსნელი“.

ამ ლექსით ამოიწურება კოლაუ ნადირაძის პირველი კრებული, რომლითაც ქართული სიმბოლისტური პოეზია ყოველთის იტყვის საკუთარ სათქმელს.

„ბალდახინი“ არაა თემატურად ერთფეროვანი, რომელიმე განსაკუთრებული თემით შემოფარგლული, პირიქით, იგი საკითხთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და, რაც მთავარია, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. ლექსთა უმრავლესობა ჟღერადობიდან გამომდინარე, სასიამოვნო საკითხავია, თუმცა გვხვდება გაურითმავი, ევფონიას მოკლებული სტროფებიც, ზოგჯერ აზრი ბუნდოვანია, სიტყვები უმიზნოდ გამოყენებული. მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, ახალგაზრდა პოეტი ცდილობს, ღირსეულად მიიტანოს მკითხველამდე სათქმელი და ბოლომდე სრულყოს იდეური ჩანაფიქრი. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, სრულიად მიმოგვეხილა კოლაუ ნადირაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც უფრო მომავალი თაობებისა და დროის საქმეა, მაგრამ ჩვენი მიზანი იყო გამოგვეხატა საკუთარი დამოკიდებულება მხოლოდ ერთი კონკრეტული თემის მიმართ, კერძოდ, როგორ შემოაბიჯა ფეხი კოლაუ ნადირაძემ მრავლისმნახველ ქართულ მწერლობაში.

და, ბოლოს: ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, კერძოდ: როდესაც ვმუშაობდით კოლაუ ნადირაძის პირველ პოეტურ კრებულ „ბალდახანსა“ და აქ მოთავსებულ ლექსებზე, პარალელურად, ვადარებდით მომდევნო, ე.წ. საბჭოთა ეპოქაში გამოცემულ წიგნებში დაბეჭდილ იმავე ლექსებთან, აღმოჩნდა, რომ ცრუკრიტიკოსებს პირვანდელი, ორიგინალური ლექსები უხეშად გადაუკეთებიათ და მათთვის სასურველი ფორმა მიუციათ, რამაც ბევრ ლექსს შინაარსი და იდეური არსიც დაუკარგა, ასეთებია: „პატრიოტული ეკლოგა“, „ჯვარცმა ღამეში“, „იერუსალიმი“, „ივანე მაჩაბელს“ და სხვ. გასაგები მიზეზების გამო განსაკუთრებით განზრახ შეცვლილია საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია – უფალი, ხატი, სანთელი, ეკლესია და ა.შ. ცხადია, ავისმოქმედებმა კარგად იცოდნენ, რომ ცდებოდნენ, მაგრამ, ალბათ, უჟმური ეპოქიდან გამომდინარე, არც მათ შეეძლოთ სხვანაირად უფრო ობიექტურად მოქცეულიყვნენ.

ბონდო არველაძე

„მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთავრე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა“.

ხალხური

გამოვიდა პროფესორ **თინა იველაშვილის** მონოგრაფია – „რელიგიური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში“ (ქართულ და რუსულ ენებზე).

ამ მეცნიერის შრომები მაღალი აკადემიური დონით გამოირჩევა. ეს არც არის გასაკვირი. ვინც მას იცნობს, დამეთანხმება, რომ იგი გასაოცარ შრომისუნარიანობასთან ერთად, ერთობ მოწესრიგებული ადამიანი და მეცნიერია, რაზეც მეტყველებს მისი ბიბლიოგრაფია. აქ მხოლოდ ნაწილს წარმოვადგენთ: „საქორწილო წეს-ჩვეულებები სამცხე-ჯავახეთში“ (1987); „ქართული ხალხური სუფრის სამზარეულო“ (1991); „ქართული სუფრის ეტიკეტი“ (1995); „გვიხმობს მამული მამა-პაპათა“ (ებრაელები) (1995); „იელოვას საქმიანობის მიზანი საქართველოში“ (2007); „კათოლიკობა საქართველოში“ (2009); „მარდის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია“ (თანაავტორი ბონდო არველაძე, 2009); „ტრადიციული ხალხური სამზარეულო სამცხე-ჯავახეთში“ (2019).

ამ ჩამონათვალს თუ დავუმატებთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ 150-მდე ნაშრომს, სტატიას, ვფიქრობთ, ბევრი ვერ დაიკვეხნის ასეთ მეცნიერულ ნაყოფიერებას.

ახლა გვსურს მკითხველ საზოგადოებას გავუზიაროთ მისი მონოგრაფიის – „რელიგიური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში“ გაცნობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი და რიგ შემთხვევაში, გამოვთქვა ჩემი მოკრძალებული აზრი.

საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კუთხეა სამცხე-ჯავახეთი, რომლის ისტორია ორგანულადაა გადაჯაჭვული საქართველოს ავ-ბედით წარსულთან. XVI საუკუნეში იგი ოსმალეთის იმპერიამ მოწყვიტა დედასამშობლოს და ცეცხლითა და მახვილით შეუდგა მესხთა გამუსლიმანებას. მართალია ძალადობის გზით მტერმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მაგრამ მესხების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მალულად თუ აშკარად, ქრისტიანული სარწმუნოება მაინც შეინარჩუნა.

მეფის რუსეთმა, გენერალ **პასკევიჩის** მეთაურობით აიღო ახალციხის ციხესიმაგრე (1828) და ოსმალები განდევნა, მაგრამ, დიდი პოეტისა არ იყოს, ***„რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“***. შემოერთებულ სამცხე-ჯავახეთში ცარისტულმა რუსეთმა ადგილობრივი მკვიდრი მუსლიმანი ქართველები აიძულა, ჩალის ფასად გაეყიდათ მამულები და თურქეთში გადახვეწილიყვნენ. მათ ადგილს, 1830-იან წლებში, ერზრუმის ვილაიეთის სომეხი ეროვნების მოსახლეობა ჩამოასახლა. ასე რომ, მანამდე სამცხე-ჯავახეთში მკვიდრი ქართველები უმრავლესობა იყო. ამის შემდეგ რიცხობრივი უპირატესობა სომხებმა მოიპოვეს.

რუსეთის იმპერატორმა **ნიკოლოზ პირველმა** ეს ოპერაცია სპეციალურად ჩაატარა იმ მოსაზრებით, რომ თურქეთის საზღვრისპირას ერთგული ხალხი ჰყოლოდა დასახლებული, – მაჰმადიან ქართველებს ბოლომდე არ ენდობოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ადრე აქ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ებრაელები, დუხობურები, ქურთები და სხვა ერის წარმომადგენლები.

როგორც ვხედავთ, სამცხე-ჯავახეთი მრავალეროვანი მხარეა და მისი მეცნიერული შესწავლა, რელიგიური უმცირესობების ასპექტით, დროული და აუცილებელია.

პროფ. თინა იველაშვილის ეს ნაშრომი პირველი ფართო მონოგრაფიული შესწავლის ცდაა ამ მიმართებით და, ვიტყვი, – წარმატებული ცდა.

საერთოდ, ცნობილია, რომ ახალ ბუნებრივ თუ უცხო რელიგიურ გარემოში მოხვედრილი რელიგიური უმცირესობების შიგნით მოქმედებას იწყებს ადაპტაციის მექანიზმი. ადგილობრივი სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედითუნარიანობაზეა დამოკიდებული – შეძლებს თუ არა ესა თუ ის უმცირესობა შეეგუოს ახალ გარემოს, შეითვისოს თანამედროვე საზოგადოების პროგრესული ნორმები, წავიდეს გარკვეულ კომპრომისებზე ისე, რომ არ დაკარგოს თავისი რელიგიური მრწამსის სპეციფიური თავისებურებანი.

სრულიად მართებულად მოქცეულა პროფ. თ.იველაშვილი, როცა კვლევის პროცესში წინ წამოუწევია სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური კონფესიის და სექტების შემოსვლის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე სწორი მეცნიერული მიდგომაა, როცა ყოველ რელიგიურ მიმდინარეობას თავის სპეციფიკიდან გამომდინარე, განვითარების დამოუკიდებელი გზა აქვს გავლილი – ***„ამიტომ მათ შესახებ ამა თუ იმ საკითხებიდან ზოგიერთი სტერეოტიპით კვლევა მცდარ დასკვნაზე მიგვიყვანს. ამიტომ შევეცადეთ ჩვენს წინაშე არსებული კარდინალური საკითხები არაგანზოგადოებულად, არამედ, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები თითოეული რელიგიური კონფესიის კონკრეტული სპეციფიურობა-თავისებურების გათვალისწინებით შეგვესწავლა“*** – წერს პროფ. თ.იველაშვილი. ამ პოზიციას შეუძლებელია არ დაეთანხმო.

ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ წიგნი იწყება ქართველ ებრაელთა რელიგიური არსის და თავისებურების ახსნა-განმარტებით. ებრაელთა ტრადიციული სარწმუნოება არის „იუდაიზმი“. იგი პირველი აბრამისტული რელიგიაა და, გარკვეულწილად, მის საფუძველს წარმოაჩენს. აქვე განვმარტავთ, – იუდა ებრაელთა პატრიარქის, იაკობის მეოთხე ვაჟის – იუდასთან არის დაკავშირებული. იგი იუდეველთა საგვარეულოს საფუძვლად დაედო.

ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებისა და განადგურების შემდეგ (ძვ.წ.აღ.-ით 586 წ.) ლტოლვილ ებრაელთა ერთ ჯგუფს საქართველომდე მოუღწევია და მცხეთის გარეუბანში – ზანავში დასახლებულა. საისტორიო წყაროების მოწმობით, შემდგომ ებრაელთა რამდენიმე ტალღა შემოსულა საქართველოში.

ადრეფეოდალურ ხანაში სამცხე-ჯავახეთში ებრაელთა ძირითადი დასახლებული პუნქტები ყოფილა **ახალდაბა, ახალციხე, ახალქალაქი, არტანუჯი, ხერთვისი, წუნდა, აბასთუმანი, ადიგენი.**



პროფ. თ.იველაშვილს ქვეთავებად აქვს განხილული აღნიშნულ პუნქტებში მცხოვრებ ებრაელთა დასახლების დრო და გარემოება, ამისთვის გამოუყენებია არაერთი ქართული და უცხოური საისტორიო წყარო – **ვახუშტი ბაგრატიონის** „აღწერა საქართველოისა“, **ე. მამისთვალაშვილის** „ქართველ ებრაელთა ისტორია“ და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ ებრაელთა რელიგიური დღეობები სამცხე-ჯავახეთში. მსოფლიოში ყველა კონტინენტზე მცხოვრებ ებრაელებისათვის არსებობა იუდეველად ყოფნას ნიშნავს. ამ მხრივ არც ქართველი ებრაელებია გამონაკლისი, რომელთათვის ებრაელთა კალენდარულ და რელიგიურ დღეებს ზედმიწევნით იცავდნენ. ამავე დროს, ეს რელიგიური წეს-ჩვეულებანი, მთელი რიგი თავისებურება-სპეციფიურობით გამოირჩევა. **სამცხე-ჯავახეთის ქართველ ებრაელებს თითქმის უცვლელად შემოუნახავთ ყველა უძველესი ებრაული რელიგიური დღეობები** – აღნიშნავს ავტორი და ზოგიერთი მათგანის შესახებ გვაწვდის ცნობებს, რომლებიც ნაკლებად ცნობილია ქართველი საზოგადოებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ქართულ სინამდვილეში პირველი ცდა ქართველ ებრაელთა რელიგიური დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების აღწერისა: როშუბანა, ქიფური, სუქოთი, სიმხათ თორა, ბიშგეტი, ფურიმი, ფესახი, შაბუყოთი, პასაქი, ხანუჭა, სიონი (სიონის ტირილი), თეფილინი, წინდაცვეთა და სხვ.

ნახ: ლ.გველესიანისა - ებრაელთა კვარტალი ახალციხეში

კრებულში აღწერილია აღნიშნული რელიგიური დღესასწაულების ჩატარების წესი, რაც პირველი შემთხვევაა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მონოგრაფიაში აგრეთვე წარმოდგენილია ქართველ ებრაელთა სალოცავების ჩამონათვალი სამცხე-ჯავახეთში.

ჯერ სინაგოგის ეტიმოლოგიის შესახებ:

სინაგოგა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „შეკრებას“. ეს არის ებრაელთა სამლოცველო წმინდა სახლი. პროფ. ე.მამისთვალაშვილი ფიქრობს ***„სავარაუდოა, რომ სინაგოგები პირველად აღმოცენდა ბაბილონის ტყვეობის დროს, რადგან ადრეულ პერიოდში რელიგიური რიტუალი მხოლოდ იერუსალიმში ტარდებოდა („ქართველ ებრაელთა ისტორია“. 1995, გვ. 316).***

პირველი სალოცავი ტაძრის აგება სოლომონის სახელს უკავშირდება, რომელიც ბაბილონელებმა დაანგრიეს. მეორედ ტაძარი ებრაელებმა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ (ძვ.წ.აღ.-ით მე VI ს.) სირიელებმა წაბილწეს, რომელიც მალევე აღადგინეს. III საუკუნის ტაძარი რომაელებმა გაანადგურეს, შემორჩა მხოლოდ დასავლეთის კედლის ფრაგნენტი, რომელსაც „გოდების კედელს“ უწოდებენ.

ებრაელები „გოდების“ კედელთან დღესაც ლოცულობენ.

პროფ. თ. იველაშვილის დამსახურებაა, რომ ქართველ ებრაელთა მიერ სამხრეთ საქართველოში აგებული სინაგოგების და სასაფლაოების ჩამონათვალი პირველმა მან მოგვცა. მისი ცნობით, ***„სამხრეთ საქართველოში ყველა ნიშნით (სინაგოგების და სასაფლაოების მონუმენტური არქიტექტურით) ახალციხე, როგორც ქართველ ებრაელთა კულტურის ერთ-ერთი ,მნიშვნელოვანი ცენტრი, ადრეული ხანიდან აშკარად გამოკვეთილად ჩანს“*** *(გვ. 33).*

მართალია ქართველი ებრაელები სამცხე-ჯავახეთში საუკუნეების წინ დასახლდნენ, მაგრამ, დღესდღეობით, მათი მხოლოდ ორი სასაფლაოა შემორჩენილი სოფ. აწყურსა და ქ. ახალციხეში.

პროფ, თ.იველაშვილს შემდეგ მოაქვს ინფორმაციები ებრაელთა სასაფლაოების ნაბილწვისა და განადგურების შესახებ, მაგ.: ***2016 წელს აშშ-ში, სენტ-ლუისში, უცნობ პირებს ებრაელთა სასაფლაოზე 150-ზე მეტი საფლავი დაურბევიათ, 2017 წლიდან მოყოლებული, სულ რაღაც, თვენახევრის განმავლობაში, აშშ-ის 27 შტატში და კანადის ერთ პროვინციაში 67 ანტისემიტური აქტი დაფიქსირებულა. მსგავსი შემთხვევა მოხდა ფილადელფიის ებრაულ სასაფლაოზე (2017). ამავე წელს ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერის ებრაული სასაფლაო დაარბიეს“*** (გაზ. „მენორა“, 2017. III).

აღნიშნული ვანდალური აქტის მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა საქართველოში. ქართველ ებრაელთა სასაფლაოები, რომელნიც ასეულობით და, ვიტყვი, ათასეულობით არის ქართულ მიწაზე, დაცული და მოვლილია. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ქართველი ადამიანი ტოლერანტული ბუნებისაა და ასეთი მკრეხელური საქციელი მათგან წარმოუდგენელია. იგი განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე მიცვალებულთა საფლავებს შეძლებისდაგვარად იცავდა საუკუნეების განმავლობაში: ***„სოფელ მუხრანში ებრაელები ადრეული ხანიდან აქტიურად, ცალკე უბნად ცხოვრობდნენ. მათ აქ ჰქონდათ სინაგოგა და საკუთარი სასაფლაო. სხვადასხვა მიზეზების გამო, როდესაც ქართველმა ებრაელებმაც ეს სოფელი დატოვეს, მოგვიანებით მათ ნასახლარზე შემოცხოვრებულმა ოსებმა და სომხებმა ებრაელთა ნაკვალევი სრულიად მოშალეს, – განადგურებულ იქნა სასაფლაო და სინაგოგა. დღეს მუხრანში ებრაელთა უბანი (პატარა ქანდას) სახელწოდებით მხოლოდ ტოპონიმია შემორჩენილი“*** *(ლ.მღებრიშვილი, „სოფელი მუხრანი“, 1981).*

პოეტმა და პუბლიცისტმა **ერეკლე სალღიანმა** ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში განაცხადა, – ***„როცა ჩეკისტებმა და კომკავშირლებმა 1927 წელს გადაწყვიტეს ონის სინაგოგის დანგრევა. ებრაელმა და ქართველმა მეძუძურმა ქალებმა თავიანთი ჩვილები აკვნებით გამოიყვანეს და სინაგოგას გარს შემოერტყნენ. თვით ჩეკისტებმა და მებრძოლმა ათეისტმა კომკავშირლებმაც კი ვერ გაბედეს სინაგოგის დანგრევა-დაქცევა.“***

ეს იყო ქართველი ადამიანის ტოლერანტობის და კეთილმეზობლობის საოცარი აქტი, რომლის ანალოგი, ვფიქრობთ, მსოფლიოში არ მოიძებნება“.

„ქართველმა ებრაელებმა, სხვა ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეებისაგან განსხვავებით, რელიგიური, ეთნიკური და კულტურული თავისთავადობა სრულყოფილად შეინარჩუნეს და, არა მარტო შეინარჩუნეს, არამედ საკუთარი მეობა გაამდიდრეს კიდეც ადგილობრივი ტრადიციებისა და ღირებულებების კარგად გაცნობით“ – მართებულად წერს პროფ. თ.იველაშვილი და მოაქვს ორი რელიგიის მიმდევართა ურთიერთ ტოლერანტობის იშვიათი მაგალითი: ***„ის ფაქტი, რომ საქართველოში, როგორც ებრაელები, ისე მათი მეზობელი ქრისტიანები, ლაილაშის თორს (რომელიც სამცხიდან არის გადმოტანილი, გადაწერილია ქალაქ სალონიკში 1313 წ. სულთან სელიმ I-ის დროს) ანგელოზების მიერ მოტანილ სიწმინდეთ მიიჩნევდნენ და მას სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ. საზოგადო გაჭირვებისა თუ უბედურების ჟამს ქრისტიანები და იუდეველები შეიკრიბებოდნენ, სინაგოგიდან თორის ამ იშვიათ ხელნაწერს გამოასვენებდნენ, მის წინაშე ორივე კონფესიის მორწმუნეები, მუხლს ერთად მოიდრეკდნენ და ღმერთს შემწეობას შესთხოვდნენ“*** (გვ.54). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, არცერთი ქვეყანა, სადაც ებრაელი ხალხი ცხოვრობდა, არ გაუთავისებია და თავის სამშობლოდ არ უღიარებია, როგორც ეს საქართველოში მოხდა. მიუხედავად ამგვარი გათავისებისა, მისთვის აღქმულ სალოცავ ქვეყნად – წმინდა ადგილად, მუდამ ისრაელი რჩებოდა.

ქართველი ებრაელი მტკიცედ იცავდა – ***„ენა სასაზე მომეკრას თუ შენ დაგივიწყო იერუსალაიმ“!***

დიახ, ეს ასე იყო, ქართველმა ებრაელმა

იმთავითვე სამშობლოდ გაითავისა საქართველო – *„მართალია, ყოველ ძნელბედობის ჟამს მხარში ედგა ქართველს და მასთან ერთად იზიარებდა ყოველ გასაჭირს, მაგრამ იგი არასოდეს შესდგომია მასპინძლობაში“* – სწორედ შენიშნავს პროფ. თ.იველაშვილი (გვ.588).

ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე ძნელბედობის ხანა იყო, როცა თურქებმა აიღეს ევროპული ცივილიზაციის აკვანი – კონსტანტინეპოლი (1453) და ქალაქის თავზე, მართლმადიდებლური ჯვრის ნაცვლად, აღმართეს ნამგალა ნახევარმთვარე. ამის შესახებ საქართველო გახდა სპარსეთისა და თურქეთის ცილობის ობიექტი, რამაც გამოიწვია ქართველი ხალხის გაღატაკება და განადგურება. ამ უბედურებას თან დაერთო მეორე ჭირი – იმხანად მუსულმანური რელიგიის აგრესიული ბუნებიდან გამომდინარე, იგი შაჰებისა და სულთნების საგარეო პოლიტიკის მთავარ იარაღად იქცა. სპარსეთი, ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ, ეწეოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველთა გამუსლიმანებას, ხოლო თურქეთი – ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანის, თორთუმის, შავშეთის ძირძველ ქართველთა გამაჰმადიანებას.

ამ აგრესიული პოლიტიკის შედეგია, რომ დღეს ზოგიერთ თურქ მეცნიერს ყოფნის თავხედობა – არამარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, არამედ მთელი საქართველო თურქების წინაპართა სამკვიდროდ გამოაცხადოს!.. რას იზამ, ქაღალდი ყველაფერს იტანს...

მოვიდეთ პირველ სიტყვას და მივხედოთ მონოგრაფიას, რომელშიც მეორე თავად არის გატანილი – **„ისლამი სამცხე-ჯავახეთში“.** აქ საკმაოდ ფართოდაა განხილული „ისლამის წარმოშობის ისტორია“ და ამ რელიგიის ძირითადი არსი: ერთი ღმერთის რწმენა, ანგელოზების რწმენა, საღვთო წერილის რწმენა, წინასწარმეტყველთ რწმენა, ბედისწერის რწმენა, მომლოცველობა – ჰაჯი და სხვ.

თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს – აჭარის, ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის მიტაცების შემდეგ, XVI-XVIII ს-ში მოსახლეობაში ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ისლამი. ამ სარწმუნოებაზე პირველად გაბატონებული ფენა გადადიოდა, გლეხობა კი ქრისტიანული სარმუნოების ერთგული რჩებოდა, მაგრამ ისლამის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ იარაღად, *„ძირითად ფაქტორად, საგადასახადო სისტემა იქცა, რომელიც არამუსლიმანისადმი საგანგებოდ იქნა შემუშავებული. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობა იხდიდა ისეთ გადასახადებს, როგორებიც იყო ისფინჯი, გურაჰასის, ჯიზიე, გადასახადი ღორის შენახვისათვის, საქორწილო და ბადჰავა“ (გვ.69).*

„...თურქეთის მხრიდან ამგვარი რელიგიური პოლიტიკა იყო დაპყრობილ ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ეკონომიკური ბერკეტებით რელიგიურ-ფსიქოლოგიური ზეწოლა, ვინაიდან, იმ დროისათვის, ისლამურ გარემოცვაში მოქცეული ქართველებისთვის, მართლმადიდებლობა ეროვნულობის – ქართველობის სინონიმად იქცა და ქართული მეობის შენარჩუნების ტოლფასი იყო“ (ც.აბულაძე, *„ქრისტიანთა გამაჰმადიანების ოსმალური წესი“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 28. 06).*

მიუხედავად აღნიშნულისა, ქართველი ხალხის შემწყნარებლური დამოკიდებულება მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებლობის მიმართ ცალსახად გამოიხატა ხალხურ ლექსში:

„წუთისოფელი რა არი,
აგორებული ქვა არი,
რა წამ კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი!
ყველა ადამის შვილი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი!“

საგულისხმოა, აქ „თათარი“ არა ეროვნების, არამედ სარწმუნოების აღმნიშვნელია.

მონოგრაფიაში აღწერილია ისლამური დღესასწაულები სამცხე-ჯავახეთში: რამაზანი, ყურბან-ბაირამი, ურაზა-ბაირამი, რამადანბაირამი, მავლიდი, ნოვრუზ-ბაირამი, ჯიჰადი, ჰაჯი, აშურა და სხვ.

პროფ. თ.იველაშვილმა ე.წ. **„თურქი მესხის“** სახელწოდების საკითხიც განიხილა და ამგვარი დასკვნა შემოგვთავაზა: *„თურქი მესხი“ არა, მაგრამ „გათურქებული მესხები“ შეიძლება ვუწოდოთ არა სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ ტომობრივად ჭრელ მაჰმადიანურ მოსახლეობას, არამედ დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე, საკუთარ ისტორიულ მიწა-წყალზე (ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, თორთომი, შავშეთი, ლაზისტანი და ა.შ) მცხოვრებ მილიონობით ძირძველ ადგილობრივ-მკვიდრ გამაჰმადიანებულ ქართველობას, რომლებმაც დღემდე შემოინახეს ეროვნული თვითშეგნება, არაოფიციალურად გვარები და მშობლიური ქართული ენა (ყოველ შემთხვევაში ოჯახში სალაპარაკოდ მაინც).“*

ქ-ნ თინას ძირითადში ვეთანხმები, ოღონდ ერთ რამეში – არა! სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულთა 60-65 პროცენტი მუსლიმი ქართველი იყო და არ ივარგებს განურჩევლად ყველა მოვათავსოთ ერთ ქვაბში.

ავტორის ერთ-ერთი დამსახურება ისიცაა, რომ მან პირველმა სრულყოფილად აღწერა სომხური რელიგიური დღესასწაულები სამცხე-ჯავახეთში. ასევე პირველად ფართოდაა განხილული საკულტო სალოცავებთან დაკავშირებით კონფლიქტური სიტუაციები სამცხე-ჯავახეთში, რომელიც ცალკე თავადაა გამოტანილი.

საჭიროდ ვთვლი მივუბრუნდე ერთ-ერთ სომხურ რელიგიურ დღესასწაულს – სურბ-სარქისობას. ეს დღესასწაული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში ფიქსირდება „ხიდრიელის“ სახელწოდებით.

პროფ. თ. იველაშვილს გამოქვეყნებული აქვს ამ რელიგიური დღესასწაულის შესახებ ერთ-ერთი თქმულება, რომელიც **„საქართველოს სამოთხეში“** არის გამოქვეყნებული (გვ.629-633). მაგრამ არის კიდევ ერთი თქმულება ამ დღესასწაულის შესახებ **(„პროვოკაცია თუ სიბეცე“.** *გაზეთი „საქართველო“, 1916 (N124).* სხვათა შორის, ამ თქმულების შესახებ გაზ. „**ივერიაც**“ წერს *„სურბ-სარქისობა“ ჯავახეთში ყოფილა, რომელსაც ეწოდება ხალიათელაზი“ (1889, N46, გვ. 46).* იქაც ისეთივე

მაჰმადიანი მესხები

ჩვეულება ყოფილა, როგორც აქ. მაგალითად, ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი ან ვაჟი (დაქორწინებელი) ვითომდა შეიტყობს, ვისზედ დაინიშნება. ამ შემთხვევაში ასე იქცევიან: *„მთელი კვირა უნდა იმარხულოს გასათხოვარმა ქალმა ან ვაჟმა, კვირა საღამოს, დაწოლის წინ, სჭამს „მარილკვერს“, დაიძინებს, ვინც სიზმარში წყალს დაალევინებს, იმაზე დაინიშნება“ („ივერია“, 1889, N50).*

ცარისტული რუსეთი ყოველთვის ცდილობდა მეზობლებს შორის ურთიერთობების დაძაბვას. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა იყო XX საუკუნის პირველ ათწლეულში. კერძოდ, უნდა გამოიყოს სურბ-სარქისის რელიგიური დღესასწაული. რუსულენოვან ჟურნალ „**ოგონიოკში**“ *(1916 წ. N 20)* გამოქვეყნდა რუსი ჟურნალისტის **ალ. რემიზოვის** წერილი „სურბ-სარქისის“ ლეგენდის შესახებ, ოღონდ, ლეგენდის სახელწოდება ისე გადააკეთა, რომ სომეხი ხალხის რელიგიური გრძნობები შეურაცხყო: **„სურბსარქისის“ (ე.წ. წმინდას)** ნაცვლად გამოაქვეყნა **„შუნ-სარქისი“ (ძაღლი-სარქისი).** ე.ი. ძაღლი სარქისი (**შუნ** – სომხურად არის ძაღლი). ლეგენდა ასეთი სათაურით გადაბეჭდა გაზეთმა „**Кавказское слово**„-მ (*1916, N20)* და თან დაურთო კომენტარი, თითქოს ეს ლეგენდა მცხეთის ჯვრის ტაძრის ქართველ მღვდელ-მონაზონს **ილარიონს** უამბნია რუსი ჩამწერისთვის. ამ პუბლიკაციით აღშფოთებულმა ახალგაზრდა დეკანოზმა **კორნელი კეკელიძემ** გამოაქვეყნა სტატია – **„პროვოკაცია თუ სიბეცე“** *(გაზ. „საქართველო“, 1916, N124*). ამავე გაზეთშია დაბეჭდილი მცხეთის ჯვრის მღვდელ-მონაზონ ილარიონის განცხადება, იმის შესახებ, რომ ასეთი ლეგენდა „სურბ-სარქისის“ შესახებ არ იცის და, ბუნებრივია, ვერც ვერავის უამბობდა. ამრიგად, ქართული მხრიდან რუსული პროვოკაცია დროზე იქნა მხილებული.

აკად. კ.კეკელიძის წერილი – *„პროვოკაცია თუ სიბეცე“, ვრცელი კომენტარით ჯერ გაზეთ „ახალ ერაში“ (2001, N8), გამოვაქვეყნე, შემდეგ შევიტანე ჩემ კრებულში „როცა უდავო სადავო ხდება“* (2006. გვ.63).

მონოგრაფიის მოზრდილი ნაწილი დათმობილი აქვს სამცხე-ჯავახეთში *კარინის ვილაიეთის სომეხი მოსახლეობის ისტორიას* (1828-29), მათ შემოსახლების ნამდვილ მიზეზსა და გარემოებაზე.

სომეხთა მაღალი სასულიერო პირები და მოხელეები, კარგა ხანია ფიქრობდნენ სომეხთა შემოსახლებას და კომპაქტურად დამკვიდრებას ქართულ მიწაზე. და აი, შესაფერი დროც დაუდგათ (1828) – ახალციხის საფაშოს შემოერთება რუსეთის იმპერიის მიერ. ეს მომენტი კარგად გამოიყენა კათალიკოსმა ნერსეს **აშტარაკეცმა** და გენერალმა **მადათოვმა.** პასკევიჩის საშუალებით რუსეთის იმპერატორს გამოსთხოვა ნებართვა კარინის ვილაიეთის სომხების ჩამოსახლებაზე სამცხე-ჯავახეთისა და წალკის ტერიტორიებზე. პირველ ნაკადს, რომელიც 6000 სულისაგან შედგებოდა, წინ მოუძღოდა ეპისკოპოსი **კარაპეტი**. ქართულ მიწაზე ფეხის შემოდგმისთანავე ეპისკოპოსმა თანამოძმეებს მიმართა: *„სომხური მიწიდან დალოცვილ სომხურ მიწაზე მოვედითო“* და ეპისკოპოსის ჯოხი დაჭკრა მიწას. მოგვიანებით რუსი მოხელე ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავდა: *„შემოსახლებული სომხები ისე იქცევიან, თითქოს ისინი იყვნენ ამ მიწის მკვიდრები, ქართველები კი მოსულნი“* (**А.Загурски**, *Поездка в Ахалкалакски уезд в 1872, Тифлис, 1873, с.10).*

პროფ. თ.იველაშვილს ფართოდ და საფუძვლიანად აქვს განხილულ-გაანალიზებული რუსეთის მეფის მთავრობის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად იძულებით გადახვეწილი ქართველი მოსახლეობის საკულტო ნაგებობის ბედი. ახალ მოსახლეებმა ზოგი ეკლესია სომხური ეკლესიის ყაიდაზე გადააკეთეს, ზოგი დაანგრიეს და სომხური ეკლესია ააშენეს. ეს ხდებოდა მასობრივად, რაშიც ხელს უწყობდნენ რუსი მოხელეები.

მოგვიანებით, 2014 წლის 12 დეკემბერს, სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, საქართველოს მაშინდელ პრემიერ-მინისტრს **ირაკლი ღარიბაშვილს** მიმართეს განცხადებით, რომელშიც, არც მეტი, არც ნაკლები, 442 ეკლესიის გადაცემას მოითხოვდნენ, ვითომდა ეს ეკლესიები სომხური იყო, თუმცა ამ ეკლესიების „სომხურობის“ დამამტკიცებელი არავითარი მეცნიერული დასაბუთება არ ახლდა ამ განცხადებას, მათ მხოლოდ საპრეტენზიო ეკლესიების უბრალო სია ჰქონდათ წარდგენილი. რა თქმა უნდა, პროფ. თ.იველაშვილმა თავისი პუბლიკაციებით სათანადო პასუხი გასცა მათ და აჩვენა მისი სრული უსაფუძვლობა. წმ. გრიგოლ განმანათლებლის, სურბ-ლუსავორიჩის სახელობის ეკლესია, ახალციხის მარდის, იოანე ნათლისმცემლის, მოღნისის, რამდენიმე უცნობი ეკლესიები და სხვ. სამცხე-ჯავახეთის არაერთი ეკლესიის ქართულობა დამტკიცებულია მონოგრაფიაში. აქვე შევნიშნავ, ამ საკითხს, თავის დროზე, მეც გამოვეხმაურე და მივუძღვენი მონოგრაფია – *„ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“* (2016) ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

თამამად უნდა ითქვას, განუსაზღვრელად დიდია პროფ. თ.იველაშვილის ღვაწლი და დამსახურება სამცხე-ჯავახეთის არამარტო ეკლესიების, არამედ ამ მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-მეცნიერული შესწავლის საქმეში. თუმცა, მისი მეცნიერული ინტერესი ამით არ ამოიწურება, – მან სამცხე-ჯავახეთში კათოლიკობის გავრცელებას არაერთი ნაშრომი და წიგნი მიუძღვნა. ამ მონოგრაფიაშიც გარკვეული ნაწილი დათმობილი აქვს ამ საკითხს: **„კათოლიკობა სამცხე-ჯავახეთში“.** ეს, თუმცა, ქართულ სინამდვილეში, საკმაოდ მტკივნეული და მგრძნობიარეა. მგრძნობიარეა იმიტომ, რომ იგი დაკავშირებულია ქართულ ეროვნულობასა და მენტალიტეტთან: **მ.თამარაშვილის** ცნობით, რომელიც ეყრდნობა კონსტანტინეპოლში მყოფი ვენეციის საელჩოს წარმომადგენლის **ტომაზო მანდიოს** ინფორმაციას, – *ჯავახეთში კათოლიკე პადრებმა რამდენიმე ეკლესია შეაკეთეს „და მათში ასრულებენ რომის წმინდა ტიპიკონს“.* ეს მოხდა XVI საუკუნეში.

მონოგრაფიაში ფართოდ და მეცნიერული საფუძვლიანობით არის განხილული ვატიკანის, შეიძლება ითქვას, ანტიქართული პოლიტიკა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მაღალი სასულიერო პირების „წყალობით“, იმხანად, ვატიკანმა გამოსცა განკარგულება, ქართველ კათოლიკეებს სომხურად ელოცნათ! ე.ი. სომხური რიტის აღმსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ, რამაც გამოიწვია ქართველ კათოლიკეთა გასომხება, რადგან მათ სომხურად ნათლავდნენ, სომხურ სახელსა და გვარს უწერდნენ.

ამ საკითხისადმი მართებულად არის მოტანილი **ზ.ჭიჭინაძის** გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები: *„სომეხმა კათოლიკეებმა მოხერხებით და ოსტატობით მათში ქართული ენა ძირითადად ამოაგდეს, დაავიწყეს კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეებს, ართვინის, არტაანის, არტანუჯის, შავშეთის, ერუშეთის, ველის, კარტიკამის, ალასტნის, ტურცხის, ხევის, ბასიანის, კოლას, რიზეს, ოქრობაგეთის, სათლეს და სხვა დასახლებული პუნქტების მოსახლეობას ქართველობა და ისინი ეროვნული თვითშეგნებით სომხებად აქციეს“* *(„ზუბალაშვილების გვარის ისტორია“, 1902, გვ. 56).*

ამ პროცესს მოყვა გვარების შეცვლა: თამარაშვილი თამარიანცად და ბაინდუროვებად იქცა, ნასყიდაშვილი – ნასყიდიანცად, კალატოზაშვილი – კალატაზოვად, მეფისაშვილი – მეფისოვად, ხურციძე – ისრაელოვად და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესოა **სოფელ ველის** ქართველ კათოლიკეთა ისტორია. **პატრი იერონიმე ნორიჩელის** ცნობით, *„1763 წელს სოფელი ველი არტაანის ლივაში 300 კომლიანი, ერთადერთი ქრისტიანული დასახლებული პუნქტი ყოფილა, რომელსაც მართლმადიდებელი მღვდელ-მსახური, ეკლესია ჰქონდა და წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა“* *(გვ.267).*

მონოგრაფიაში, დოკუმენტურ საბუთებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია ქართული სოფელი ველი და მისი ქართველი მცხოვრებლები ჯერ რუსეთის მოხელეების, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და, საბჭოთა იმპერიის მოხელეების წყალობით, თუ როგორ მოაქციეს სომხურ კათოლიკურ რიტზე.

სომეხი ლტოლვილები. 1905 წელი

ველელ ქართველებს, სომხურ ტიბიკონზე მოქცევისაგან თავი რომ აერიდებინათ, ახალქალაქის ირგვლივ – ხულგუმოში, ბავრაში, კარტიკამსა და ტურცხის სოფლებში გადასახლდნენ. თუმცა, იქაც სომხურ გარემოში აღმოჩნდნენ. ველელები მთავრობისაგან თხოულობდნენ ქართული სკოლის გახსნას, მაგრამ ამაოდ. მათთვის მხოლოდ სომხურ სასულიერო სკოლებს ხსნიდნენ და მათ თხოვნას არავინ აქცევდა ყურადღებას. შედეგად ქართველები სომხურ სამწყსოში მოექცნენ. რადგანაც, იმხანად, რელიგიური კუთვნილება განსაზღვრავდა ადამიანთა ეროვნებას, ამ პროცესმა „გასომხების“ სახე მიიღო. აქვე აღსანიშნავია, რომ 1940-იან წლებში ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ „გასომხებულები“ – *„ეროვნების მხრივ არავის არ ემხრობიან, არც ქართველებს და არც სომხებს, თუმცა სომეხ კათოლიკეებად იწოდებიან, მაგრამ სომხებად მაინც არ სთვლიან თავს“* *(ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი N8).*

მონოგრაფიაში მოტანილს ერთვის საინტერესო ცნობა – აღნიშნული სოფლების მოსახლეობას 1948 წელს მიუმართავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისათვის, – **კანდიდ ჩარკვიანისათვის.** ამ მიმართვას ხელს აწერს რამდენიმე ასეული ადამიანი. ისინი ჩარკვიანს სთხოვდნენ ქართულ ენაზე დაწყებითი სკოლა მაინც რომ გაეხსნათ – *„მაგრამ მათი ეს თხოვნა ყურად არავინ არ იღო. საბჭოთა ხელისუფლებამაც ისინი* **სომხებად მონათლა“!** – აღნიშნავს პროფ. თ.იველაშვილი. მიუხედავად საბჭოთა მთავრობის ასეთი უყურადღებობისა, ველელებს გული მაინც არ გაუტეხიათ და XX საუკუნის 90-იან წლებში ხელისუფლებისთვის კვლავ მიუმართავთ, – ქართული გვარები აღედგინათ და ქართული სკოლა გაეხსნათ, მაგრამ უარი მიუღიათ იმ მოტივით, რომ სამცხე-ჯავახეთში სომხურ-ქართული ურთიერთობა არ დაეძაბათ. ეტყობა, გენი მაინც თავისას აკეთებს, – მათ ისტორიულ მეხსიერებაში დღემდე შემორჩა მათი ქართველობა.

დასასრულ გვსურს ერთხელ კიდევ ვთქვა: მონოგრაფია – „რელიგიური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში“, ქართული საისტორიო, სამეცნიერო ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია და დარწმუნებული ვარ ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფებისთვის იგი სამაგიდო წიგნი იქნება.

ჰექიათი

ერთი ღარიბი კაცი იყო და ჰყავდა ერთი გასათხოვარი გოგო. ამის გოგოს არავინ თხოულობდა. მოვიდა დევი, უთხრა: მამცემ გოგოს თუ არა შეგჭამო. ამას შეეშინდა და მიათხოვა გოგო. ეს კაცი იყო ძალიან ღარიბი და მივიდა სიძესთან, რომ რამე წაერთვა. რომ მივიდა, კარქა პატივი სცეს და დილაზე უთხრა დევის ცოლმა, – რა ვაჩუქო მამაჩემსო?

– ვირი მიეციო.

ეს ვირი რომ წამოიყვანა, ვირი ოქროს გადიოდა გარეთ. როცა მოიყვანა სახლში, ოქროს პატრონი გახდნენ.

ქალმა მოინდომა აბანოში წასვლა. წავიდნენ აბანოში. ვირი დააბეს გარეთ. ნახა ვირი. ვირი თავითი აღარ იყო. იცნეს მეზობელთან ვირი, მაგრამ მეზობელმა არ მისცა. ცოლმა მეორეთ გააგზავნა ქმარი დევთან, იქნება რამე მოქცესო. მივიდა, კიდე დარჩა ერთი ღამე. დილაზე დევის ქალმა კიდევ უთხრა: – რა ვაჩუქო მამაჩემსო?

– სინი მიეციო.

მისცა სინი და წამოვიდა. უთხრა:

– წყაროსთან რო მიხვალ, რაც მოითხოვო, ზედ გაჩნდებაო. ადგა, წამოიღო. რომ მოვიდა სახში, რასაც თხოულობდა იმ სინზე ჩნდებოდა. ესე ქეიფობდა მუდამ. ერთ ბატონს ქეიფი ჰქონდა. გაიგო ამ სინის ამბავი და წაართვა თხოვით და აღარ დაუბრუნა. დარჩნენ კიდე შიერი. ქალმა უთხრა: წადი კიდევ დევთან, ან შეგჭამოს, ან კიდევ რამე მოიტა ვჭამოთო. მივიდა კიდე. დევმა აჩუქა ხელწისქვილი. წამოიღო ეს წისქვილი სახში. თითო დატრიალებაზე თითო ფუთი ოქრო გამოდიოდა. ისეთი ხათრიანი იყო ეს კაცი, რომ მეზობელს ეთხვია, ვერ დაუჭერდა. მეზობელმა ითხოვა ეს წისქვილი. დააყარა ხორბალი. გამოვიდა ოქრო. ამან აღარ დაუბრუნა წისქვილი. წავიდა კიდევ დევთან. დევმა უთხრა თავის ცოლს, ერთი ამას აყირო[1] მიეცი ეეხლაო და აყირო რომ მისცა, უთხრა, რომ წაიღებ – „გამოდი აყიროვო“, – უთხარიო. როცა გეყოფა, – „შედი აყიროვო“.

რო წამოიღო ეს, გზაზე უთხრა: – გამოდი, აყიროვო. გამოვიდა ჯარი ამ აყიროდან. იმდენი სცემეს ეს კაცი, რომ სიკვდილის დღეში შეიყვანეს. ამ დაბნედილს ბოლოს მოაგონდა და უთხრა: – „შედი აყიროვო“. განთავისუფლდა ამათ ხელიდან. მივიდა სახში და ცოლი გაუჯავრდა, – შე ოხერო, ამტენი აყიროები გვაქვსო, კიდო აყირო მომიტანეიო. კაცი გაუბრაზდა. შეუგდო სახში აყირო იმ მეზობელთან, რომელმაც ვირი გამოუცვალა. უთხრა: – მომეცი ვირიო. რომ არ მისცა, შეუგდო ეს აყირო კარებში. უთხრა: – გამოდი აყიროვო. იმდენი აცემინა, რო ეუბნებოდა: – ჩემი ქონება სულ შენი იყოსო. მერმე წავიდა, ვინც წისქვილი წაართვა. ამ ცემით წისქვილიც წაართვა. მერმე წავიდა ბატონთან, სინიც წაართვა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ქბილი აქა,

ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა: ერთი მთქმელს, ერთი დამწერს, ერთიც მომსმენელს.

ტალაღჩი ჩაფლული მოლა

ერთ დღესა კიდო ეს ნუსრედინაჲ თავის ბაღჩი მივიდა და თავი ქალს უთხრა, რომა ხალხიო დაუძახეო, ხალხს უთხარიო, რომა, ნუსრადინაჲო ტალაღჩი ჩაფლობილაო და მოვიდნენ და მომარჩინონო. ქალმაც დაუძახა ხალხი. ეს ნუსრადინაჲ ჩაფლობილა ტალაღჩი და მოარჩინეთო.

ქალს უთხრეს, რომა, ვინ გითხრაო. ქალმა თქვა, რო ვინ ნა მითხრას, თითონ თქვა და წავიდაო.

წავიდა ეს ხალხი მოსარჩენათ. მისულან რო ტალაღჩი ჩაფლობილა ეს კაცი და ვითომ ქე მამკვდარა, ხალხს ასე გონებია. უთქვიათ, წადით, არაბა მოიყვანეთ, წავიღოთო. მოიყვანეს არაბა, დაუდეს არაბაზე ნუსრადინაჲ. წამოიყვანენ და ერთ ალაგას ტალაღი ყოფილა, არაბა ვერ გადის, უთქვიათ, რომა, სიდან გავიყვანოთო. ასე ულაპარაკიათ. მაშინ წამოუღია თავი არაბადან ნუსრადინას და უთქვია: მე რო ცოცხალი ვიყავიო, აი ასე გავდიოდიო, ხოლმეო. გაუციანიან და გაუგდიან.

1 ყელიანი გოგრა

***

ერთ აჭარელს მოუკვდა ძმა. სასაფლაო ჰქონდნენ წყლის გაღმა. თქვეს: – კაცო, ისე გავიტანოთ ხელით, ვაი თუ წყალმა ჩვენც წაგვიღოს და კვდარიცაო.

პატარა ძმამ უთხრა: – კაცო, კამეჩემი ხომ გვყავსო, დავატვიოთ კამეჩებზე და ჩვენ ხიდიდან მოვიაროთო, კამეჩემი გაიტანებენო. შევიდნენ. კამეჩები დაწვნენ შუა წყალში, ვერც გაბედეს შესულიყვნენ და უყვირის პატარა ძმა ხიდიდან კვდარს: – ძმაო, როგორ ისე მოკვდიო, რო კამაჩებს ვერ უჯავრდებიო, შენ გინდაო, რომ მეც დამახჩოო.

მოლას სარეცხი

წასულა სარეცხზე ეს მუსრადინ ეფენდი ეჲდა... საკიდი ჰყოლია, ჩამოუხდია სარეცხი საკიდიდან და დაუბია ხეზე, სძვიოსო, თითონ წასულა, რო შეშა რამე მოიტანოს, ცეცხლში შეუგზნას, შეშის მოტანაზე მოუგვიანებია. ამ ქალსაც ურეცხია და ვირითვინ არ მუუყურებია. ჩამო-

მოლა ნასრედინი

ცუნილა ოთხი გელი და შეუჭამია ვირი. იმ ქალს ვერ დაუნახია. ერთიც მოსულა მუსრადინ ეფენდი, უნახია, რო ამ გლიებ ვირი შეუჭამია. გაქცეულან გლიები, რო გაქცეულან, ხალხს დაუნახია და უთქვიათ, გავწყვიტოთო. მერმე ნუსრადინეფენდს უთქვია, რო დაანებეთ თავი, ბევრი ნაჭამი არიან და ვერ უვლიანო (უვლიათო) და ნუ გაასარინჯანთო – მგლიები გაქცეულან და თითონ აუკიდია სარეცხი და მოიუტანია სახჩი.

მეურეთ კიდო წასულა თავის ცოლით ერთად (სარეცხზე). დაუხდიან ტანისამოსი (სხვა საკიდი უყიდიან), საპონი დაუდვიან იესე ერთ ქვაზე. წასულა კიდო შეშაზე ეს ნუსრადინეფენდი, აუღია და მოაქ თურმე შეშა. მოსულა ერთი შავი ყორანი, მისულა და დაფრენია ამ საპონსა და მიარბენინამს. მერმე რო მოვიდა ნუსრადინ-ეფენდი, ქალს უთქვია, მიეწიე და საპონი წაართვი. ყვავმა გაგვიქცია საპონიო. პატარა რო გამუუდგა, ვითამ ნა გააგდებინოს და სადღა დიეწევა, რო ვეღარ ნა მიეწიოს. ასე თქვა: დაანებე თავი, იმაზე იფრო საჭირო ყოფილა საპონი, სულ გაშავებულაო.

სიმართლით გადარჩენილნი

სამი კაცი წასულა სასიარულოთო ტყიებჩი. დაღამებიათ. გაწვიმებულა. მისულან ერთ კლდე ქვეშ შესულან. ერთი რო უწვიმიან და უწვიმიან, ეს კლდე გადმობრუნებულა. ესენი შიგ მოქცეულან. კარი არა აქ, ერდო არა აქ და ესენი მონწყდევიან შიგ კლდეში და მოშივნიან ამ კაცებ. უთქვიათ, რომა, ახლა ჩვენ რა ნა ვქნათ, ამ კლდეს ვერ გავხვრიტამთ, ვერ გადავაბრუნებთო. მემრე ერთ უთქვია: – ჩონ რა ვქნათ, ჩონ თითო სიტყვა ვილაპარაკოთ და ისე, რომ მართალი სიტყვები იყოს. ჩონ თუ ბრუდე ვილაპარაკეთ, ჩონ აქ გავსწყდებით, მაგრა თუ მართალი ვილაპარაკეთ, ჩონ ღმერთი მოგვარჩენს.

დაიწყეს ამათ:

ჯერ პირველმა დაბაშლა: მომიგდეთ კარგა ყურიო. იმან თქვაო, მეო, ერთ დროებაშიო, კაი დროება მქონდაო. მეო, ბოსტანი მქონდაო დათესილიო. ყარფუზიო, ყაუნიო, ვამუშავენდი დღიურათ ხალხსაო. დღეჩი ვაძლენდი თუმანსაო, შუადღე რო გახდა, ერთი კაცი მოვიდაო, რო მეც ნა მამუშაო დღიურათაო. მე უთხარიო, რომა, გამუშავებ, მაგრა ხუთ მანათ მოქცემო (ნახევარ დღიურს). მუშამ მითხრა: შენ თუმანი გინდ მამცე, გინდ არ მამცე, მე ნა მაინც ვიმუშაო თუმნათაო და დაიწყო მუშაობაო. წავიდა ამ კაცმა საღამიენდი იმუშავა.

საღამოზე მოვიდნენ, ჯამაგირი დაურიგე ყველასაო. მოვიდა ახლა ეს კაცი, რომელიც რო შუადღის მერე იმუშავა. იმან თუმან ნაკლებ არა ქნა, გაიარა და წავიდა ამ კაცმაო. ეს კაცი წავიდაო, მუშაც დაიფანტაო. მეც მოვედი სახჩი და ჩემ ქალ უთხარი, რომაო, დღეს ერთი კაცი მოვიდა და ასრე იქნა. მემრე ქალმა მითხრა: შენაო, მანდაო, დაგიშავებია საქმეო. რა იქნებოდაო, რო იმისთვინაც თუმანი მიგეცაო. ეგ თუმანი მე მამეცი იმ კაც შეუნახოო, როიცაც რო მოვა ეს კაცი, მივცემო.

ეს კაცი არ მოვიდა. ეს ფული ჩემ ქალთან დარჩა.

ერთ დღესაც, თურმე, ერთი კრავი იყიდება სოფელში, ჩემ ქალმა იყიდა ეს კრავი თუმნათ და შეინახა. ეს კრავი ცხვარი გახდა, მოიგო. მერმე ამ ცხვარმა დაიწყო ყველა წელიწად ტყუპების მოგება. ამ ცხვრიდან მოჯოგდა, ავიდა 100 სულზე. ერთ დღეს ეს კაცი მოვიდა. მე დამიძახეს. მიველი. მითხრა, რო, კაცო, მამე ჩემი თუმანი. მეც უთხარი, რო შენი ხუთი მანათია, შუადღეზე დაიწყე მუშაობა. იმან კიდო თქვა, რო – არა, ჩემი თუმანი უნდა მამცე! უთხარი, რო ცოტა მამიცადე, სახში მივიდე. ერთიც მივედი სახშიო. ქალს უთხარი, რო თუმნის პატრონი მოვიდა. ქალმა მითხრა, რო მიიყვან და ას სულ ცხვარ ჩააბრი იმ კაც, რო იმ კაცის დღიურია. მიველი და იმ კაც უთხარი, რო შენი ფული ას ცხვარზე ავიდა და სულ უნდა ჩაგაბარო, – მოდი, ბაბა, ჩაიბარეო.

გაუძახი ამ კაც და გამუურეკე ე ცხვარი. ამ კაცმა ჩახვდაო, რო ნამდვილათ ეს ცხვარი ჩამაბარაო.

– ეს შენთვის უკანვე ჩამიბრიაო, ჰალალი მიქნიაო. ამის მერე ეს კაცი ყაიბი გახდაო (გაქრა), მივედი და ჩემ ქალ უთხარი, ასე და ასე მოხდაო. ქალმა თქვაო, რო, აი ანგრე უნა მოახერხოო, კარქა უნდა მოიქცეო და არაფერი დაგვემართებაო და ვიქნეთო წორე ხალხიო.

იმ ამხანაგებ უთხრა, რო, ეს ჩემი სიტყვა ნანდვილათ თუ მართალი არიო, ამ კლდიდან ჩონ ცოოტა შეღავათი მოგვცეს და ცოოტა სინათლე შემოვიდესო. თუ არა და მაინც უნდა გავწყდეთ და გავწყდეთ. ეს რო თქვა, კლდე გაიღო და ცოტა სინათლე შემოვიდა.

– აპა, ახლა თქვენ ილაპარაკეთ, მე წორი ვთქვი და სინათლე შემოვიდაო.

ახლა მეორემ დაბაშლა:

– მეო, ერთჯერათო, კაი დრუება მქონდაო, პური ბევრი მქონდაო, ამბრები გატენილი მქონდაო პურითაო. ყველას დიელეოდაო. ერთი წელიწადი და შინშილობა ჩამოვარდაო. დიელია ხალხს პური, დარჩა შიერი, მოვიდნენ ჩემთანაო, პური ნა მოქვცეო. მივეციო. ზოგ მივეციო ერთი კოდიო, ზოგ მივეციო ორი კოდიო, გავყევი ასე და დავარიგეო.

ერთი კაციც მოვიდაო და, მეო, პური მამთხოვაო. მე ვიცოდიო, რო ამ კაცსაო ღამაზი ქალი ჰყანდაო. უთხარი, რო, წადი და ქალი გამამიგზავნეო. შენ არ მოგცემო. წავიდა ეს კაციო. თურმე, იმ კაცმა ქალს უთხრა, რო შენ უნა მიხვიდეო. მოვიდა ქალი პურითვინაო. მე უთხარიო, თუ შენაო, ჩემთან არ დაწექი ერთ კვირათ, პურს ვერ მოქცემო. ქალმა თქვაო, რო ეგაო კაი საქმე არ არიო. მაგაჩიო, ღმერთიო, ჩვენ დაგვენდურებაო და პური მოგვეციო. მე უთხარიო, რო ისე ვერ მოქცემო. გაიარა და წავიდა ამ ქალმაო. თურმე მივიდა ქალმა და ქმარს უთხრა, რო გონჯ საქმეზე დააბა საქმეო...

როცა შინშილობა უფრო გაძლიერდა, მაშინ კაცმა უთხრა ქალსა, როგორც გინდა, ქენეო და უნა მიხვიდე და პური მოგვიტანეო. ერთიც მოვიდა კიდე ქალიო, პური მთხოვაო. მე უთხარი: სიტყვა ის არი, ერთი კვირა თუ არ დაწექი, ისე ვერ მოქცემო. მერმე ქალმა უთხრა, რო, კარქიო, რაკი არ ქენიო, პირზე ბადეს გადავიხურამ და ისე დავწვები ერთ კვირას შენთანაო. მე უთხარი, რო ეგ ბადე რაღა არიო. ქალმა თქვა, რო როიცაც სირცხვილი საქმე არი, არც ღმერთი გვიყაბულებს, ხალხშიც სირცხვილია, მაინც თვალით ნუ დავინახამ ნურაფერს. მერე მე უთხარიო, რო შენა ქალი ხარ, მაგოდენი სირცხვილი იცი და მე კაცი ვიყვე, ულვაშის პატრონი ვიყვე და მაგოდენი არ ვიცოდე, სირცხვილი არ არი ჩემთვის? აფსუს, ჩემ საქმეს! შენ ჩემი და ხარ და მეც შენი ძმა ვარ, მოდი და წაილე ერთი ჯვალო პური და რო დაგაკლდება, კიდო მოდიო. წაიღო ეს პური, ქმარსაც გაუხარდაო. მე ასე გადამხდა თავზეო. თუ ეს ჩემი სიტყვა მართალი არი, ღმერთმა იმოდენი გაადიდოს კლდე, რო კაი სინათლე შემოვარდეს ამ კლდეჩი. მაშინ კლდე დაინძრა და ეემოდენი დოლაბი გაიღო, მარა, კაცი ვერ გაეტევა.

დაიწყო მესამემ:

მეო, მამა მომიკვდაო. მამას ვერ მევესწარიო, დედას მევესწარიო. ერთი დღე დედაჩემმა მითხრა, რომა, შვილო, ერთი წყალი მამაწოდეო. ერთი ცივი წყალი იყო, ძრიელ შორს იყო. იმ წყალზე გავიქეციო, ის წყალი მოვიტანეო. მოველი, რო დედაჩემს დასძინებიაო. დავრჩი ზეზეურათაო. დედაჩემმა არ გაიღვიძაო, ვიდექი და ვიდექი, კაი ხანი ვიდექიო. ერთიც დედაჩემ გამიეღვიძა, აიღო წყალი და დალიაო, სვა წყალი, დალია, მემრე მითხრა, რო შვილოო, მეო, ბევრ არაფერ ვიტყვიო, თუ ერთ დროსაო, შენაო, ერთ სინწუხარეში ჩავარდეო, იმ დღეს გიშველოს ღმერთმაო. მე ამის მერე გულჩი მქონდა ეს სიტყვაო და ვნახოთ, მართლა ნა მამარჩინოს იეხლა დედაჩემის დალოცვამაო. ახლაცაო დრო არიო და თუ ეს სიტყვა მართალიაო, გაიღოს ეს კლდე და გავიდეთ სალამათათაო.

მაშინ გადაბრუნდა კლდე და სამნივ მორჩნენ იმ უმეს... იმ სიმწუხარეს და თავისუფალი გახდნენ.

ჩაწერილია ილია მაისურაძის მიერ,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი N3139

განცხადება

ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველებო,

„კორონა-ვირუსის“ პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებული რეგულაციების გამო შესამჩნევად გართულდა ჩვენი გაზეთის დროული მოწოდება. იმედია ეს პრობლემები მალე მოიხსნება და უკლებლივ ყველა ხელმომწერი შეუფერხებლად მიიღებს დარჩენილ ეგზემპლარებს.

იმედია გაითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნულის გამო ფინანსურად გაზეთიც დიდი გამოწვევების წინაშე დადგა, რისთვისაც უმორჩილესად ვთხოვთ ***„ლიტერატურული მესხეთის“ თითოეულ ხელმომწერს, რომელსაც არ გადაუხდია გასული წლის დავალიანება, გადასახდელი თანხა ჩაგვირიცხოთ ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:***

შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“
„ლიბერთი ბანკის“ ასპინძის ფილიალი
ს/კოდი 223100908
ანგ.№ GE72LBO113115795007000
წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.
რედაქცია

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები:
ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit – meskheti@yahoo.com